ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინგა ზაბახიძე

პალესტინის კრიზისი 1947-1949 წლებში და იორდანიის პოზიცია

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
მერაბ ტიკაძე

თბილისი 2006

სარჩევი

შესავალი - 2

დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა - - 6

თავი I

სამანდატო რეჟიმი პალესტინაში და ტრანსიორდანიის ჰაშიმიანთა საამირო - 9

თავი II

იორდანია და პალესტინის საკითხი სამანდატო რეჟიმის გაუქმების შემდეგ -29

თავი III

იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო და ბრიტანეთის პოლიტიკა პალესტინის პირველი ომის დროს - - - - - - - - - - - - - - - - - 48

თავი IV

იერუსალიმის საკითხი და იორდანიის მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში (საზავო ხელშეკრულებები) - - - - - 88

თავი V

იორდანია პალესტინის ომის შემდეგ - - - - - - - - - - - - - - - 100

§ 1. იორდანიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა პალესტინის პირველი ომის შემდეგ -100

§ 2. იორდანიის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და პალესტინელ ლტოლვილთა საკითხი ომის შემდგომ პერიოდში-115

დასკვნა - 131

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა - - - - - - - - - - - 134

შესავალი

XXI საუკუნეში შევაბიჯეთ და აღმოსავლეთის საკითხი დღემდე არ გასულა ისტორიის სარბიელიდან. პრესა და ტელევიზია ყოველდღე ისრაელ-პალესტინას შორის არსებულ მწვავე ურთიერთობებს აშუქებს. თითქმის ყოველდღე გვზარავს საშინელი ტერორისტული აქტები. მიუხედავად იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, მის საერთაშორისო პოზიციებში ძირეული ცვლილებები მოხდა და საერთაშორისო ურთიერთობების ასპარეზზე ძალთა ახალი თანაფარდობა დამყარდა, აღმოსავლეთის საკითხი ისევ მწვავედ დგას და გარკვეული წვლილი შეაქვს საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებაში. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ «ეგრეთწოდებული პოლიტიკოსებისაგან «აღმოსავლეთის საქმე» ერთი უშველებელი კერაა, რომელზედაც ყოველთვის ომის ცეცხლი ანთია».

აღმოსავლეთის საკითხი წარმოქმნისთანავე საერთაშორისო ურთიერთობათა და ევროპული დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და თავსატეხი საკითხი გახდა. მან არაერთ საერთაშორისო გართულებებს _ «ცივ ომსა» და შეხლა-შემოხლას მოუმზადა ნიადაგი. აღმოსავლეთის საკითხში ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოებს ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები ამოქმედებდათ. ამით იყო გამოწვეული ამ საკითხის განსაკუთრებული სიმწვავე, ამიტომ იყო, რომ არა თუ ხანგრძლივი მორიგება, არამედ მეტნაკლებად სტაბილური მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჩვენი ამ საკითხით დაინტერესება გამოწვეული იყო უდიდესი სურვილით, მცირეოდენი წვლილი მაინც შეგვეტანა აღმოსავლეთის კონფლიქტის თეორიულ კვლევაში.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ახლო აღმოსავლეთი საშიში დაძაბულობის კერად რჩება. არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი საბოლოოდ საერთაშორისო კონფლიქტში გადაიზარდა. მისი სამართლიანი და ყოვლისმომცველი

მოწესრიგების გარეშე შეუძლებელია ახლო აღმოსავლეთში წლების განმავლობაში შექმნილი მეტად დაძაბული მდგომარეობის სრული მოწესრიგება. ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის მოუგვარებლობა უარყოფითად აისახება ამ რეგიონის ხალხზე და ქვეყნებზე, მსოფლიო ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე, მთელს მსოფლიოში ემუქრება მშვიდობას, აბრკოლებს საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვის პროცესებს. ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის მოუგვარებლობამ ათეულობით წლების მანძილზე ხელი შეუწყო დაძაბულობის გამწვავებას ამ რეგიონში.

ტერმინი «ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი» ან ,,პალესტინის კრიზისი" ძირითადად არაბეთ-ისრაელს შორის მიმდინარე კონფლიქტს გულისხმობს. ორივე ტერმინი თანაბარი შინაარსისაა. როგორც პირველი, ისე მეორე მთლიანად ვერ ასახავენ კონფლიქტის ხასიათს: პირველი მხოლოდ გეოგრაფიულ არსს გადმოსცემს, მეორე კი არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის ჩარჩოებით იფარგლება, რაც ალბათ არსებითია. ორივეს ცენტრში კი პალესტინაა. სწორედ პალესტინას უწოდებენ არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის გულს.

როცა ვსაუბრობთ თითქმის ხუთმილიონიანი პალესტინელი არაბების ბედზე, ის შეიძლება ერთი სიტყვით გამოიხატოს – ტრაგედია. პალესტინელი არაბი ხალხის ტრაგედია დაკავშირებულია სამშობლოს დაკარგვასთან, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა ექსპანსიის გრძელი პროცესის შედეგი იყო ახლო აღმოსავლეთში XIX-XX საუკუნეებში [162; 3].

სახელი «პალესტინა» ძველი ებრაული «ფელიშთიმიდან" მოდის, რაც ფილისტიმელებს ნიშნავს. პალესტინის ხსენება უამრავ ასოციაციას იწვევს.

არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია ასეთი ლამაზი, ასეთი გრძელი და დიდებული ისტორია. არც ერთი ქვეყნის ხასიათზე არ დაუმჩნევია რელიგიას ასე კვალი, არც ერთი ქვეყანა არ აღძრავს ყველა ეპოქის იმდენ დიდებულ მოგონებას, როგორც პალესტინა. ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ფონ სოდენი წერდა: "პალესტინა ესაა ზეციური ოცნებების გზა და აღმოსავლეთთან

ევროპის შემაერთებელი ხიდი, აქამდე დაყოფილი ხალხის გასაერთიანებლად” [133; 5].

ამ რეგიონში ყოველთვის არსებობდა ურთიერთზეგავლენა ენაზე, რელიგიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამ რეგიონის არც ერთ ქვეყანას არ შეეძლო ცალკე განვითარება. ძალების საერთო ბალანსი განსაზღვრავდა ქვეყნების მდგომარეობას [143; 18].

1947-49 წწ.-ში პალესტინის კრიზისის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო მასში იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს მონაწილეობა. იორდანიის პოზიცია განსხვავდებოდა სხვა არაბული ქვეყნების პოზიციისაგან, რადგანაც იორდანიას ამ კონფლიქტში თავისი განსაკუთრებული ინტერესები ჰქონდა. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციით პალესტინის ორ ნაწილად გაყოფისა და ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ იორდანიის სამეფო ცდილობდა პალესტინის არაბული სახელმწიფოსთვის განკუთვნილი მეტი ტერიტორიის მიერთებას და საკუთარი სამეფოს გაფართოებას. ამ მიზნის მისაღწევად იორდანიის სამეფო პირველი არაბული ქვეყანა იყო, რომელმაც ისრაელთან საიდუმლო მოლაპარაკებები აწარმოა და შეთანხმებას მიაღწია. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ჩვენი დაინტერესება იორდანიის პოზიციით.

მართალია, წარმოდგენილი ნაშრომი იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს ისტორიას ეძღვნება, მაგრამ ვინაიდან არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი მთლიანად პალესტინის ისტორიას მოიცავდა და მასში მთელი არაბული სამყარო იყო ჩართული, აუცილებელი გახდა იმ ლიტერატურის გათვალისწინება, რომელიც მოიცავს მთლიანად არაბეთ-ისრაელის კონფლიქტს.

მიუხედავად იმისა, რომ 1947-49წწ.-ში პალესტინაში განვითარებული მოვლენების შესახებ უკვე ბევრი დაიწერა, დღემდე გადაუჭრელი პრობლემის სირთულე მკვლევართა შეუნელებელ ინტერესს იწვევს. ნაშრომი არ ისახავს მიზნად არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის პირველი ომის მიზეზების და მიმდინარეობის სრულ ასახვას. კვლევის საგანი არის კონფლიქტის მონაწილე

ერთ-ერთი მხარის, იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს პოზიცია და როლი ამ კრიზისში.

წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა და შეგვეფასებინა იორდანიის განსაკუთრებული პოზიცია პალესტინის კონფლიქტში. როგორც ნაშრომიდან ჩანს, მეფე აბდალაჰ I-ის პოლიტიკა და მისი დამოკიდებულება პრობლემებისადმი ნაკარნახევი იყო იმით, რომ გარკვეულწილად დაესუსტებინა არაბთა საერთო პოზიცია. კარგადაა ცნობილი, რომ პალესტინელი არაბების დიდი ნაწილი დღესაც უარყოფითად აფასებს იორდანიის პოზიციას პალესტინის პირველ ომში.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

ჩვენი საკვლევი პერიოდის შესახებ უაღრესად მდიდარი საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. პალესტინის პირველი კრიზისის და მასში იორდანიის როლის შესახებ ამსახველი ცნობები დაცულია სხვადასხვა ენაზე არსებულ წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. ამის უმთავრესი მიზეზი კი ფართო საზღვრებია, რომელსაც ეს პრობლემა მოიცავს. ბოლო პერიოდში მიმოქცევაში შემოვიდა ახალი ისტორიული წყაროები, პერიოდული გამოცემები, დოკუმენტური მასალა, მემუარული ლიტერატურა, ქართული და უცხოური ლიტერატურა, რომლებიც გვიჩვენებენ პალესტინის პირველი კრიზისის ანუ 1947-1949 წლების ომის პერიოდში შექმნილ რეალურ სურათს. ჩვენს ხელთ არსებულ უამრავ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ჩვენ ვეცადეთ გაგვეანალიზებინა იორდანიის სამეფოს როლი ამ კრიზისში.

საკვლევ საკითხთა გასაშუქებლად განსაკუთრებით ღირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, რომლებიც წლების განმავლობაში არეგულირებდნენ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს. მათ შორის უნდა გამოიყოს გაეროს გენერალური ასამბლეის [1] 181 (II) რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა სამანდატო

პალესტინის ორ _ ებრაულ და არაბულ _ სახელმწიფოდ გაყოფას (1947). ამ რეზოლუციების გაცნობამ შესაძლებელი გახადა შეძლებისდაგვარად აღგვედგინა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური მოვლენები და საერთაშორისო ვითარება, მსოფლიოს სხვა ქვეყნების დამოკიდებულება პალესტინის საკითხებისადმი. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროების არქივებში დაცული დოკუმენტები, რომლებიც საინტერესოდ წარმოაჩენს სხვადასხვა ქვეყნის დაინტერესებას ახლო აღმოსავლეთით და ბევრი ისტორიული მოვლენის ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ დოკუმენტებს, რომლებიც შესულია სხვადასხვა სამეცნიერო მასალებში, პერიოდულ პრესაში. უნდა დავასახელოთ: საერთაშორისო ცხოვრება (საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრი), ¹73, თბ. 1987; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ბიულეტენი, ¹2 (35), თბ., 2001; Внешняя политика Советского Союза за 1977 год, часть вторая. М. 1952; "Вторжение", М. 1951; История дипломатии Т. 3. М. 1956; Ключников Ю., Сабанин А. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. ч. II. (М. 1926) და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია მრავალრიცხოვანმა სამეცნიერო გამოკვლევებმა. საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ История еврейского национального движения. 1914-1949. (Jerusalem. 1993), სადაც ფართოდ არის გაშუქებული პალესტინის პირველი ომის მოვლენები; არაბი ავტორის შარლ ნადარლინის «სალამ ავ ჰურუბ" (მშვიდობა ან ომები); ინგლისელი მეცნიერის პ. კალვოკურესის "World Politics sinse 1945. (London, New York, 1995). ამ ნაშრომების გათვალისწინებამ საშუალება მოგვცა ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, ობიექტურად გაგვეანალიზებინა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი და რეზოლუცია, რომელიც პალესტინის ომის წლებში იქნა მიღებული.

საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ის მემუარული ლიტერატურა, რომელმაც უდიდესი დახმარება გაგვიწია საკვლევ თემაზე მუშაობისას და შესაძლებელი გახადა აღგვედგინა ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდი. აღსანიშნავია მოშე დაიანის «ცხოვრება ბიბლიით" (თბილისი, 1996) და გოლდა მეირის «ჩემი ცხოვრება" (სამშობლოდან სამშობლოში, თბილისი 1990). ისრაელის მომავალი პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი იყო ერთ-ერთი პირველი ებრაელი პოლიტიკოსი, ვინც ჯერ კიდევ ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, იორდანიის მეფე აბდალაჰთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა. მომავალ სახელმწიფოსთან დაკავშირებით გოლდა მეირი რამდენჯერმე შეხვდა მეფე აბდალაჰს და დაასკვნა, რომ ის არ იყო ებრაელების დაუძინებელი მტერი და რომ აბდალაჰს, ისევე როგორც ებრაელებს, სურდა მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში. მეირი დაწვრილებით აღწერს ამ შეხვედრების დეტალებს, რამაც დიდი დახმარება გაგვიწია ისრაელ-იორდანიის საიდუმლო მოლაპარაკებების და მეფე აბდალაჰ I პიროვნების შესწავლის საქმეში.

ნაშრომში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების (ალ. მენთეშაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, რ. გაჩეჩილაძე, კ. ჟღენტი, ი. ცინცაძე, ა. ციციაშვილი, თ. ჯაფარიძე, ნ. ლომოური, ნ. ხონელიძე და სხვ.) შრომები.

თ ა ვ ი I

სამანდატო რეჟიმი პალესტინაში და ტრანსიორდანიის ჰაშიმიანთა საამირო

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფიის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი იყო ევროპის ქვეყნების მიერ ამ რეგიონის გავლენის სფეროებად დაყოფა. შემდეგ კი ძირითად ფაქტორად იქცა ეროვნულ-განმანთავისუფლებული მოძრაობა. უკვე XIX საუკუნეში ოსმალეთის იმპერია დაშლის პირზე იყო მისული და სულს ღაფავდა [24; 91]. ამ მოვლენას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე, რომელიც წერდა, რომ სწორედ

ოსმალეთის იმპერია იყო «აღმოსავლეთის საკითხის” მთავარი წერტილი [20; 28]. ცნობილია, რომ XIX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა «აღმოსავლეთის საკითხს”. ხმელთაშუა ზღვის პრობლემა, შავი ზღვის სრუტეების საკითხი, ოსმალეთის ომპერიის სამფლობელოების დანაწილება, ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში შეუზღუდავი ბატონობისათვის _ ასეთი იყო «აღმოსავლეთის საკითხის” უმთავრესი შინაარსი. ეს იყო ერთადერთი პუნქტი, სადაც უშუალოდ ხდებოდა რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის და უფრო გვიან აშშ-ს ინტერესების თანხვედრა [22; 21]. ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთის, იტალიის საგარეო საქმეთა და სამხედრო სამინისტროებში დგებოდა ოსმალეთის დაყოფის საიდუმლო გეგმები. ეს ქვეყნები ერთდროულად იყოფდნენ ამ რეგიონს ეკონომიკური გავლენის სფეროებად [161;7]. ახლო აღმოსავლეთში ამის ერთ-ერთი ფორმა იყო სარკინიგზო მშენებლობა. ოსმალეთის იმპერიაში რკინიგზის გაყვანა ჯერ ინგლისის, საფრანგეთის და შემდეგ გერმანიის კომპანიების მიერ სწორედ ამ მიზანს ისახავდა [20;28]. XIX საუკუნეში დიდმა ბრიტანეთმა თავისი ბატონობა განავრცო არაბეთის სანაპირო რაიონებზე. 1939 წელს დაპყრობილ იქნა ადენი, რომელიც სუეცის არხის გახსნის შემდგ გახდა ევროპის დამაკავშირებელი აზიასა და აღმოსავლეთ აფრიკასთან. სუეცის არხზე კონტროლის დაწესებამ, ადენი, როგორც საზღვაო ბაზა უფრო მნიშვნელოვანი გახადა [20; 29].

ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთს ეცილებოდნენ «პალესტინის გზაჯვარედინის დაპყრობაში”. უკვე მაშინ პალესტინა, რომელიც ოსმალეთის ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა, ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო ურთიერთობების «მგრძნობიარე პუნქტი” გახდა. იგი როგორც მსოფლიოს სამი რელიგიის ცენტრი და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით გამორჩეული ტერიტორია დამატებითი საბაბი იყო დასავლეთის სახელმწიფოთათვის პალესტინის «გულში ჩასაკრავად”, თითქოსდა წმინდა ადგილების დასაცავად. მრავალ ქვეყანაში მცხოვრები მილიონობით მუსლიმისათვის იერუსალიმი (არაბ. “ალ-კუდს”) მექასა და მედინასთან ერთად არაბულ-მუსლიმური

კულტურის მთავარი ცენტრი იყო და მუსლიმურ სალოცავს უკავშირდებოდა [81;14].

პალესტინის შემდგომი ბედი დაკავშირებულია XIX საუკუნის ბოლოს წარმოშობილ სიონიზმთან, რომლის უმთავრესი დოგმა იყო დედამიწის ზურგზე გაბნეული ებრაელების დაბრუნება «წინაპართა მიწაზე" _ იერუსალიმში [119; 9]. სიონიზმი ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მიწურულს. ებრაელი ერი წლების მანძილზე მოწყვეტილი იყო მშობლიურ მიწას. ებრაელთა თემები მაინც არსებობდა იერუსალიმში, ლიბერიასა და სხვა ადგილებში [56; 2].

XIX საუკუნის ბოლოს ებრაული ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა მიზნად დაისახა ებრაელთა კერის აღდგენა სახელმწიფოს სახით თავიანთ მშობლიურ მიწაზე და არა სხვა ტერიტორიაზე [138; 147]. მათი აზრით, მართალია, ებრაელებსაც აქვთ სხვა წმინდა ქალაქები (მაგალითად, ჰებრონი), მაგრამ დედაქალაქი მოყოლებული დავით მეფის დროიდან იყო და რჩება როგორც ებრაული ისტორიის, ნაციონალური და რელიგიური მისწრაფებების კერა. ყველაზე უმძიმეს და უძნელეს პირობებშიც კი ებრაელები «იერუშალაიმს» არ ტოვებდნენ. რომის იმპერიის ბატონობის ხანგრძლივ პერიოდში ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ იქ შესვლა და სოცოცხლის საგრთხეში ჩაგდებით გადაცმულნი შედიოდნენ ქალაქში ტაძრის მთაზე სალოცავად. ხოლო არაბთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ იქ ყოველთვის არსებობდა ებრაელთა თემი [119;9]. ებრაული ლობის[1] შექმნის შემდეგ ებრაელმა ინტელიგენციამ თავის მოძრაობას სიონისტური უწოდა (ციონ მთა ისრაელში, სადაც ებრაელებმა თორა მიიღეს). ეს მიზნობრივი სახელი არავითარ რასისტულს და არც ზეიმპერიის ჩამოყალიბებას არ ითვალისწინებდა [179; 3].

სიონიზმი _ ეს არის ებრაული მოძრაობა, იდეოლოგია, რომლის მიზანი იყო ებრაელი ერის დიასპორიდან აღთქმულ მიწაზე დაბრუნება. საუკუნეების

[1] ლობი [ინგლ. lobby – კულუარები] – აშშ-ში; კაპიტალისტური მონოპოლიების აგენტები, რომლებსაც ევალებათ კონგრესში მიიღონ ესა თუ ის კანონპროექტი ან ჩაფუშონ მისი მიღება [172; 214].

განმავლობაში ებრაელი ხალხი ოცნებობდა და იმედოვნებდა მესიის გამოჩენას, რომელიც მათ გამარჯვებისაკენ წარუძღვებოდა. მიზნის მისაღწევად ლიდერის გარდა საჭირო იყო მოძრაობის დაწყებაც. სწორედ ამ აუცილებლობამ წარმოშვა სიონიზმი [179; 2], რომელსაც სათავეში ჩაუდგა თეოდორ ჰერცლი. მას კარგად ესმოდა, რომ მსოფლიოს ძლიერი სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე სიონისტური მოძრაობა დასაღუპავად იყო განწირული.

თ. ჰერცლის გარდაცვალების შემდეგ, 1907 წლიდან სიონისტური მოძრაობის ლიდერი გახდა ხაიმ ვეიცმანი, რომელმაც მაშინვე აქტიური მოღვაწობა დაიწყო, რათა ინგლისის პოლიტიკურ ლიდერებს სიონისტური მოძრაობისათვის დაეჭირათ მხარი. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ გამომცემლობა «სლოტმა» მას ინგლისის კაბინეტის წევრი და მომავალი პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი გააცნო [41;9]. 1906 წელს ვეიცმანი გაეცნო ბალფურს. ისინი ერთმანეთს შეახვედრა ინგლისელმა მაგნატმა ჩარლზ დრეიფუსმა, რომელიც მანჩესტერის კონსერვატული პარტიის ორგანიზაციის თავმჯდომარე და ამავე დროს ადგილობრივი სიონისტური თემის მეთაური იყო. ბალფურმა ყურადღებით მოუსმინა ვეიცმანს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ბალფური, უკვე, როგორც საადმირალოს პირველი ლორდი, ძალიან თბილად შეხვდა ვეიცმანს და უთხრა: „მე ისიც მჯერა, რომ როდესაც იარაღი დადუმდება, თქვენ მიიღებთ იერუსალიმს“ [41; 10]. ეს შეხვედრა და ბალფურის სიტყვები შემთხვევითი არ ყოფილა. პირველი მსოფლიო ომის დაწყება გახდა შემობრუნების მომენტი ინგლისისა და სიონისტების დამოკიდებულებაში, მაგრამ სრულ მხარდაჭერას სიონისტებმა მაშინ მიაღწიეს, როდესაც მთავრობას სათავეში 1916 წლის დეკემბერში, ლოიდ ჯორჯი ჩაუდგა.

1917 წლის 2 ნოემბერს, როდესაც ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლები იერუსალიმის რაიონში (მის აღებამდე 35 დღით ადრე), და ყველასათვის ცხადი იყო ინგლისის გამარჯვება, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლოიდ

ჯორჯის მთავრობაში ებრაული სახელმწიფოს აღთქმულ მიწაზე აღდგენის ერთ-ერთი უაქტიურესმა მომხრემ [65; 169], ლორდმა არტურ ჯეიმს ბალფურმა (1848-1930) გამოაქვეყნა თავისი სახელგანთქმული ბალფურის დეკლარაცია, რომელიც იყო პირველი აგური ებრაული სახელმწიფოს ასაშენებლად [168; 2].

პირველი მსოფლიო ომის წლებში და მისი დამთავრებისთანავე ინგლისის მთავრობამ ამოცანად დაისახა დიდი ბრიტანეთის ბატონობისათვის დაექვემდებარებინა ახლო და შუა აღმოსავლეთის მთელი რეგიონი, რათა შეექმნა თავისი კოლონიური სამფლობელოების უწყვეტი ჯაჭვი ოსმალეთის იმპერიიდან სინგაპურამდე. ამ იდეის მხურვალე მხარდამჭერი და გულმოდგინე განმახორციელებელი გახლდათ დევიდ ლოიდ ჯორჯი – ინგლისის პრემიერ-მინისტრი 1916-1922 წლებში [176; 156]. ლოიდ ჯორჯის კაბინეტმა ენერგიულად დაიწყო სამხედრო პოლიტიკის გატარება. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ვეიცმანისა და სხვა ლიდერების მოლაპარაკების დაწყება ინგლისის მთავრობის წარმომადგენელთან ლოიდ ჯორჯის კაბინეტის აქტიური პოლიტიკის დაწყებას დაემთხვა იმპერიის არაბულ ტერიტორიებსა და მათ მომავალთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ოსმალეთი ომში გერმანიის მხარეზე იბრძოდა, ნათელი გახდა, რომ მისი კოლონიები, პალესტინის ჩათვლით, ომის „პრიზები“ გახდებოდნენ. 1917 წლის დეკემბრისათვის თითქმის მთელი პალესტინა ოკუპირებულ იქნა ინგლისის შეიარაღებული ძალების მიერ, რომელსაც გენერალი ალენბი სარდლობდა [28;16]. ლოიდ ჯორჯის კაბინეტის მიერ დასახული პროგრამის პირველი ნაწილი შესრულდა, მაგრამ გადაუჭრელი რჩებოდა თურქეთის იმპერიის არაბული ტერიტორიების მომავლის საკითხი. როგორც უკვე მივუთითეთ, არც ერთი გამარჯვებული სახელმწიფო არ აპირებდა არაბული ქვეყნებისათვის თავისუფლების მინიჭებას, ხოლო საიქს-პიკოს შეთანხმება ითვალისწინებდა თურქეთის სამფლობელოების გაყოფას ინგლისსა და საფრანგეთს შორის. საიქს-პიკოს შეთანხმების მიხედვით პალესტინაში უნდა დამყარებულიყო საერთაშორისო რეჟიმი, რომლის ფორმაც მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმებით უნდა დადგენილიყო. მაგრამ პალესტინის

განსაკუთრებული მდგომარეობა, ისეთ პირობებს ქმნიდა, რომ ინგლისი, საფრანგეთი და შეერთებული შტატები არ აპირებდნენ პალესტინაში თავიანთი პოზიციების დათმობას. ინგლისის მთავრობა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს მიხვდა, რომ პალესტინისათვის წარმატებულ ბრძოლაში მას მოკავშირე სჭირდებოდა სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამას მიხვდნენ ვეიცმანიც და სიონიზმის სხვა ლიდერებიც. სწორედ ამიტომ სიონიზმის ლიდერებმა „გაიხსენეს“ თავიანთი წინაპრების მიწა-წყალი და მთელი თავიანთი მცდელობა მიმართეს, რათა ებრაული ეროვნული კერა სწორედ პალესტინაში შეექმნათ. ასე წარმოიშვა ინგლისის მთავრობისა და სიონიზმის კავშირი. სიონისტებმა მიაღწიეს ინგლისის წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეების მხარდაჭერას. თვით ლოიდ ჯორჯი ისევე, როგორც მისი კაბინეტის წევრები: ბალფური, მილნერი, სმუტსი, სესილი აშკარად გამოდიოდნენ სიონისტების მხარდასაჭერად [42; 8].

I მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გამარჯვებული იმპერიალისტური სახელმწიფოების წინაშე დადგა საკითხი, რომელიც ოსმალეთის იმპერიის არაბული პროვინციების მომავალს შეეხებოდა. რუსეთის გამოსვლამ ომიდან, საბჭოთა მთავრობის მიერ ანტანტის ქვეყნების მიერ დადებული საიდუმლო საიქს-პიკოს შეთანხმების გამოქვეყნებამ და მის მიერ დამპყრობლურ პოლიტიკაზე უარის თქმამ, ახალი პოლიტიკური სიძნელეები შექმნა. ამიტომ დიდი ქვეყნები იძულებულნი გახდნენ სამხედრო ნადავლის გაყოფის ახალი მეთოდები ეძებნათ. ანტანტის სახელმწიფოების კულისების მიღმა მოლაპარაკებების დროს განხილულ იქნა ამ საკითხის გადაწყვეტის სამი ვარიანტი:

1. ინტერნაციონალიზაცია, ან ერთა ლიგის კონტროლი;
2. ერთა ლიგის მანდატი;
3. ოკუპირებული ტერიტორიების აშკარა მიერთება რომელიმე სახელმწიფოსათვის.

ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს მეორე ვარიანტზე შეჩერებულიყვნენ, ოკუპირებულ ქვეყნებში მმართველობის სამანდატო

სისტემა შემოეღოთ. ანტანტის ქვეყნების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მმართველობის სამანდატო სისტემის შემოღების ერთ-ერთ მთავარი მიზეზი იყო იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ოკუპირებული ქვეყნების ხალხების სულ უფრო მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ლოიდ ჯორჯმა, რომელიც თავდაპირველად მოითხოვდა, რომ სამშვიდობო კონფერენციას ინგლისის ჯარების მიერ დაპყრობილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები დიდი ბრიტანეთის კოლონიებად ეცნო და დათანხმდა აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის ვილსონის წინადადებაზე – მიეღო სამანდატო სისტემა ოკუპირებული ტერიტორიების მმართველობისათვის. ამ სისტემას უნდა დაეფარა იმპერიალისტური ექსპანსია და უზრუნველეყო ამერიკული კაპიტალისათვის ერთ ლიგის სხვა წევრებთან ერთად თანასწორი შესაძლებლობები სამანდატო ტერიტორიებზე. თვითონ აშშ ასევე იმედოვნებდა ზოგიერთ ქვეყნებზე მანდატის მიღებას. ამერიკის ახალგაზრდა ბურჟუაზია თავის ძველ კონკურენტებთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ბრძოლაში, ცდილობდა წინ წამოეწია დამოკიდებული ხალხების ექსპლუატაციის ახალი ფორმები. ამ მიზნით ამერიკელები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ერთა ლიგის მხრიდან კონტროლი გაწეულიყო სამანდატო მმართველობაზე და დაცული ყოფილიყო „საერთაშორისო მმართველობისა და ღია კარის პრინციპები“. სხვა პირობებში ინგლისი არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა უარს ოსმალეთის იმპერიის არაბული ტერიტორიების პირდაპირ მიტაცებაზე, მით უმეტეს, რომ I მსოფლიო ომის დასასრულს ამ ტერიტორიების დიდი ნაწილი მისი ჯარების მიერ იყო ოკუპირებული, მაგრამ შექმნილ პირობებში ინგლისი დათანხმდა კოლონიური ბატონობის ახალი ფორმის მიღებაზე. მმართველობის სამანდატო სისტემის შემოღება მოტივირებული იყო იმით, რომ თითქოსდა შეუძლებელი იყო დამოუკიდებლობის ან თვითმმართველობის უფლება მიეცათ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ.

მანდატების შესახებ მოლაპარაკებისას ინგლისი ცდილობდა მანდატების მიღებას არა მარტო პალესტინაზე, არამედ არაბული სახელმწიფოს შექმნას.

სირიის ტერიტორიაზე ამირა ფეისალის, მექის შერიფის ჰუსეინის ვაჟის მმართველობით, რომელიც ინგლისის გავლენას განიცდიდა. ამ გეგმას ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთი, რომელსაც სურდა მთელ სირიაზე მანდატის მიღება. ფეისალი, თავის მხრივ ცდილობდა რაც შეიძლება დიდი ტერიტორია მიეღო არაბული სახელმწიფოს შესაქმნელად. 1919 წლის 29 იანვარს მან პარიზის კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც მოითხოვდა ალექსანდრეია – დიარ ბექირის სამხრეთით მდებარე არაბული ტერიტორიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. ამ მოთხოვნებს იგი იმით ასაბუთებდა, რომ ეს რეგიონი წარმოადგენდა ერთ მთლიანს სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით და გააჩნდა ბუნებრივი საზღვრები, რომლებსაც შეეძლო უზრუნველყო არაბული სახელმწიფოს ერთიანობა და მომავალი. მთელი მოსახლეობა ერთ რასას – სემიტურს – ეკუთვნოდა და ლაპარაკობდა ერთ ენაზე – არაბულზე. გარდა ამისა, არაბები მოკავშირეებთან ერთად იბრძოდნენ და მოიხადეს თავიანთი ვალი მათ წინაშე. მან წინადადება მისცა კონფერენციას, გაეგზავნა სირიაში და პალესტინაში კომისია არაბი ხალხის განწყობისა და სიტუაციის შესასწავლად. ასეთი კომისიის შექმნის იდეას მხარი დაუჭირა მხოლოდ აშშ-ის პრეზიდენტმა ვილსონმა, რადგან ამ დროისათვის აშშ ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ მიიღებდა მანდატს ზოგიერთ არაბულ ტერიტორიაზე. რაც შეეხება საფრანგეთს, მისი წარმომადგენლები კომისიაში არ შევიდნენ, ხოლო ინგლისის წარმომადგენლებმა კომისიის მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღეს. სირიასა და პალესტინაში გაემგზავრნენ მხოლოდ აშშ-ის წარმომადგენლები კინგი და კრეინი, რომელთა დასკვნები ცნობილია „კინგ-კრეინის“ კომისიის ანგარიშის“ სახელწოდებით. თუმცა, ეს დასკვნები მიზნად ისახავდა აშშ-ის ინტერესების დაპირისპირებას ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესებისათვის, მათში ნათლად ჩანდა არაბი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომისიის დასკვნები პალესტინაში ებრაელთა ეროვნული კერის შექმნის იდეის შესახებ. კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ინიციატივა სერიოზულად უნდა ყოფილიყო განხილული, რადგან არც ერთ ბრიტანელ ოფიცერს,

რომელიც კომისიამ დაკითხა, არ სჯეროდა, რომ სიონისტური პროგრამის ცხოვრებაში გატარება შესაძლებელი იქნებოდა სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე. კომისიამ ასევე განაცხადა: „აუცილებელია გვახსოვდეს, რომ არა ებრაული წარმოშობის მოსახლეობის 90% _ გადაჭრით ილაშქრებდა არსებული სიონისტური პროგრამის წინააღმდეგ» [72; 81].

პირველ მსოფლიო ომამდე სიონისტები თურქეთსა და კაიზერის გერმანიაზე იღებდნენ ორიენტაციას, თურქეთი, პალესტინის მფლობელი იყო, გერმანია კი ძლიერი ქვეყანა. გერმანულ-ებრაული საზოგადოებები დაეხმარებოდნენ ებრაელებს კოლონიზაციაში, რისთვისაც გერმანელი ინჟინრები ამუშავებდნენ გეგმებს [64; 15]. მაგრამ გაცხარებული ომის დროს სიონისტებმა შეცვალეს თავიანთი გადაწყვეტილება და გადავიდნენ დიდი ბრიტანეთის მხარეზე. ახალი ორიენტაცია გადაწყვიტა ომის ბედის ინგლისის მხარეზე გადახრამ [65;168]. უფრო მნიშვნელოვანი კი ცნობილი გერმანული ანტისემიტიზმი იყო. ადამიანთა ურთიერთობების ცნობილი მკვლევარი, მე-20 საუკუნის ცნობილი ამერიკელის დეილ კარნეგის აზრით: „ყოველ ერს სხვა ერზე მაღლა მდგომი ჰგონია თავი. ეს ბადებს პატრიოტიზმსა და... ომებს“.

პალესტინაში მდგომარეობის შეცვლა გამოიწვია 1916 წლის გაზაფხულზე ინგლისის საომარმა მოქმედებამ, როცა ისინი გადავიდნენ სუეცის არხზე და ღაზასთან დაამარცხეს თურქები [65; 169].

ინგლისს ესაჭიროებოდა მოკავშირე, რათა განემტკიცებინა თავისი პოზიციები პალესტინისათვის ბრძოლაში. ასეთ მოკავშირედ მისთვის სიონიზმი იქცა. ინგლისის წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეების პროსიონისტურმა განწყობილებამ და ებრაული ბურჟუაზიის გავლენამ დიდად შეუწყო ხელი ინგლისის პოზიციების განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ მათ ურთიერთობას ძირითადად განსაზღვრავდა ინგლისის იმპერიალიზმისა და სიონიზმის სამხედრო-სტრატეგიული და კოლონიური ინტერესების დამთხვევა სწორედ იმ საკითხში, რომელიც პალესტინის მომავალს ეხებოდა. მას შემდეგ, რაც გაეცნენ სიონისტების იდეებს პალესტინაში ებრაელთა ეროვნული კერის შექმნის თაობაზე, ინგლისის

გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დაასკვნეს, რომ სტრატეგიულად ისეთ მნიშვნელოვან რაიონში, როგორც პალესტინაა, სიონისტები მათთვის გაცილებით შესაფერისი მოკავშირეები იქნებოდნენ, ვიდრე არაბთა მონარქიული – ფეოდალური ზედა ფენა. სიონისტები თავის მხრივ ცდილობდნენ ყველანაირად განემტკიცებინათ ინგლისელებში ასეთი რწმენა. ისინი არ შემცდარან, როდესაც დიდი ბრიტანეთი აირჩიეს თავიანთ მფარველად, რადგანაც იგი იმ დროისათვის წამყვან იმპერიალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამის გარდა სიონისტებმა ძალზე ზუსტად განსაზღვრეს ინგლისის სტრატეგიული ინტერესები და თავიანთი ურთიერთობები ამ საფუძველზე ააგეს. ინგლისელების მიერ პალისტინაში ებრაული ეროვნული კერის შექმნის უპირატესობას, სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხ. ვეიცმანი ასე ხსნიდა: „ებრაელებს შეუძლიათ განავითარონ ქვეყანა, დაუბრუნონ მას ცივილიზაცია და უზრუნველყონ სუეცის არხის ეფექტური დაცვა“ [110; 12]. თუმცა, ლოიდ ჯორჯი თავის მემუარებში წერდა, რომ „სიონისტების მხარდაჭერა – ანტანტის თვალსაზრისით – მნიშვნელოვანი სამხედრო ღონისძიება იყო“, იმავე მემუარებში იგი აღიარებდა, _ „ომმა დაგვანახა, რომ პალესტინა ნამდვილად წარმოადგენს ეგვიპტის სტრატეგიულ ბუფერს, უცხო სახელმწიფოს არსებობას პალესტინაში შეუძლია სერიოზული გავლენა იქონიოს დიდი ბრიტანეთის პოზიციების განმტკიცებაზე, როგორც სუეცის არხის რაიონში, ასევე მის მიმდინარე რაიონებში“ [96; 653].

მართალია, უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: „ომი _ ეს ის თამაშია, რომელიც სახეზე ღიმილით უნდა ითამაშოო“ [129; 156], მაგრამ პალესტინისათვის იგი საბედისწერო აღმოჩნდა. დესტრუქციული ძალების მოქმედებას დაემატა შიმშილი, ეპიდემია და თურქი მთავარსარდლის აჰმედ ქემალ-ფაშას დამსჯელი ღონისძიებანი. 1917 წლის 9 დეკემბერს ინგლისელებმა გენერალ ედმუნდ ალენბის (მოგვიანებით ფედმარშალი ვისკონტი) მეთაურობით, იერუსალიმი დაიკავეს, ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიები კი ოკუპირებულ იქნა 1918 წლის ოქტომბერში კვლავ ინგლისელების მიერ. არაბებს დარჩათ

პალესტინის მცირე ნაწილი, რომლის დამოუკიდებლობის შენარჩუნება ინგლისელებმა იმ შემთხვევაში აღუთქვეს, თუკი არაბები მათ გადასცემდნენ 1915 წლის ივლის-ოქტომბერში ეგვიპტის უმაღლესი კომისრის ჰენრი მაკ-მაჰონისა და ჰუსეინ იბნ-ალის (მოგვიანებით გახდა მექის შარიფი) შორის მიმოწერის მასალებს. გენერალი ალენბი დაუფარავად აცხადებდა: „ჯვაროსნული ლაშქრობა დამთავრდაო“ [178; 168].

ინგლისელებმა ამ დროისათვის დაიკავეს იაფა და ბირშები _ პალესტინის სამხრეთ ნაწილი, ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონი თურქეთის ხელში დარჩა.

ინგლისელი მინისტრების დაპირებების საფუძველზე სიონისტებმა შექმნეს ებრაული ლეგიონები, რომლებიც ინგლისის არმიის გვერდით იბრძოდნენ. პალესტინის მოსახლეობა აგენტებით ეხმარებოდა ინგლისის სარდლობას სამხედრო შპიონაჟისათვის და ამ აქტიურობისათვის მას ჰპირდებოდნენ ებრაულ სახელმწიფოს, ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე [110; 111].

ლოიდ ჯორჯის აზრით 1914-18 წლების ომი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის დრამატული შედეგი იყო და ოსმალეთის იმპერიის საბოლოო ნგრევით დასრულდა [146; 125].

საიქს-პიკოს შეთანხმების საფუძველზე თურქეთის არაბული სამფლობელოები რამდენიმე ზონად დაყვეს. ე.წ. „ლურჯი ზონა“ (დას. სირია, ლიბანი, კილიკია, მცირე სომხეთი, ქურთისტანის დიდი ნაწილი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის მცირე ნაწილი) საფრანგეთის სრულ მფლობელობაში გადადიოდა [146; 126]. ინგლისს მიეკუთვნა ე.წ. „წითელი ზონა“ (მნიშვნელოვანი ტერიტორიები მესოპოტამიაში _ სამხ. ერაყის დიდი ნაწილი ბასრისა და ბაღდადის ვილაიეთების სახით, პალესტინის ნავსადგურები ჰაიფა და აქქა). „ყავისფერი ზონა“ (პალესტინა, ჰაიფასა და აქქას გარეშე) [4; 382] დაუქვემდებარეს საერთაშორისო კონტროლს, ე.წ. ზონა „ა“ (აღმ. სირია, ზემო ერაყი _ ნავთით მდიდარი მოსულის ვალაიეთი) საფრანგეთის გავლენის სფეროებად ცხადდებოდა. ზონა „ბ“ (ტრანსიორდანია ანუ მდ. იორდანეს გაღმა მიწები და შუა ერაყი) _ ინგლისის გავლენის სფეროდ, რუსეთს მიეკუთვნა

ტრაპიზონი (ტრაბზონი), არზრუმი, ბაიაზეთი, ვანი, ბითლისი, სანაპირო ზოლი შავი ზღვის გასწვრივ ტრაპიზონიდან დასავლეთით, ქურთისტანის ნაწილი. რუსეთმა ითხოვა აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ ირანის ზოგიერთი ნაწილი, თურქეთის სომხეთი და აღმოსავლეთ ანატოლია. რუსეთი მოითხოვდა აგრეთვე პალესტინაში მართლმადიდებლური ეკლესიის უფლებებისა და პრივილეგიების ცნობას [38; 19].

ინგლისმა ეს შეთანხმება მორიგ მანევრად გამოიყენა ომით გამოწვეული სიტუაციიდან გამოსასვლელად და მიცემული პირობის დასარღვევად [15; 113]. ამ ხელშეკრულებამდე ერთი წლით ადრე ინგლისმა პირობა მისცა მექისა და ჰიჯაზის შერიფს ჰუსეინ ალ-ჰაშიმს, რომ ომის დამთავრებისთანავე არაბული ქვეყნები მიიღებდნენ დამოუკიდებლობას თუ ისინი მოკავშირეთა გვერდით დადგებოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ [82;25].

ბალფურის დეკლარაციამ შეუზღუდავი უფლებები მიანიჭა პალესტინაში ებრაელთა ემიგრაციას. დეკლარაცია დაწერილი იყო ბანკირ ლორდ როტშილდის სახელზე, რომელიც დასათაურებული იყო შემდეგი სახით: „ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სტატს-მდივნის ბალფურის წერილი ლორდ როტშილდის სახელზე პალესტინაში ებრაელთა ეროვნული კერის შექმნის შესახებ 1917 წ. 2 ნოემბრიდან“. მასში ნათქვამი იყო: ,,მისი უდიდებულესობა კეთილგანწყობით ეკიდება პალესტინაში ებრაელი ხალხის ეროვნული კერის (National home) შექმნას და ყოველ ღონეს იხმარს ამ ამოცანის განსახორციელებლად» [11;23]. ღა თქმა უნდა არავითარი ზომები არ იქნება მიღებული, რომლებიც შებღალავენ პალესტინის არაებრაელი მოსახლეობის სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს და აგრეთვე იმ პოლიტიკურ სტატუსსა და უფლებებს, რომლითაც ებრაელები სარგებლობენ ყველა სხვა ქვეყნებში“. თუმცა, ამ დროს პალესტინაში ებრაელები მოსახლეობის მხოლოდ 10% შეადგენდნენ. ალბათ ამიტომ ბალფური დაუფარავი ცინიზმით ამბობდა: ,,სიონიზმი, მართალია თუ არა, კარგია თუ ცუდი, სათავეს იღებს უძველესი ტრადიციებიდან და დღეს გასაჭირშია. პალესტინაში „ებრაელთა ეროვნული

კერის“ შექმნა ფაქტობრივად პალესტინელი არაბების გასახლებას ნიშნავდა – (მიუხედავად დეკლარაციაში ნათქვამი გარანტიებისა) [11; 27].

„ბალფურის დეკლარაცია“ უარყო პალესტინის არაბმა მოსახლეობამ [115;74]. 1919 წლის ივლისში დამასკოში ჩატარდა სირიელთა საერთო კონგრესი, რომელსაც ესწრებოდნენ პალესტინელი დელეგატებიც, ემირი ფეისალი, ჰიჯაზის მეფის ჰუსეინის ვაჟი ფეისალი, სირიის მეფე (ამ დროს პალესტინა სირიის შემადგენლობაში შედიოდა. 1920 წელს ფეისალი ტახტიდან ჩამოაგდეს ფრანგებმა, ინგლისელებმა კი ერაყის ტახტზე დასვეს. აბდალაჰი ისე დარჩა, მაგრამ მან თვითონ შექმნა სამეფო). ამ კონგრესზე უარყვეს ბალფურის დეკლარაცია [178; 168]. მათ განაცხადეს: „ჩვენ გამოვდივართ სიონისტების სურვილის წინააღმდეგ შექმნან ებრაული საზოგადოებები სამხ. სირიაში, ე. ი. პალესტინაში. წინააღმდეგი ვართ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე სიონისტთა მიგრაციისა“ [75; 19].

პალესტინის ფაქტორი ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა იორდანიის არა მარტო საგარეო, ასევე მის საშინაო პოლიტიკაზეც. 1922 წლის 24 ივლისს ერთა ლიგამ პალესტინაზე მანდატი დიდ ბრიტანეთს გადასცა. ამ საკითხზე კონსულატაცია არ გამართულა ბოლშევიკურ რუსეთთან, რომელიც არ ცნობდა მეფის მთავრობის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას (მათ შორის, არც «საიქს-პიკოს შეთანხმებას») და ამის გამო არც ანტანტა არ ცნობდა მას რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრედ.

მანდატში შეიტანეს «ბალფურის დეკლარაციის» ყველა დებულება და იგი მოითხოვდა მანდატორისაგან ებრაელთათვის დახმარების აღმოჩენას მათი ეროვნული კერის დაარსებაში. მანდატის თანახმად «პალესტინა» მდინარე იორდანეს დასავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებს მოიცავდა. მაგრამ, მანდატის 25-ე მუხლი მანდატორს უფლებას აძლევდა, ერთა ლიგის თანხმობით გადაედო ან უარი ეთქვა ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებაზე იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობდა მდ. იორდანეს აღმოსავლეთით. 1922 წლის ივლისში გამოყენებული დეფინიცია, როდესაც «პალესტინად» ცხადდებოდა მდ. იორდანეს ორივე მხარეს მდებარე ტერიტორია, ფაქტობრივად შეიცვალა სულ ორი თვის შემდეგ. მაგრამ მანდატის თავდაპირველი ტექსტი ისრაელის ნაციონალისტებს საბაბს აძლევს ამტკიცონ, რომ «პალესტინა _ ეს იორდანიაა» და დასაშვებად მიიჩნიონ

«დასავლეთ ნაპირის» არაბული მოსახლეობის ტრანსფერი[2] [68; 6] იორდანიის აღმოსავლეთით. მართალია, ამ აზრს არ იზიარებს ისრაელის პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსთა დიდი უმრავლესობა, მაგრამ «ტრანსფერის» იდეის პერიოდული მუსირება ისრაელში დღესაც ძალიან ძაბავს არაბული ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს [21; 213].

ამ საბაბით დიდმა ბრიტანეთმა მიიღო ერთა ლიგის თანხმობა და 1922 წლის სექტემბერში პალესტინაზე ცალკე გამოყო ავტონომიური ერთეული _ ტრანსიორდანია, სადაც ამირად დასვეს მექის შერიფის ჰუსეინის ვაჟი აბდალაჰი (ერაყის მეფის ფეისალის ძმა). მან დაუდო სათავე იორდანიის ჰაშიმიანთა დინასტიას, რომელიც დღემდე მართავს იორდანიას [21; 45]. მეფე ჰუსეინის ვაჟი აბდალაჰი ტრანსიორდანიაში 1921 წელს ჩავიდა და თავისი რეგულარული არმიით, მაშინვე დაიკავა ქვეყანა სხვა ქვეყნების გაერთიანების მიზნით. 1922 წლის მანდატით კი დიდმა ბრიტანეთმა ტრანსიორდანიას «დამოუკიდებლობა» მიანიჭა. 1923 წლის 25 აპრილს პალესტინის უმაღლესმა კომისარმა სერ ჰერბერტ სემუელმა ამანში საზეიმოდ გამოაცხადა ტრანსიორდანიის დამოუკიდებლობა და სხვა არაბულ ქვეყნებთან ერთად მისი ფედერაციაში გაერთიანება, მხოლოდ ერთი _ მოვალეობების შესრულებაზე კონტროლის პირობით და მანდატიდან გამომდინარე კონსტიტუციის მიღებით [21; 48].

ახლო აღმოსავლური ფედერაციის იდეა _ «კვიპროსი-პალესტინა-ტრანსიორდანია-ერაყი» _ დიდი ბრიტანეთის აზიური პოლიტიკური გეგმის გაგრძელება იყო [21; 214]. მანდატის ძალით დიდი ბრიტანეთს ტრანს იორდანიაში მიენიჭა მთელი საკანონმდებლო და აღმსარულებელი ძალაუფლება, სასამართლო სისტემის კონტროლის, საკუთარი ჯარის ყოლის და სხვა უფლებები. მანდატორს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რომ განევითარებინა თვითმმართველობის უფლებები, მიუხედავად რასისა და რელიგიისა [88; 49].

მეფე აბდალაჰი თავისი სიცოცხლის ბოლომდე დიდი ბრიტანეთის იმპერიის მომხრე დარჩა, რომელსაც უკვე დაკარგული ჰქონდა მსოფლიოს მმართველი როლი და ამ მხრივ აბდალაჰი დროს ჩამორჩა, მომავალში ისრაელთან მშვიდობის

[2] ტრანსფერი _ «ნებაყოფლობითი გადასახლება», ფაქტობრივად _ განდევნა.

დამყარების სურვილით კი მან დროს გაუსწრო [2; 214]. მექელი ჰაშიმიანთა ოჯახიდან იყო, სადაც თავს იყრიან მთელი მსოფლიოს მომლოცველები. ქალაქი თურქეთის ბატონობის ქვეშ იყო. პირველი მსოფლიო ომის დროს ახალგაზრდა აბდალაჰი აქტიურად მონაწილეობდა არაბთა აჯანყებაში ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელსაც ბრიტანეთის დაზვერვის თანამშრომელი, ცნობილი ედუარდ ლოურენსი მეთაურობდა (მეტსახელად ლოურენს არაბი).

1920 წელს აბდალაჰი ამანში ჩავიდა, სადაც მხოლოდ რამდენიმე ათასი მცხოვრები იყო, ძირითადად კავკასიიდან გადმოხვეწილები _ ჩერქეზები,[3] რომლებიც თურქეთის არმიის დაქირავებული მებრძოლები იყვნენ. მათ აბდალაჰი მეფედ აღიარეს. კოლონიათა მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა გადაწყვიტა, რომ ებრაელებს, სირიელებს, ერაყელებსა და საუდიანებს შორის პატარა ბუფერული სახელმწიფო არ ავნებდა დიდი ბრიტანეთის იმპერიას. ჩერჩილმა შექმნა აბდალაჰი ტრანსიორდანიის ემირად _ 23 ათასი მცხოვრებით, რომელთა უმრავლესობაც მომთაბარე ბედუინები იყვნენ. ამ სახელმწიფოში ერთი სარკინიზგო გზა იყო, რომელსაც მომლოცველები წმინდა ადგილებში გადაჰყავდა. არ იყო არც ერთი მოასფალტებული ქუჩა. ბიუჯეტის შესავსებად აბდალაჰი ინგლისელებისაგან ყოველწლიურად 150 ათას ფუნტ სტერლინგს იღებდა. ახალი სამეფოს ერთადერთი ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილი «არაბული ლეგიონი» ინგლისელმა გენერალმა ჯონ ბეგოთ გლაბმა (გლაბ ფაშა) გაწვრთნა [104; 53]. სწორედ არაბული ლეგიონი გახდა ინგლისისათვის ძირითადი პოლიტიკური ძალა ახლო და შუა აღმოსავლეთში. როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს გერმანულ-ფაშისტური არმია უკვე ელ-ალამეინს უახლოვდებოდა, არაბული ლეგიონი ჯერ სინაის ნახევარკუნძულზე, შემდეგ კი ჩრდილოეთ აფრიკაში გადაისროლეს. ინგლისის მიერ ბალკანეთში მეორე ფრონტის გახსნაში არაბულმა ლეგიონმა განსაზღვრული როლი შეასრულა. II მსოფლიო ომის დროს გაიზარდა არაბული ლეგიონის ინგლისის სუბსიდიებით დაფინანსება. უზარმაზარმა სამარმა ხარჯებმა კიდევ უფრო გაართულა იორდანიის მოსახლეობის კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა, იმატა შიმშილმა და სიღარიბემ [16; 141]. აბდალაჰის არმიის ბირთვს არაბული ლეგიონის ბრიტანელი ოფიცრები

შეადგენდნენ ჯონ გლაბის მეთაურობით [104; 53]. იორდანიის ისტორია _ ეს არის მისი არმიის ისტორია, რომლის გამოც ის შეიქმნა ინგლისელების მიერ [77 ;10]. მოგვიანებით, ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა იორდანიას «ეკონომიკური უაზრობა», ბრიტანული ინტერესებისათვის უაითჰოლში შეკოწიწებული სახელმწიფო უწოდა. მაშინდელ ლონდონის «თაიმსი» კი წერდა, რომ ეს სახელმწიფო მაშინდელი კოლონიათა მინისტრის უინსტონ ჩერჩილისა და საიდუმლო სამსახურის პოლკოვნიკ ლოურენსის მიერ «სიგარასა და ბრენდს შორის შესვენებაზე» შეიქმნა. სხვათა შორის, ლოურენსს მეფეთა შემქმნელსაც უწოდებდნენ.

ლევანტის ქვეყნების მიმართ თავის პოლიტიკაში ინგლისი იმედს ფეოდალურ-მონარქიულ დაჯგუფებაზე ამყარებდა, პირველ რიგში კი, აბდალაჰსა და მის გარემოცვაზე. ტრანსიორდანიის ამირად გამოცხადების მომენტიდან აბდალაჰს არ ასვენებდა ახლო აღმოსავლეთში ჰაშიმიანთა იმპერიის შექმნის გეგმა. ის არაერთხელ შეეცადა მოლაპარაკება ეწარმოებინა ინგლისთან, იდეის გარშემო რომელიც ჰაშიმიანთა დინასტიის ქვეშ სირიის, ერაყის, ლიბანის, ტრანსიორდანიის, არაბეთის ნახევარკუნძულის ნაწილის და პალესტინის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას ისახავდა მიზნად. ეს გეგმა მხოლოდ უნაყოფო ცდა იყო, რომელსაც სერიოზულად არც ინგლისი აღიქვამდა და არც თვით არაბული პოლიტიკური წრეები [86; 64], მითუმეტეს, რომ სირია და ლიბანი საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიად გამოცხადდნენ.

პოლკოვნიკი თომას ედუარდ ლოურენსი ოცნებობდა ისეთი «არაბული იმპერიის» შექმანზე, რომელიც ლონდონიდან აბრეშუმისა და ოქროს ძაფების მეშვეობით იმართებოდა. მან სწრაფად შეაფასა ამ რაიონის მნიშვნელოვანი საგანგებო და სტრატეგიული მდგომარეობა. ინგლისის სამთავრობო წრეებსა და აბდალაჰის გეგმებს შორის გარდატეხა II მსოფლიო ომის დასაწყისში მოხდა. აბდალაჰმა ორი მემურანდუმი გაუგზავნა ინგლისელებს, რომლებშიც განაცხადა, რომ სირია და ტრანსიორდანია ერთიანი სახელმწიფოს შექმნისაკენ ისწრაფვიან. ეს იყო ამირ აბდალაჰის ამ გეგმების პირველი გაცხადება. ამ პროექტმა, რომელმაც შემდგომ «დიდი სირიის» პროექტის სახელწოდება მიიღო.

---

[3] იორდანიაში ჩერქეზებს უწოდებენ ყაბარდინელებს, ლეზგინებსა და ოსებს.

თ ა ვ ი II

იორდანიის და პალესტინის საკითხი სამანდატო რეჟიმის გაუქმების შემდეგ

ინგლისის არაბული პოლიტიკის საფუძველი გახდა მაშინდელ კოლონიათა მინისტრის უინსტონ ჩერჩილის სიტყვები ნათქვამი 1921 წელს: „არაბ ხალხთან დამოკიდებულებაში შესაძლოა ორი პოლიტიკის გატარება. ერთი მდგომარეობს იმაში, რომ არაბები დაქსაქსო, თავგზა აუბნიო მათ ეროვნულ მისწრაფებებს. ყოველ ადმინისტრაციულ ქალაქსა და ადგილზე დააწესო ადგილობრივი სანოტაბლო სისტემა, შენი ძალაუფლება განახორციელო ერთი ტომის მეორეზე მისევით... მეორე პოლიტიკა კი, ჩემი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ძველი ქალაქის _ ბაღდადის ირგვლივ ააშენო დიდ ბრიტანეთთან მეგობრული არაბული სახელმწიფო“ [110; 31].

პალესტინელი არაბები მიხვდნენ, რომ ისინი, უბრალოდ, მოატყუეს. რადგანაც შერიფისა და ინგლისელების იმედით ოსმალეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ მათი ქვეყანა ინგლისის სამანდატო ტერიტორიად იქცა და ბალფურის დეკლარაცია მანდატს შეუერთდა. მოხდა დიდი გაწბილება, უფრო სწორად სკანდალი _ იერუსალიმში დაიწყო საპროტესტო დემონსტრაციები. ფელაჰები და ქალაქელები უარს ამბობდნენ გადასახადებზე, აპროტესტებდნენ სხვადასხვა ქვეყნის არაბი ლიდერებიც. მაგრამ ასეთ სიტუაციებში უინსტონ ჩერჩილი ახალ „ორმხრივ ვალდებულებებს“ აყენებს. ერთი მხრივ არაბები არ უნდა გაენაწყენებინათ და ამავე დროს ხელი უნდა შეეწყოთ ებრაელთა ემიგრაციისათვის [96; 107].

ლოიდ ჯორჯის აზრით, ინგლისს უნდა შეექმნა კოლონიურ სამფლობელოთა მტკიცე ჯაჭვი აზიაში სტამბოლიდან სინგაპურამდე [118; 116]. ინგლისის დამოუკიდებელი კოლონიური სურვილები უფრო გვიან, 1947 წ. გამოხატა დიდი ბრიტანეთის კოლონიათა მინისტრმა სტენლიმ ინგლისის პალატაში პალესტინის საკითხის განხილვის დროს: „ჩვენ საკუთარ თავზე ავიღეთ ვალდებულება, მაგრამ მე მწამს, რომ ინგლისი არასოდეს დაკარგავს ინტერესს, პალესტინის მიმართ“ [136; 31].

პალესტინაში ყველას თავისი ინტერესები ჰქონდა. 1944 წ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ პალესტინის სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო აშშ-ს ნავთობისა და

სამხედრო ინტერესების გათვალისწინებით, რადგანაც მსოფლიო პოლიტიკაში ნავთობს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი საკმაო მასალებს იძლევა იმისთვის, რომ ზუსტი პასუხი გავცეთ კითხვაზე: რატომ მოექცა ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში და რატომ ასრულებდა იმ დროისათვის ეს რეგიონი ასეთ დიდ როლს მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობაში. დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ დიდ სახელმწიფოებს და პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებს, ახლო აღმოსავლეთში იზიდავდა ნავთობი და ამ რაიონის სტრატეგიული მნიშვნელობა [25; 64].

ბრიტანეთი ყოველნაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა მანდატი პალესტინაზე, 1946 წ. მან მოიწვია კონფერენცია და შეეცადა განეხორციელებინა ე.წ. „მორისონის გეგმა“. პალესტინის 4 ავტონომიურ ერთეულად დაყოფა (ებრაული, არაბული, 2 ბრიტანეთის მმართველობაში), კონფერენციაში მონაწილეობდნენ არაბული ქვეყნების ლიგის წევრები ებრაელებთან ერთად. პალესტინის არაბულმა ორგანიზაციამ უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე. ინგლისმა ვერ შეძლო თავი გაერთვა შექმნილი პრობლემებისთვის, თუმცა პალესტინაზე კონტროლის დაკარგვა არ სურდა.

1946 წლის 25 მაისის შეთანხმებით, ოფიციალურად გამოცხადდა ტრანსიორდანიის დამოუკიდებლობა, რომელსაც იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო ეწოდა. ტრანსიორდანიის ახალ საერთაშორისო სტატუსს შიდა პოლიტიკური და სახელმწიფო მოწყობის ცვლილებები არ მოჰყოლია. აქ, ძველებურად სამანდატო კანონები იყო ძალაში. 1946 წლის 28 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძალაში 1947 წლის 1 თებერვალს შევიდა, თუმცა, ამ კონსტიტუციით მხოლოდ ფორმალურად გაიზარდა საკანონმდებლო ორგანოს უფლებები, პარლამენტს ძველებურად არ შეეძლო ფინანსებისა და ცენტრალური აპარატის გაკონტროლება. ძალზე ფართო იყო მეფის უფლებები: ის ნიშნავდა პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს, რომლებიც მხოლოდ მის წინაშე იყვნენ პასუხისმგებლები. მეფის უფლება იყო ომის დაწყება და საერთაშორისო

ხელშეკრულების დადება. მას ეკუთვნოდა გადამწყვეტი სიტყვა კონცესების საკითხში, შეეძლო პარლამენტის დათხოვნა, ჰქონდა ვეტოს უფლება [145; 130].

ინგლის-იორდანიის პოლიტიკური შეთანხმებები ფართოდ განიხილებოდა იორდანიისა და მისი მეზობელი არაბული ქვეყნების პოლიტიკურ წრეებში. ინგლისი ამას კეთილგანწყობით შეხვდა, რადგანაც ამ ფაქტს შუა აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბლოკის შექმნისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად თვლიდა. ახლო აღმოსავლეთში ჰაშიმიანთა ჰეგემონიის დამყარების შემდეგი ნაბიჯი იყო 1947 წლის 14 აპრილის ერაყ-იორდანიის შეთანხმება «ძმობასა და კავშირზე», სადაც ერთმანეთს საჭიროებისამებრ სამხედრო ძალით დახმარება აღუთქვეს. აბდალაჰი თვლიდა, რომ ეს შეთანხმება მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა არაბულ სამყაროში. ეს კი «დიდი სირიის» პროექტის ნაწილი იყო. იორდანის მთავრობის პოლიტიკამ არაბთა ლიგის წევრი ქვეყნების დაახლოებას შეუწყო ხელი. ერაყის გარდა, ფაქტობრივად, მთელი არაბული სამყარო აბდალაჰის გეგმის წინააღმდეგ გამოვიდა. საუდის არაბეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მსგავსი პოლიტიკის შემთხვევაში ის კვლავ დააყენებდა აკაბისა და მაანის სადავო რაიონების საკითხს. არაბულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ წრეებში არაბულ ქვეყანათა ლიგიდან იორდანიის გარიცხვის საკითხი დააყენეს. იორდანიის მცდელობა _ არაბული ქვეყნების წინააღმდეგობის განეიტრალების შესახებ, რომელიც ე.წ. ჰიჯაზის კონგრესის მოწვევით გამოიხატა, უშედეგოდ დასრულდა. თუმცა, აბდალაჰი იძულებული იყო დაეთმო 1947 წლის 14 ოქტომბერს პალესტინის საკითხთან დაკავშირებით. არაბული ქვეყნების აუცილებელი კონსოლიდაციის გამო, აბდალაჰმა დროებით მოხსნა «დიდი სირიის» შექმნის გეგმა.

ამით ფაქტობრივად დამთავრდა მეფე აბდალაჰის მეთაურობით არაბული ქვეყნების გაერთიანების მცდელობა. პალესტინის I ომის წინ იორდანიის მთავრობის წინაშე სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები დადგა, რომლებმაც «დიდი სირიის» პროექტი მეორე პლანზე გადასწია.

II მსოფლიო ომში ინგლისმა აშშ-ს დახმარებით გამარჯვება იზეიმა, გამარჯვების სიხარულის უკან მწარე სინამდვილე იმალებოდა. ინგლისი ისე ძლიერ დაზარალდა, რომ ომის შემდგომ პერსპექტივები დამარცხებულ მხარეზე უფრო

სახარბიელო არ ყოფილა. ომი ინგლისს საკუთარი ეროვნული სიმდიდრის მეოთხედი დაუჯდა [89;40]. II მსოფლიო ომში დასუსტებული იმპერია იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო კოლონიებთან დამოკიდებულებაში. თითქოს თანასწორუფლებიანობის დამყარების მიზნით «ერთა თანამეგობრობა» გამოაცხადეს, ხოლო 1947 წელს ინგლისის დომინიონების საქმეების სამინისტრო «ერთა თანამეგობრობის» სამინისტროდ გადაკეთდა. ეს აქცია ლეიბორისტებმა ინგლისის «იმპერიალიზმის დასასრულად» და კოლონიებთან დამოკიდებულებაში «ახალი ერის» დასაწყისად გამოაცხადეს [38; 132].

ინგლისის მომავალი ბურუსით იყო მოცული. ქვეყანა იძულებული გახდა უფრო და უფრო შეემცირებინა ხარჯები საზღვარგარეთ და ეკონომია გაეწია, რაც შემდეგში პალესტინის დათმობის ერთ-ერთი მიზეზი იყო [89; 41]. იგივე შეიძლება ითქვას «მსოფლიო ქალაქზე» _ იერუსალიმზე, რომელიც ოსმალეთის დაშლის შემდეგ, 1920-1947 წლებში პალესტინის ადმინისტრაციული ცენტრი იყო.

ამას დაერთო სიონისტების ზეწოლა ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობის პირობებში. დიდი ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა, პალესტინის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განსახილველად გაეტანა [193; 143]. ინგლისური დიპლომატია საკუთარი პოლიტიკის «დაყავი და იბატონე-ს” ნაყოფს იმკიდა, მის მიერ გამწვავებული არაბულ-ებრაული ანტაგონიზმი მთავარ დაბრკოლებად იქცა მშვიდობის მიღწევის საკითხში. მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთი იმედოვნებდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საკითხის განხილვის შემდეგ პალესტინაში თავისი პოლიტიკის შენარჩუნებას შეძლებდა. დიდი ბრიტანეთის კოლონიების მინისტრი ჯონსი ამბობდა: «ჩვენ იმისთვის კი არ მივდივართ გაეროში, რომ მანდატი ჩავაბაროთ, ჩვენ მივდივართ, რათა რჩევა ვკითხოთ, თუ როგორ ვმართოთ მანდატით კოლონიები” [89; 40].

1946 წლის 25 მაისს გამოცხადდა იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს შექმნა, აბდალაჰი მეფე გახდა [41; 56]. ინგლისელებმა აბდალაჰი ტრანსიორდანიის ემირიდან დამოუკიდებელი იორდანიის მეფედ გახადეს. მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა მეფეს. იორდანია ფაქტობრივად ინგლისზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ დარჩა. იორდანიის მთავრობამ თავის

თავზე აიღო ინგლისის 150 ათასიანი არმიის შენახვა. ახალი სამეფოს ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილი, «არაბული ლეგიონი», ინგლისელმა გენერალმა ჯონ ბეგოთ გლაბმა (გლაბ ფაშამ) გაწვრთნა და მის მეთაურად დარჩა 1956 წლამდე [104; 53]. 1948 წლის ახალი შეთანხმებით შენარჩუნდა ინგლისის არმიის არაბული ლეგიონის იორდანიაში ყოფნა, ამ ძალის ინგლისის ინტერესებისათვის გამოყენების გათვალისწინებით, ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კი. ინგლისის მიერ «დიდი სირიის» პროექტით წაქეზებულმა იორდანიამ არაბული ქვეყანების ლიგის უკმაყოფილება გამოიწვია. იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძლებას წარმოადგენდა იყო 1946 წლის მარტში ერაყ-თურქეთის, 1947 წლის იანვარში თურქეთ-იორდანიის, 1947 წლის აპრილში კი ერაყ-იორდანიის ხელშეკრულებების დადება, რაც პირველი ნაბიჯი იყო რეგიონში ანტისაბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნისაკენ. თუმცა, პალესტინაში მომხდარმა ცვლილებებმა ახლო აღმოსავლეთში სიტუაცია მთლიანად შეცვალა [119; 10].

პალესტინაში ჯერ კიდევ 1947 წლის დეკემბერში დაიწყო დაპირისპირებები, რომლებიც 1948 წელსაც გაგრძელდა. პალესტინის უშიშროების ძალების გამოყენება ისრაელზე ტერორისტული თავდასხმების აღსაკვეთავად დიდი ხნის განმავლობაში პრობლემატური საკითხი იყო [61; 351]. 1948 წლის იანვარში სიონისტებმა ააფეთქეს ქალაქ იაფას პარკი. ამ აფეთქების შედეგად დაიღუპა 22 პალესტინელი არაბი, ბევრი დაიჭრა. მეორე დღეს იერუსალიმში სიონისტებმა სასტუმრო «სემირამისი» ააფეთქეს. მსგავსი ტერორისტული აქტები გაგრძელდა იანვარში, თებერვალსა და მარტშიც. 1948 წლის 9-10 აპრილს უმძიმესი ტრაგედია დატრიალდა არაბულ სოფელ დერ-იასინში. 9 აპრილის ღამეს, ორი სიონისტური ორგანიზაციის, «შტერნისა» და «ირგუნ ცვაი ლეუმის» ექსტრემისტებმა, რომლებიც იერუსალიმის გარეუბანში იმყოფებოდნენ, სისხლიანი სასაკლაო მოაწყვეს. დაიღუპა 254 ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები. სიონისტურმა ძალებმა აპრილშივე დაიკავეს ჰაიფა, იაფა და იერუსალიმის კვარტალი _ კატამონი. მაისში აიღეს საფადი, ბეისალი და სხვა დასახლებული პუნქტები. 1948 წლამდე, ე.ი. ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებამდე, მისი მომავალი ტერიტორიიდან 400.000 არაბი განდევნეს. პალესტინელებმა თავიანთი სახლები დატოვეს არა თავიანთი სურვილით, ან სხვა

არაბული ქვეყნების მთავრობების ბრძანებით, არამედ სიკვდილის შიშით [119; 13]. ბრიტანეთის მანდატის დამთვარების შემდეგ პალესტინას რეალურად არა საერთაშორისო შეთანხმებების, არამედ შეიარაღებული ძალების ეშინოდა. შეთანხმებიდან რამდენიმე თვეში, კერძოდ 1948 წლის 15 აპრილს ბრიტანეთმა დატოვა პალესტინა, უშუალოდ ის საბრძოლო ზონა, რომელიც პალესტინელ არაბებსა და სიონისტურ რაზმებს შორის მდებარეობდა. ეს ორგანიზაციები იყო ცნობილი «ხაგანი» და «ირგუნი» [150; 7]. გაძლიერდა ძალადობა ებრაელებსა და არაბებს შორის. ათასობით პალესტინელი იძულებული გახდა გაქცევით ეშველა თავისათვის და თავისი დასახლებები დაეტოვებინა. გადასახლებულ იქნა 800.000 პალესტინელი, 400.000 მაშინვე და 400.000 კი _ 1948 წლის შემდეგ [148; 72].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ განვითარებას ხშირად ისრაელისა და არაბული სამყაროს კონფლიქტის პრიზმაში ხედავენ. მართლაც, რეგიონისათვის უდიდესი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილება აღმოჩნდა პალესტინაზე ბრიტანული მანდატის დამთავრება და ისრაელის სახელმწიფოს შექმნა. უკვე 1948 წლიდან საგრძნობი მსხვერპლით დაიწყო თემთა შორის შეტაკებები. მოსალოდნელი იყო ომი გარედან ინტერვენციით, მით უმეტეს, რომ პალესტინის გაყოფის კონკრეტული მექანიზმი არ შემუშავებულა და რეალურად პასუხისმგებლობას არავინ იღებდა ამ მტკივნეულ აქციაზე [21; 331].

გაეროს შექმნა ანტიჰიტლერული კოალიციის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პოლიტიკური აქცია იყო. ამავე დროს გზა სან-ფრანცისკომდე იოლი არ ყოფილა. აშშ-ის მმართველი წრეების სურვილთა და რწმენით მათ ქვეყანას შეუზღუდველი ერთპიროვნული მოქმედების შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა ომის შემდგომ მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატები გაეროს განიხილავდა, როგორც თავისი პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტს ევროპასა და აზიაში, როგორც საკუთარი კონტროლის შენარჩუნებისა და გაძლიერების საშუალებას დასავლეთ ნახევარსფეროში”. ვაშინგტონმა შეძლო საერთაშორისო ურთიერთობათა თავისებურად ახალი სიმძიმის ცენტრის გადაწევა ოკეანის მიღმა.

განაგებდა რა იმდროინდელ ორგანიზაციაში დასავლეთის სახელმწიფოებისა და დამოუკიდებელი ქვეყნების ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას აშშ-მა შექმნა

კენჭისყრის მანქანა, რომელსაც აბსოლუტურად უნდა უზრუნველყო ვაშინგტონისათვის მისაღები რეზოლუცია ნებისმიერ საკითხზე [59;51]. 1947-1948 წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციია გენერალურმა ასამბლეამ თავის სხდომაზე არაერთხელ განიხილა პალესტინის პრობლემები. მათი განხილვა ისეთ პირობებში მიმდინარეობა, როდესაც ინგლის-ამერიკის ბლოკს რიცხობრივი უპირატესობა გააჩნდა გაეროში, კერძოდ, მის უშიშროების საბჭოში, თითქმის განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდა წარმომადგენელთა უმრავლესობაზე, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, რომლებიც მაშინ საერთაშორისო იმპერიალიზმზე იყვნენ დამოკიდებულნი. გაეროს 55 წევრიდან დამოუკიდებლად წარმოდგენილი იყო მხოლოდ 4 აფრიკული ქვეყანა, დანარჩენები ჯერ კიდევ კოლონიებად რჩებოდნენ. ამ პირობებში დიდ სახელმწიფოებს შეეძლოთ თითქმის ყველა საკითხში ხმათა უმრავლესობის მიღების იმედი ჰქონოდათ.

აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვა დიდი სახელმწიფოები ცდილობდნენ არ დაეშვათ პალესტინაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა საბჭოთა კავშირი პალესტინის, როგორც არაბული, ასევე ებრაული მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას, უცხო სახელმწიფოებს შორის ჩაურევლობას, პალეტინაში სამანდატო მმართველობის შეცვლას, ბრიტანეთის ჯარების გამოყვანას და ამგვარად საკითხის თანასწორუფლებიან გადაწყვეტას მოითხოვდა [22; 57].

1947 წლის 13 მაისს პალესტინის საკითხის გადასაწყვეტად გაეროს სპეციალური კომისია შეიქმნა იმ თერთმეტი სახელმწიფოს წარმომადგენლებით, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩათრეული პალესტინის კონფლიქტში. კომისიამ ევროპაში და ერეც-ისრაელში ე.ი. პალესტინაში «გადაადგილებული პირთა” ბანაკები მოინახულა და აუცილებელი მასალები შეაგროვა. ამის შემდეგ მან ანგარიში მოამზადა, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად [80; 189].

1. ინგლისის მანდატი პალესტინაზე შეწყდეს 1948 წლის 1 მაისამდე და ინგლისის არმიამ ეს რაიონი ამ თარიღიდან სამი თვის ვადაში დატოვოს. მმართველობა დროებით გადაეცეს გაერო-ს სპეციალურ კომიტეტს.

2. მანდატის მოქმედების შეწყვეტისთანავე, არა უგვიანეს 1948 წლის 1 ოქტომბრისა, პალესტინა გაიყოფა ორ – არაბულ და ებრაულ _ სახელმწიფოდ, გაეროს რეკომენდაციებით განსაზღვრულ საზღვრებში. იერუსალიმის საერთაშორისო კონტროლის ქვეშ განსაკუთრებულ რაიონად გამოყოფა.

3. გაეროს სამუშაო სესიაზე არჩეული იქნება დროებითი სახელმწიფო კომიტეტები ორი სახელმწიფოსათვის და ძალაუფლება გადავა მათ ხელში არა უგვიანეს 1948 წლის 1 ოქტომბრისა.

4. პორტები და მათთან მისასვლელი გზები, რომლებიც მომავალი ებრაული სახელმწიფოს საზღვრებშია, უნდა გადაეცეს თემს არა უგვიანეს 1948 წლის 1 თებერვლისა, რათა თავისუფალი ემიგრაცია უზრუნველყონ.

5. გარდამავალი პერიოდში ერეც-ისრაელზე (ე.ი. პალესტინაზე) მმართველობა გადაეცემა გაეროს სპეციალურ სამუშაო კომისიას და თანდათან ორივე სახელმწიფოს დროებით მთავრობებს გადაეცემა [80; 196].

სსრკ-ს დელეგაციას მიაჩნია, რომ გაერო-ს გენერალურ ასამბლეის სესიაზე 1947 წლის მაისში წარმოდგენილი პროექტი პალესტინაში დამოუკიდებელი ფედერაციულ-დემოკრატიული არაბულ-ებრაული სახელმწიფოს შექმნის თაობაზე მისაღები იყო. პროექტის თანახმად, არაბები და ებრაელები ერთნაირი უფლებებით ისარგებლებდნენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პროექტის მიღება შეუძლებელი იქნებოდა, სსრკ-ს დელეგაცია არ გამორიცხავდა სხვა პროექტის განხილვას, რომელიც გაითვალისწინებდა პალესტინის გაყოფას ორ დამოუკიდებელ – არაბულ და ებრაულ სახელმწიფოდ. დიდმა ბრიტანეთმა პალესტინის საკითხი განსახილველად გადასცა არა უშიშროების საბჭოს, რომლის გადაწყვეტილება კანონია ყველა წევრისათვის, არამედ გენერალურ ასამბლეას, რომლის გადაწყვეტილებასაც რეკომენდაციის ძალა აქვს და უფლებრივი თვალსაზრისით მისი შესრულება არაა სავალდებულო [9; 86] (პალესტინას “ბრიტანეთის ინდოეთს” უწოდებდნენ).

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გვასწავლის, რომ როდესაც ერთი სახელმწიფო მეზობელი სახელმწიფოსთან შეთანხმებით ცდილობს მოაწესრიგოს სასაზღვრო ტერიტორიების საკითხი, რის შედეგად ადგილი აქვს ამ ტერიტორიების

მცირე ნაწილების გაცვლა-გამოცვლას ან ცალმხრივად დათმობას... აუცილებელია, რომ ეს ფაქტი ჭეშმარიტად თანასწორებუფლებიან და ნებაყოფლობით შეთანხმებას ეყრდნობოდეს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იცნობს ტერიტორიის შეძენის ძალდატანებით შესაძლებლობასაც, მაგრამ ეს ძალდატანება აგრესიის საპასუხო აქციაა და დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში:

ა) «ისტორიული სამართლიანობის პრინციპზე" დაყრდნობით. ყოველი სახელმწიფო, რომელსაც თავის დროზე წაართვეს ტერიტორია აგრესიული ომის ან კაბალური ხელშეკრულების შედეგად, უფლებამოსილია დაიბრუნოს ეს მიწები აგრესიის დამარცხების შემთხვევაში ან ახალი ხელშეკრულება დადოს.

ბ) დამარცხებული აგრესიის მიმართ პოლიტიკური სანქციების გამოყენებით, რომელთა მიზანია აგრესორის დასჯა და მომავალში მისი მხრიდან აგრესიის განახლების თავიდან აცილება.

ტერიტორიის შეძენის ორივე ეს საშუალება გამონაკლისს წარმოადგენს თანამედროვე ეტაპისათვის, რადგანაც საერთაშორისო სამართალი კრძალავს ომს, როგორც ტერიტორიული და სხვა დავების გადაჭრის საშუალებას [18; 235]].

1947 წლის 28 აპრილს გენერალურმა ასამბლეამ საკითხი განსახილველად პირველ კომიტეტს გადასცა, რომელიც უშიშროების პოლიტიკურ საკითხებს განაგებდა. გენერალურმა ასამბლეამ რეკომენდაცია და გადაწყვეტილება დაამტკიცა, სპეციალური სესიის დღის წესრიგში არ შეეტანათ დამატებითი საკითხი «პალესტინაზე მანდატის შეწყვეტისა და მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ", რომელიც წამოაყენეს მთელმა რიგმა მუსლიმურმა ქვეყნებმა და რომელსაც მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირი [21; 58]. სსრკ-ს და ყოფილ მოკავშირეებს შორის წარმოშობილმა დაძაბულობამ ცივი ომის პირობებში შექმნა შანსი, რომ სსრკ-ს და მისი სატელიტეტების ზეწოლით გენერალური ასამბლეა ვერ მიიღებდა ხმების საჭირო რაოდენობას (2/3) პალესტინის გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებისათვის. პალესტინის საკითხთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ სესიაზე 1947 წლის 14 მაისს, სიტყვით გამოვიდა სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელმაც გამოხატა საბჭოთა კავშირის

პოზიცია და აღნიშნა: «ყველასათვის ცნობილია პალესტინაში მომხდარი სისხლიანი შეტაკებები. უფრო და უფრო ხშირი ხდება ასეთი მოვლენები. ამიტომაც ისინი უფრო მეტად იპყრობენ მსოფლიოს ხელხებისა და, პირველ რიგში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღებას. პალესტინაში სამანდატო სისტემის გაკოტრება, რომელმაც პალესტინაში სიტუაციის უკიდურესი გართულება და სისხლიანი შეტაკებები გამოიწვია, ეს საკითხი გენერალური ასამბლეის განსახილველი გახდა. ის ფაქტი, რომ ბრიტანეთის მთავრობამ გენერალურ ასამბლეას თვითონ გადასცა ეს საკითხი, არ შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს, თუ არა პალესტინაში არსებული მდგომარეობის გაგრძელების შეუძლებლობად [8; 161].

1947 წლის 26 თებერვალს თემთა პალატაში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბევინმა განაცხადა, რომ: «პალესტინაში ადმინისტრაციის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა. ის არ სარგებლობდა ხალხის მხარდაჭერით, ის იწვევდა ორივე მხარის კრიტიკას". ამ დასკვნამდე მარტო ბრიტანეთის მთავრობა არ მისულა. ამავე დასკვნამდე მივიდა, მაგალითად, პალესტინის საკითხთან დაკავშირებით ე.წ. ინგლისურ-ამერიკული კომისია, რომელმაც დაასკვნა: «პალესტინა წარმოადგენს შეიარაღებულ ბანაკს».

როგორც ცნობილია, პალესტინის საკითხზე და მის მომავალ მოწყობაზე იყო დამოკიდებული ებრაელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის იმედი. ბოლო ომში ებრაელმა ხალხმა განსაკუთრებული უბედურება და ტანჯვა გადაიტანა, რომლის გაზვიადების გარეშე აღწერა შეუძლებელია. ამის გადმოცემა ძნელია მსხვერპლთა მშრალი ციფრით, რომელიც ებრაელ ხალხს ფაშისტურმა გენოციდმა მიაყენა. იმ ტერიტორიაზე, სადაც ჰიტლერელები ბატონობდნენ, ებრაელებმა თითქმის მთლიანი ფიზიკური განადგურება განიცადეს. ფაშისტი ჯალათების ხელით დაღუპული ებრაელი მოსახლეობის ოფიციალური რიცხვი დაახლოებით 6 მილიონი ადამიანია. დასავლეთ ევროპაში მხოლოდ ნახევარი მილიონი ებრაელი გადაურჩა ომს. ევროპის ებრაული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სამშობლოს, ჭერსა და საარსებო პირობებს მოწყვეტილი აღმოჩნდა. ასეული ათასი ებრაული დაეხეტებოდა ევროპის სხვადასხვა მხარეში საარსებო პირობებისა და თავშესაფრის ძებნაში. ის გარემოება, რომ არც ერთი დასავლეთ ევროპული სახელმწიფო არ აღმოჩნდა მზად ებრაელი ხალხის

ელემენტარული უფლებებისა და ფაშისტი ჯალათების ძალადობისაგან დასაცავად, აბრკოლებდა ებრაელების მისწრაფებას თავიანთი სახელმწიფოს შექმნისაკენ [8; 165].

1947 წლის 15 მაისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა პერველი კომიტეტის რეკომენდაცია, პალესტინის საკითხთან დაკავშირებით შექმნილიყო სპეციალური კომიტეტი 11 სახელმწიფოს შემადგენლობით. 24-26 მაისს სპეციალურმა კომისიამ მუშაობა დაიწყო და 4 სხდომა ჩაატარა. მისი წევრები დაინტერესებულ მხარეებთან შესახვედრად პალესტინაში ჩავიდნენ, მაგრამ მხოლოდ ებრაული სააგენტოს და სხვა სიონისტური ორგანიზაციის წარმომადგენლებს და პალესტინის კომპარტიის წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომელთაც მკაფიოდ წარმოადგინეს თავისი პოზიციები. გენერალური ასამბლეის რეკომენდაციით საგანგებო კომიტეტი დაარსდა, რომელმაც 1947 წლის 25 ნოემბერს მხარი დაუჭირა წინადადებას პალესტინის ორ დამოუკიდებელ არაბულ და ებრაულ სახელმწიფოდ გაყოფის თაობაზე. ქალაქი იერუსალიმი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ცალკე უნდა გამოყოფილიყო განსაკუთრებული საერთაშორისო სტატუსით და მთელ პალესტინას ეკონომიკური ერთიანობა უნდა შეენარჩუნებინა. ეს გეგმა 1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 128-ე სხდომაზე ხმათა უმრავლესობით იქნა მოწონებული [1; 31].

ამრიგად, 1947 წლის 29 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 181 (11) რეზოლუციით მიიღო, პალესტინის გაყოფისა და ინგლისის ყოფილ სამანდატო ტერიტორიაზე პალესტინაში ორი სახელმწიფოს – ებრაული და არაბული _ შექმნის შესახებ [42; 31]. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად ებრაელთა სახელმწიფოს გამოეყოფა 14,1 ათასი კვ. კმ ანუ პალესტინის მთელი ტერიტორიის 56%, რომელზედაც ამ დროს მომთაბარე ბედუინების ტომების ჩათვლით 509 780 არაბი და 499020 ებრაელი ცხოვრობდა. არაბულ სახელმწიფოს კი შესაბამისად გამოეყოფოდა 11,1 ათასი კვ. კმ, ანუ ტერიტორიის 43% 749 999 არაბი და 9520 ებრაული მოსახლით. იერუსალიმის ინტერნაციონალური ზონისათვის გამოყოფილმა ტერიტორიამ 177 კვ. კმ, ანუ პალესტინის მთლიანი ფართობის 0,6 % შეადგინა, სადაც 105 540 არაბი და 99 690 ებრაელი მოსახლე ცხოვრობდა. ყველა ზონაში მოსახლეობის უმრავლესობას პალესტინელი არაბები შეადგენდნენ. ორივე

სახელმწიფოს დემოკრატიული კონსტიტუცია უნდა ჰქონოდა, რომელიც ორივე სახელმწიფოს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს უზრუნველყოფდა. იერუსალიმს განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმის მქონე ქალაქის სტატუსი მიენიჭა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ქალაქი იერუსალიმი არსდება, როგორც ცალკეული ერთეული, რომელიც საერთაშორისო სტატუსით სარგებლობს. ეს რეჟიმი გაეროს უშუალო მმართველობის ქვეშ უნდა დამყარებულიყო. ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნიდნენ, რომ იერუსალიმი ძვირფასია სამი ძირითადი რელიგიისათვის _ ქრისტიანობის, ისლამისა და იუდაიზმისთვის. მხოლოდ ზეეროვნული სტატუსი შეიძლებოდა სხვადასხვა რელიგიური თემის დაცვის უფლება და მათ წმინდა ადგილებში თავისუფალი მისვლის გარანტი გამხდარიყო [41; 69].

ხმათა უმრავლესობით _ 3 ხმა 13 წინააღმდეგ _ რეზოლუცია გავიდა. 10 წევრმა თავი შეიკავა. გაყოფას მხარი დაუჭირეს სსრკ-მ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, აშშ-მ, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა. სსრკ-მა მთელი ძალისხმევა გამოიყენა, რომ ინგლის ახლო აღმოსავლეთიდან გაედევნა. ამ ვითარების გამო ერეც-ისრაელის მემარცხენე პარტიებმა ნაჩქარევი დასკვნა გამოიტანეს, რომ მომავალში ებრაული სახელმწიფო სსრკ-ს ერთგული უნდა ყოფილიყო [1; 31].

ისრაელის სახელმწიფოს შექმნა გამოცხადდა 1948 წლის 14 მაისს 6 სთ-სა და 01 წუთზე, ახალი სახელმწიფო ვაშინგტონმა «დე ფაქტოდ” სცნო 6 სთ-სა და 11 წუთზე (ზუსტად 10 წუთში). ასეთი უარეცედენტო სისწრაფის ახსნა იოლია: ვაშინგტონში გაჩნდა ახალი სახელმწიფოს გამოყენების პერსპექტივა რეგიონში საკუთარი პოზიციების განმტკიცებისთვის. საბჭოთა კავშირმა ისრაელი «დე იურედ” სცნო 17 მაისს. სახელმწიფოდ გამოცხადების ცერემონიალი ჩატარდა თელ-ავივის მუზეუმში. როტშილდის ბულვარზე. ზუსტად 4 საათზე საზეიმო სხდომა დაიწყო. ბენ-გურიონმა დამოუკიდებლობის დეკლარაცია წაიკითხა. მეთერთმეტე პარაგრაფში ეწერა: «ჩვენ ერეც-ისრაელის ებრაული მოსახლეობის სახალხო და სიონისტური მოძრაობის წევრები შევიკრიბედ ბრიტანეთის მანდატის უკანასკნელ დღეს ერეც-ისრაელზე ბუნებრივი და ისტორიული უფლებების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების საფუძველზე. ერეც-ისრაელში

ვაცხადებთ ებრაული სახელმწიფოს – ისრაელის სახელმწიფოს შექმნას. ისრაელში მცხოვრები არაბი ხალხის შვილებო, ჩვენ მოგიწოდებთ – დაიცვათ მშვიდობა და მიიღოთ მონაწილეობა ისრაელის სახელმწიფოს მშენებლობაში, საერთოO მოქალაქეობრივ თანაბარუფლებათა საფუძველზე. ჩვენ მშვიდობის ხელს ვუწვდით და ვთავაზობთ კეთილმეზობლურ ურთიერთობას ყველა სახელმწიფოს ითანაშრომლონ ებრაულ ხალხთან. ისრაელის სახელმწიფო მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ახლო აღმოსავლეთის საერთო განვითარების საქმეში". [1; 35]

ისრაელის სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი გახდა მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის პრეზიდენტი 1920-1931 და 1935-1946 წლებში ხაიმ ვეიცმანი, პირველ პრემიერ-მინისტრად კი დაინიშნა მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის აღმასკომის პრეზიდენტი დავიდ ბენ-გურიონი. სიონიზმის თეორია და პრაქტიკა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დარგში იქნა აყვანილი.

ებრაელთა სახელმწიფოს შექმნით კაცობრიობამ ამ ერის წინაშე ჰუმანური მისია შეასრულა, თუმცა ამას იოტისოდენაც არ გაუხარებია მისი მომავალი მეზობელი. ისედაც მშფოთვარე რეგიონს კიდევ უფრო მოემატა დაძაბულობა და მსოფლიო კიდევ ერთი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დადგა. გაეროს რეზოლუცია შეუსრულებელი დარჩა, პალესტინის არაბთა სახელმწიფო ვერ შეიქმნა. არაბებმა ეს შანსი ვერ გამოიყენეს.

1947 წლის რეზოლუციით შექმნილი ორი სახელმწიფოდან ერთ-ერთის საკითხი იმთავითვე ბურუსით იყო მოცული. ღაზას, იერიქონისა და ისრაელის ჩრდილოეთით მდებარე სექტორზე გათვალისწინებული სახელმწიფო არ ჩამოყალიბდა. უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო – მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მათ შორის ისრაელი, და იორდანია – ყველა დიდი მონდომებით იჩემებდა ტერიტორიას (თუმცა, ამ უკანასკნელს მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ჰქონდა პრეტენზია). რეზოლუცია მიღებისთანავე იქცა ებრაელ და არაბ ხალხს შორის გააფთრებული შეჯახების საბაბად [185; 20].

ინგლისი პალესტინაზე მანდატის დაკარგვას ვერ შეეგუა და გაეროს გადაწყვეტილების საბოტაჟთან ერთად ყველაფერი გააკეთა პალესტინის სრულ ქაოსში დასატოვებლად [112; 12].

დიდ სახელმწიფოებს შორის ბრძოლა პალესტინაში და მთელი ახლო აღმოსავლეთში პოზიციების განმტკიცებისათვის კიდევ უფრო მეტად გამძაფრდა. ინგლისმა, პალესტინაში კოლონიური ბატონობის შენარჩუნების მიზნით ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გაილაშქრა. მას მხარი დაუჭირეს არაბულმა სახელმწიფოებმაც, რომლებიც ინგლისის გავლენას განიცდიდნენ (ეგვიპტე, ტრანსიორდანია, ერაყი). რაც შეეხება აშშ-ს, მისმა არათანამიმდევრულმა პოლიტიკამ პალესტინის საკითში საბოლოოდ შეუწყო ხელი ინგლისის გეგმების განხორციელებას და გაეროს გადაწყვეტილების ჩაშლას. აშშ საკუთარ მიზნებს ისახავდა. 1947 წლის აპრილ-მაისის სესიაზე თავის მთავარ მიზანს მიაღწია და პალესტინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდა. ინგლისმა და ამერიკამ ბრძოლა განაგრძეს პალესტინაში საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად. გაერო-ს მე-11 სესიაზე 1947 წლის ნოემბერში აშშ-მა, ინგლისისაგან განსხვავებით, ხმა ინგლისური მანდატის შეცვლას და პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფას მისცა. ეს ბუნებრივი იყო, რადგან აშშ-ს არ სურდა, პალესტინა ბრიტანეთის დარჩენოდა, თუმცა სექტემბრის სესიის შემდეგ აშშ-მა გაეროს გადაწყვეტილებების საბოტაჟს მიმართა. 1948 წლის თებერვალ-მარტში აშშ-მა გამოაცხადა, თითქოსდა გაეროს გადაწყვეტილებების პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელი იყო და ამ გადაწყვეტილების გადასინჯვა და პალესტინაში კოლონიური რეჟიმის შესანარჩუნებლად, გაეროს მეურვეობის დაწესება მოითხოვა. აშშ-ს გეგმების შესახებ 1948 წლის 20 მაისს საბჭოთა დელეგატი ა. გრომიკო თავის გამოსვლაში ამბობდა, რომ ამერიკული პროექტი აშშ-ს ნავთობისა და სამხედრო სტრატეგიული ინტერესებითაა ნაკარნახები. მის უკან აშშ-ს გარკვეული გავლენიანი წრეები დგანან, რომლებიც ცდილობდნენ პალესტინა თავის საკუთარ სამხედრო-სტრატეგიული ბაზად, ეკონომიკური თვალსაზრისით კი ამერიკულ ნახევრადკოლონიად გადააქციონ. საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ პალესტინის ხალხებმა, როგორც არაბებმა, ასევე ებრაელებმა, განვითარების ისეთ დონეს მიაღწიეს, როდესაც მათ უფლება აქვთ შექმნან თავიანთი საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოები [18; 21].

თ ა ვ ი III

იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო და ბრიტანეთის პოლიტიკა პალესტინის პირველი ომის დროს (1948-1949 წწ.)

1948 წლის 14 მაისის ღამით, ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებიდან რამდენიმე საათში, პალესტინელებსა და ებრაელებს შორის შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო, რომელიც ღია ომში გადაიზარდა [154; 32]. არაბების დასახმარებლად მაშინვე გამოვიდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, რომელმაც პალესტინაში გასაგზავნად მოხალისეთა მობილიზაცია გამოაცხადა [86; 81]. არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ გადაწყვიტა ძალისმიერი მეთოდებით წინ აღდგომოდა პალესტინის ორად გაყოფას. არაბებმა პირდაპირი პასუხისმგებლობა აიღეს ომის დაწყებაზე. არაბთა უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა ჯამალ ჰუსაინმა ჯერ კიდევ 1948 წლის 16 აპრილს მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს: «ებრაული სააგენტოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ებრაელები არ ყოფილან თავდამსხმელები, ბრძოლა პირველად არაბებმა დაიწყეს. ჩვენ არ უარვყოფთ ამას და მთელ მსოფლიოს ვეუბნებით, რომ ჩვენ ვაპირებთ ბრძოლას» [86; 82]. რამდენიმე დღის შემდეგ იორდანიის მეფე აბდალაჰ I-მა შემდეგი სახის განცხადება გააკეთა: «ჩვენი მცდელობა, პალესტინის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ მარცხით დამთავრდა, ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ომის გზა» [86; 83]. კაიროს ალ-აზჰარის სასულიერო უნივერსიტეტიდან კი მთელი მსოფლიოს მუსლიმებისადმი გაისმა მოწოდებები, «საღვთო ომის» (ჯიჰადის) დაწყებაზე ებრაელთა წინააღმდეგ [60; 15].

არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალური მდივანი აბდ არ-რაჰმან ალ-აზამი რეგულარული არაბული არმიის ომში ჩაბმის წინააღმდეგ გამოვიდა, რადგანაც მიიჩნევდა, რომ არაბი მოხალისეები თავის ფუნქციას წარმატებით შეასრულებდნენ [90; 58]. პალესტინაში არაბული არმიის შესვლას ეწინააღმდეგებოდა პალესტინის «დიდი მუფთი» ჰაჯი ამინ ალ-ჰუსაინიც, რომელსაც პალესტინის ტრაგედიაში მთავარ როლს აკუთვნებენ. ამინ ალ-ჰუსაინი კარგად ხვდებოდა, რომ არაბულ არმიებს სურდათ ქვეყნის დაკავება, მას კი არანაირი სურვილი არ ჰქონდა

ვინმესთვის გაეყო ძალაუფლება. ბოლოს იგი დათანხმდა იორდანიისა და ერაყის არმიების პალესტინაში შესვლაზე, მაგრამ მუფთის მიზანი იყო თვითონ შეექმნა საკუთარი არმია, რომელიც ებრაელებს გარედან დახმარების გარეშე გაანადგურებდა.

არაბთა ლიგის ყოყმანი მუფთის ძალიან აწყობდა. თუ არაბული არმიები პალესტინაში არ შევიდოდნენ, მაშინ მას დარჩებოდა არაბული ლიგისაგან შეპირებული ფული, არმია და მოხალისეებიც მას დაექვემდებარებოდნენ. თავისი მიზნების განსახორციელებლად პალესტინაში მან თავისი ბიძაშვილი აბდ ალ-კადირ ჰუსაინი, მეტსახელად აბუ-მუსა გააგზავნა. აბდ ალ-კადირი მზად იყო შეესრულებინა თავისი ფიცი «ებრაელების ზღვაში გადაყრის» შესახებ [85; 72]. თვითონ ამინ ალ-ჰუსაინი მთელი ცხოვრება ებრაელების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების წინააღმდეგ იბრძოდა. ებრაელების სიძულვილმა ის ჰიტლერთან და ჰიმლერთან მიიყვანა. შემდეგ კი დაუკავშირდა სს-ის შტურმანფიურერ ადოლფ ეიჰმანს, რომელიც მასთან შესახვედრად 1937 წელს იერუსალიმშიც კი ჩავიდა[26; 34]. ამ დროს გერმანულ ჟურნალ «ცაიტში» დაიბეჭდა ლონდონში გაგზავნილი ანგარიში, სადაც ნათქვამი იყო: «ჰაჯი ამინი მეთაურობს ოპერაციებს და ცხადია, ვიდრე მას იქ დარჩენის უფლება აქვს, პალესტინაში არეულობა გაგრძელდება» [26; 33].

პალესტინაში არაბულ სახელმწიფოთა რეგულარული არმიის შესვლის წინააღმდეგ გამოვიდა ეგვიპტური დაჯგუფების «მუსლიმი ძმების» მოძღვარი ჰასან ალ-ბანაც. 1947 წელს «ძმობამ», რომელიც საზღვარგარეთულ ფილიალებს ფლობდა ლიბანში, სირიაში, პალესტინასა და იორდანიაში, მოხალისეთა ავტონომიური მოძრაობა ჩამოაყალიბა. ბევრი ისტორიკოსი თვლის, რომ პალესტინაში საომარი მოქმედებებისათვის ისინი დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ. «ძმობაზე» დაყრდნობით და მის განსამტკიცებლად ისინი «ისლამურ» სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ [90; 58]. «მუსლიმი ძმების» დევიზმა «ისლამური სამყარო _ ეს პალესტინაა და პალესტინა _ ეს მუსლიმური სამყაროა» და მისმა პროპაგანდამ ხელი შეუწყო სხვა არაბული ქვეყნების გამოცოცხლებას [90; 40].

1947 წლის ოქტომბერში, როცა პალესტინის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის II სესიაზე განიხილებოდა, «მუსლიმმა ძმებმა» გაეროს გენერალურ მდივანსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს წერილი

გაუგზავნეს, სადაც თავიანთი ოფიციალური პოზიცია დააფიქსირეს ამ საკითხზე: «სიონისტური მისწრაფებების დაკმაყოფილება და პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნა _ მთელ აღმოსავლეთს საომარ კერად აქცევს, რაზეც პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ, ვინც არაბების წინააღმდეგ სიონისტების უსამართლობას უჭერს მხარს. ჩვენი რწმენა ჩვენ გვავალდებულებს წინააღმდეგობა გავუწიოთ ამ აგრესიას ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსით» [86; 101]. 9 ოქტომბერს ჰასან ალ-ბანამ არაბულ სახელმწიფოთა ლიგა დაარწმუნა იმაში, რომ «ძმობის» რიგებიდან 10 ათასი მუჯაჰიდის მობილიზაციას და მათ პალესტინაში გაგზავნას უმოკლეს დროში მოახდენდა. მალე ცალკეულმა შეიარაღებულმა რაზმებმა გადაკვეთეს ეგვიპტე-პალესტინის საზღვარი და ებრაული მოსახლეობის ზურგში მოექცნენ. ეგვიპტემ თავიდან უარყო ეს გეგმა, თუმცა შემდეგ, როდესაც ოფიციალურად აიღო საომარი კურსი, მუჯაჰიდების ოპერაციას მხარი დაუჭირა და მათ სპეციალურ ბანაკებში სამხედრო მომზადების შესაძლებლობა მისცა. იმავდროულად, როგორც ეგვიპტეში, ისე სხვა არაბულ ქვეყნებში არაბთა ლიგის «ოფიციალური» გაწვევით მოხალისეების მობილიზაცია მიდიოდა. ომისათვის მზადყოფნა გამოთქვეს ლიბანის «ახალგაზრდა მუსლიმთა კავშირმა», ცნობილი აბდ ალ-კადირის შვილიშვილის მუჰამად საიდ ალ-ჯაზაირის მიერ ალჟირში შექმნილმა «აფრიკელი მუჯაჰედების ფრონტმა» და ეგვიპტის სუფიურმა ძმობამ «სიმართლის მიმდევრებმა».

იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო, სხვა დანარჩენი არაბული სახელმწიფოების მსგავსად, საჯაროდ ისრაელის მოწინააღმდეგე იყო მისი ახლო აღმოსავლეთის ასპარეზზე გამოჩენის დღიდან, სინამდვილეში კი ისრაელისა და იორდანიის თანამშრობლობის ისტორია მრავალ წელს ითვლიდა ჯერ კიდევ ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნამდე და იორდანიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ორი ქვეყნის ლიდერები ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის პოლიტიკის კოორდინირებას, რათა შეძლებისდაგვარად შეემცირებინათ კონფლიქტური კერების შექმნა პოლიტიკურად არამყარ რეგიონში [90; 58].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 181 (II) რეზოლუციის თანახმად პალესტინისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე მაშინვე შევიდნენ არაბულ

სახელმწიფოთა ლიგის წევრი ქვეყნების _ იორდანიის, ერაყის, ეგვიპტის, სირიისა და ლიბანის არმიები. ლიგამ გაეროს გენერალურ ასამბლეაში ტელეგრამა გაგზავნა პალესტინაში არმიების შეყვანასთან დაკავშირებით. ტელეგრამაში ხაზგასმული იყო არაბული სახელმწიფოების პრინციპული პოზიცია პალესტინის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ადრეც იყო დაყენებული. ამ ტელეგრამაში ნათქვამი იყო: «არაბული სახელმწიფოები აცხადებენ: ა) პალესტინაში მთავრობის შექმნის უფლება მის მოსახლეობას ეკუთვნის თვითგამორკვევის პრინციპების შესაბამისად ერთა ლიგისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციების დადგენილებების თანახმად. ბ) პალესტინაში მთლიანად დარღვეულია წესრიგი ებრაული მხარის აგრესიის შედეგად, დაახლოებით მეოთხედი მილიონი არაბი იძულებული გახდა საკუთარი კერა მიეტოვებინა და მეზობელ არაბულ ქვეყნებში წასულიყო ემიგრაციაში, რაც პალესტინაში მიმდინარე მოვლენებმა, სიონისტების აგრესიამ და იმპერიალისტების წაქეზებამ გამოიწვია. გ) არსებული მღელვარება პალესტინაში პირდაპირ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის არაბული ქვეყნების მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ამ მიზეზით და აგრეთვე იმის გამო, რომ პალესტინის უსაფრთხოება მათი წმინდა მოვალეობაა, არაბული სახელმწიფოები თვლიან, რომ ისინი იძულებულნი არიან ამ ომში ჩაერთონ ერთადერთი მიზნით _ წესრიგი დაამყარონ და მშვიდობა აღადგინონ პალესტინაში. როგორც კი ამას მივაღწევთ, არაბული ქვეყნების ჩარევა შეწყდება და პალესტინის სუვერენული სახელმწიფო უფლებამოსილი იქნება სხვა არაბულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობისთვის და იმისათვის, რომ ნებისმიერი ნაბიჯი გადადგას, თავისი ხალხისა და ტერიტორიის სიკეთისა და უსაფრთხოებისათვის» [82; 63]. ისრაელს ომი გამოუცხადეს აგრეთვე საუდის არაბეთმა და იემენმაც. არაბული სახელმწიფოების მიზანი ისრაელის ექსპანსიის შეჩერება და გაეროს 181 (II) რეზოლუციის ცხოვრებაში განხორციელების მიღწევა იყო. პალესტინის ომი არაბულ-ებრაული დაპირისპირების გამწვავებამ გამოიწვია. ფაქტობრივად, კი ის იმ «გამოუცხადებელი ომის» გაგრძელება იყო, რომელიც სიონისტებსა და არაბებს შორის დაიწყო [15; 223]. ომის დასაწყისს თან სდევდა არაბულ სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი ლოზუნგები არაბთა საერთო მიზანთა დაკავშირებით. ისინი პალესტინაში არაბული ლიგის კონტროლს

დაქვემდებარებული ისეთი ერთიანი სამოქალაქო ადმინისტრაციის შექმნას ვარაუდობდნენ, რომელიც არც ერთ არაბულ სახელმწიფოს არ დაემორჩილებოდა [86; 81].

ბევრი პალესტინელი თავის იმედებს სწორედ მეზობელ არაბულ ქვეყნებზე ამყარებდა. პალესტინელები იბრძოდნენ ფელაჰებისგან შედგენილი დიდი პარტიზანული რაზმებით, მათ შექმნეს «ხსნის არმია», რომელიც სხვა არაბული ქვეყნების რამდენიმე ათასი ცუდად შეიარაღებული მეომრისა და მოსახლეობისაგან შედგებოდა.

პალესტინაში შესული არაბული ქვეყნების ლიგის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად მეფე აბდალაჰი გამოცხადდა [83; 49]. ებრაელებს ყველაზე მეტად არაბული ლეგიონის ეშინოდათ. იორდანიის სამეფოს, რომელსაც იორდანიის მეფე აბდალაჰი მართავდა, სამი/მეოთხედი უდაბნო იყო. ქვეყნის მოსახლეობა ძლივს აღწევდა ნახევარ მილიონ კაცს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი ნახევარ მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა. აბდალაჰის განკარგულებაში რჩებოდა ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა, რომლის ახლო აღმოსავლეთის საჭადრაკო დაფაზე განლაგება აბდალაჰს თავისი შეხედულებისამებრ შეეძლო: იორდანია ერთადერთი არაბული სახელმწიფო იყო, რომელსაც სათანადოდ კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი პროფესიული არმია _ ე.წ. «არაბული ლეგიონი» ჰყავდა [85; 72], რომლის მეთაური გლაბი ისეთ პოლიტიკას ატარებდა, რომ ყველა მოლაპარაკება და შეთანხმება, აგრეთვე ყველა საკანონმდებლო საქმიანობა იმპერიალისტური ქვეყნებისათვის სასარგებლო ყოფილიყო [135; 35].

გენერალი გლაბი (გლაბფაშა) იორდანელებისათვის ახალი სახე არ იყო. უკვე ყველამ იცოდა იმ მეთოდების შესახებ, რომლითაც იგი ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობდა იორდანელებისათვის. ბენ-გურიონსაც ყველაზე მეტად ამ არმიის ეშინოდა, რადგანაც მიიჩნევდა, რომ ის იყო ინგლისელების მიერ პროფესიულ დონეზე გაწვრთნილი ერთადერთი არაბული არმია [135; 34].

საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ისრაელის მთელი საზღვრის გასწვრივ: ეგვიპტე-სუდანის სამხედრო კონტიგენტი სამხრეთით უტევდა; ჩრდილოეთით _ ლიბანი და სირია; აღმოსავლეთით _ ერაყი და იორდანია; პალესტინელები და

მოხალისეები სხვადასხვა არაბული სახელმწიფოდან ქვეყნის სიღრმეში იბრძოდნენ [60; 15]. საომარი მოქმედებების დასაწყისი არაბული არმიების სასარგებლოდ წარიმართა. მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში, იორდანიის არაბულმა ლეგიონმა და ერაყის არმიამ აღმოსავლეთ იორდანიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს იერუსალიმის არაბული სექტორის ჩათვლით. ეგვიპტის საექსპედიციო კორპუსის ერთი რაზმი თელ-ავივისაკენ 30 კმ-ით დაშორებულ ქ. აშდოდისაკენ დაიძრა, მეორე რაზმი კი ბერ-შევის გავლით იერუსალიმის მისადგომებს მიუახლოვდა [94; 99]. არაბული სახელმწიფოების ლიდერები შიშობდნენ, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ინგლისი უარს იტყოდა არაბული ლეგიონებისათვის სუბსიდიების გადახდაზე. ინგლისი იორდანიას ომის დროს წელიწადში 2 მლნ ფუნტი სტერლინგის გადახდას შეპირდა (ზოგი მონაცემებით ეს თანხა 3 მილიონი იყო). პრაქტიკულად კი, ინგლისმა 250 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა, და ამ თანხად შეაფასა იორდანიასა და სხვა არაბულ ქვეყნებს შორის არსებული დაპირისპირება. ცალკეულ არაბულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები ომის დასაწყისშივე გამწვავდა. ძირითადი უთანხმოება სწორედ პალესტინის ტერიტორიის პრეტენდენტ იორდანიასა და სხვა არაბულ ქვეყნებს შორის წარმოიშვა. თუმცა, ოფიციალურ დეკლარაციებში საქმის რეალური ვითარება არ ასახულა [86; 99].

აბდალაჰს მხარს აქტიურად უჭერდა ინგლისი. ჯერ კიდევ პალესტინის ომამდე იორდანიის მმართველი წრეები და დიდი ბრიტანეთის მთავრობა პალესტინაში ერთიანი პოლიტიკური ხაზის გატარებაზე შეთანხმდნენ [86; 81]. ისრაელის ზოგიერთ მოღვაწეთა განცხადებით, ომი პალესტინაში არა ებრაელებისა და არაბების, არამედ უცხო ქვეყნების მიერ იყო გაჩაღებული, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას ცდილობდნენ. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა აბდალაჰს. იგი ცდილობდა იორდანიისათვის პალესტინის მიერთებასა და დინასტიის განმტკიცებას [32; 135]. აბდალაჰი და მის უკან მდგომი ინგლისი არაბეთ-ისრაელის ომის თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის გამოყენებას ცდილობდნენ, რომელიც «დიდი სირიის» შექმნას ისახავდა მიზნად [94; 99]. ეს გეგმა მარტში ინგლის-იორდანიას შორის

შეთანხმების განხილვისას ლონდონში შედგა, რომლის მთავარი მიზანიც მომავალი პალესტინის შესახებ კონსულტაციები იყო [86; 82] და რომელსაც პრემიერ-მინისტრი თაუფიკ აბულ ჰუდა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ბევინი აწარმოებდნენ. ეს კონსულტაციები პალესტინაში იორდანის ადმინისტრაციული ორგანოების შექმნას ითვალისწინებდა [94; 99]. ბევინიცა და აბულ ჰუდაც თვლიდნენ, რომ პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში ხელისუფლებაში აშკარად ანტიინგლისური მიმართულებისა და აბდალაჰთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები მოვიდოდნენ. პალესტინაზე ინგლისის გავლენის დაკარგვის შიშით ბევინი არაბული ლეგიონის იქ შესვლას და იორდანიის ადმინისტრაციული ორგანოების შექმნას აკანონებდა. ბევინმა იორდანიას ერთადერთი პირობა წაუყენა, რომ ებრაული სახელმწიფოსათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჯარი არ შეეყვანა. ეს შეზღუდვა უეჭველად აშშ-ინგლისს შორის პალესტინის გავლენის სფეროებად დაყოფის შესახებ დროებითი შეთანხმებების შედეგი იყო [86; 83]. ასე რომ, იორდანიისა და ინგლისის მთავრობებს შორის პალესტინის შესახებ მიღწეული შეთანხმება პალესტინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და აბდალაჰის მმართველობის გაფართოების შესახებ სწორედ ზემოხსენებული აშშ-ინგლისის შეთანხმების ნაწილი იყო. ინგლისი «იორდანელი მოკავშირის» დახმარებით პალესტინის ნაწილზე ძალაუფლების შენარჩუნებას გეგმავდა.

ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწისა და პალესტინის საკითხის მკვლევართა აზრით, ინგლის-იორდანიის 1946 წლის შეთანხმების ფორმალური მხარის შეცვლა და 1948 წელს მიღწეული შეთანხმება არაბული პალესტინის ექსპანსიისათვის მზადება იყო. 1946 წლის შეთანხმების პირობების შემსუბუქება, აბდალაჰის ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით, 1948 წელს პალესტინის საზოგადოებრივი აზრის შესუსტებას ისახავდა მიზნად [94; 99].

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პალესტინის საკითხის განხილვისას საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ს. ცარაპკინი გამოვიდა სიტყვით, სადაც ნათქვამი იყო: «ამანში «ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის» წარმომადგენელი კენეტ ბილბი გვატყობინებს, რომ 17 ნოემბერს იორდანიის მეფემ აბდალაჰმა

განაცხადა, რომ უცხოეთის მთავრობებმა პალესტინაში ისეთი სიტუაცია შექმნეს, რომ ვერც არაბები და ვერც ებრაელები იქ კონტროლს ვერ დაამყარებენ» [10; 429].

კვლავ გამწვავდა წინააღმდეგობები თვით არაბულ ქვეყნებს შორის. არაბულ სამყაროში ლიდერობისათვის ბრძოლა გრძელდებოდა. აბდალაჰი არ ღალატობდა თავის გეგმას «დიდი სირიის» შექმნის თაობაზე, რომელსაც პალესტინა, იორდანია, სირია და ლიბანი უნდა მოეცვა. ეს იდეა ერაყთან თანამშრომლობითა და ჰაშიმიანთა დინასტიის მმართველობით უნდა განხორციელებულიყო. ამ გეგმამ პროტესტი გამოიწვია საუდის არაბეთისა და ლიბანის მხრიდან. ჰაშიმიანთა და საუდიანთა დინასტიებს შორის ურთიერთობა გამწვავდა.

ინგლის-ამერიკის ანგარიშის შემდეგ არაბული ქვეყნების ლიგის წევრები შეიკრიბნენ კონფერენციაზე ბლუდანში და წინადადება წამოაყენეს, დაინტერესებული მხარეები მიეწვიათ კონფერენციაზე ლონდონში. კონფერენცია გაიხსნა 1946 წლის 9 სექტემბერს, მაგრამ მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ არაბული სახელმწიფოები. პალესტინელი არაბებისა და ებრალების წარმომადგენლებმა კონფერენციაში მონაწილეობა არ მიიღეს. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ვერ მიაღწია იმას, რომ პალესტინაში ავტონომიური არაბული და ებრაული პროვინციების შექმნის თაობაზე მისი გეგმა მოეწონებინათ. არაბული ქვეყნების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ პროვინციული ავტონომიის ყოველგვარი გეგმა პალესტინის დაყოფას ნიშნავსო, რაზედაც არაბული სამყარო არ დათანხმდებოდა. სიონისტები კი უფრო აძლიერებდნენ საქმიანობას, მათ საბოლოოდ შეაქციეს ზურგი დიდ ბრიტანეთს და კურსი აიღეს აშშ-თან კავშირზე. სიონისტებმა დაიწყეს პალესტინაში დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და თავიანთი საქმიანობა წარმოადგინეს, როგორც ებრაელთა ბრძოლა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. სიონისტები პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ, ხოლო პალესტინელი არაბების არსებობას უბრალოდ «არც ახსენებდნენ». იმ პერიოდში სიონისტურ მოძრაობაში აშშ-ის პოზიციები უფრო განმტკიცდა. ბაზელში 22-ე სიონისტურ კონგრესზე აშშ-ს წარმოადგენდა 120 დელეგატი, დიდ ბრიტანეთს _ 10, ხოლო პალესტინას _ 79. მეფე აბდალაჰი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებოდა პალესტინის გაყოფას, თუ ის

პალესტინის არაბებისათვის განკუთვნილ ნაწილს მიიღებდა. აშშ-ინგლისის მთავრობებს შორის აზრთა სხვადასხვაობამ ხელი შეუშალა ამ გეგმის დიპლომატიური გზით გადაწყვეტას. აბდალაჰი აქტიურად შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას, შეიარაღებული ძალების ჩარევით. მის პალესტინელ მომხრეებსა და იორდანიის სამხედრო ძალებს შორის დამყარდა კონტაქტი [41; 55-56].

1948 წლის მაისის დასაწყისში გლაბ-ფაშამ არაბული ლეგიონის ოფიცრების თანხლებით სპეციალურად იმოგზაურა პალესტინის ქალაქებში, სადაც თემის ბელადებს, ჰებრონის, ღაზას და ბერ-შევას დიდგვაროვნებსა და შეიხებს შეხვდა [153; 69]. სწორედ ამ მიზნით აბდალაჰმა პალესტინელ მომხრეებთან ერთად სეპარატული გაერთიანება პალესტინის ბიურო («მაქთაბ ფილასტინ») შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც იმ დაჯგუფების წევრები შევიდნენ, რომლებიც პალესტინის უმაღლესი არაბული კომიტეტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და რომლის სათავეშიც მუფთი ამინ ალ-ჰუსაინი იდგა [27; 29]. არაბული ქვეყნების საზოგადოებამ ეს ღონისძიება იორდანიის მთავრობის უმაღლეს არაბულ კომიტეტთან თანამშრომლობის უარყოფად მიიღო, ამ კომიტეტს კი არაბულ სახელმწიფოთა ლიგა პალესტინელ არაბთა წარმომადგენლად თვლიდა. აბდალაჰმა იმ ე.წ. «განმათავისუფლებელი არმიის ლიკვიდაცია მოითხოვა, რომელიც პალესტინაში ინგლისის მანდატის ბოლო წლებში ჰაშიმიანთა წინააღდეგ განწყობილი ოფიცრის ფავზი ალ-კავუჯის მეთაურობით პარტიზანულ ომებს აწარმოებდა. აბდალაჰმა რეგულარული არმიის საკუთარ მორჩილებაში გადასვლა მოითხოვა, როგორც არაბული არმიების მთვარსარდალმა. ხმები დადიოდა, რომ არაბთა ლიგის საბჭოებსა და კომიტეტების სხდომებზე დაპირისპირება გამწვავდა [86;84].

არაბულ ლეგიონში კვლავ რჩებოდნენ ინგლისელი ოფიცრები, რომლებიც მოკავშირე არაბული არმიების მიმართ აშკარა გამცემლურ პოლიტიკას ატარებდნენ. როდესაც ისრაელის არმია შეტევით ოპერაციებს ახორციელებდა, ინგლისელი ოფიცრები შეგნებულად აჩერებდნენ ლეგიონის მოქმედებას და ამით არაბული ძალის დასუსტებას იწვევდნენ. აბდალაჰი და მისი გარემოცვა არაბთა ლიგის იმ გადაწყვეტილებებს არ აღიარებდნენ, რომლებიც მათი სეპარატული გეგმების ჩაშლას გამოიწვევდა. როდესაც არაბთა ლიგამ ჰილმი-ფაშას (ღაზას მთავრობა) მეთაურობით

პალესტინის ერთიანი მთავრობის შექმნა გამოაცხადა, აბდალაჰმა დაუყოვნებლივ მიიღო საწინააღმდეგო ზომები. არაბული ლეგიონისა და ერაყის არმიის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ პალესტინის ნაწილში, იორდანიის მთავრობის მიერ ჰილმი-ფაშას მთავრობის საწინააღმდეგო კამპანია დაიწყო. ამანში აბდალაჰის მომხრე შეიხმა სულეიმან ათ-თაჯი ალ-ფარუკმა 1948 წლის 1 ოქტომბერს პალესტინელი ლტოლვილების მიტინგი ჩაატარა, რომელმაც აბდალაჰს სთხოვა პალესტინის «პროტექტორი» გამხდარიყო [94; 106]. აბდალაჰის საომარ მოქმედებებს ინგლისის მთავრობა მხარს უჭერდა. პალესტინაში არაბული ლეგიონის შესვლის შემთხვევაში ინგლისი კატეგორიულ უარს ამბობდა თავისი პოზიციის დაფიქსირებაზე, თუმცა ომის დასაწყისშივე იორდანიაში გაგზავნა იარაღი და საბრძოლო მასალები. ტრანსპორტი ეგვიპტის სამხედრო ხელისუფლებამ დააკავა და ეგვიპტის არმიას გადასცა. პალესტინაში არაბული ლეგიონის შესვლის შემდეგ მასში კვლავ მსახურობდნენ ის ინგლისელი ოფიცრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში. აშშ-ის მოთხოვნით პალესტინიდან ზოგიერთი ინგლისელი სამხედრო მოსამსახურე გაიწვიეს, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ გლაბისა და სხვა ოფიცრების გაწვევა იმ მოტივით გადადო, რომ ისინი ფორმალურად ინგლისის სამხედრო სამინისტროს სიებში არ იყვნენ. 1948 წლის 25 მაისს თემთა პალატაში გამოსვლისას ბევინმა აღიარა, რომ ლეგიონში 37 ინგლისელი ოფიცერი მსახურობდა, ისრაელის მონაცემებით კი მათი რიცხვი 225 იყო. არაბულ ლეგიონში საკვანძო პოსტებზე მყოფი ინგლისელი ოფიცრები, რომლებიც უკვე გაწვეული იყვნენ პალესტინიდან, კვლავ ხელმძღვანელობდნენ იორდანიის ამანში მყოფ შენაერთებს. ეს ფაქტი ყურადსაღებია იმიტომ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მეომარი მხარეებისათვის სამხედრო და ეკონომიკური დახმარება აკრძალა. ინგლისის ხელისუფლება კვლავ განაგრძობდა არაბული ლეგიონისა და იორდანიისათვის დახმარებას. მართალია, საომარი მოქმედებების დროს ინგლისმა იორდანიას სუბსიდიები შეუწყვიტა, მაგრამ ამ ხანმოკლე ღონისძიებას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმიტომ, რომ ინგლისმა იორდანიას მშივნელოვანი კრედიტი გამოუყო. იორდანიისათვის 1948-1949 წლებში გაწეული «დახმარება» ინგლისმა 5,5 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეაფასა, ხოლო ამ წლებში

გამოყოფილი სუბსიდიების თანხა 2,25 მილიონი იყო [86; 84]. ზოგიერთი მკვლევარი ამ ომში ინგლისის პოზიციას ისრაელის დახმარებად უფრო მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ ინგლისელი ოფიცრები ხელოვნურად აფერხებდნენ ისრაელის წინააღმდეგ არაბული ლეგიონის საომარ მოქმედებებს და ამ გზით არაბულ ძალას ასუსტებდნენ.

პალესტინაში გაბატონებული პოზიციების აღსადგენად ინგლისის მანევრებმა ამერიკელების უკმაყოფილება გამოიწვია. ამერიკელებმა საეჭვო მოქმედებები წამოიწყეს ისრაელის საომარი ოპერაციების ზონაში. ისრაელის არმიის რიგებში აქტიურად იბრძოდნენ ამერიკის არმიის სამხედროები. პალესტინის ომი, ისრაელისა და იორდანიის ზურგსუკან მდგომი სახელმწიფოებისათვის ქვეყნის ახალი გადანაწილებისთვის, ეკონომიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონზე გავლენისათვის გაჩაღებული ომი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატები რეგიონში შემოვიდა, როგორც ახალი ჰეგემონი. «ცივი ომის» თითქმის ნახევარსაუკუნოვან პერიოდში საბჭოთა კავშირი ცდილობდა, ამერიკისათვის მეტოქეობა გაეწია დიპლომატიურ ფრონტზე ამ რეგიონის ქვეყნებისათვის სამხედრო-ეკონომიკური დახმარების გაწევის გზით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე პოლიტიკური რუკა ჩამოყალიბდა [21; 224-225]. «ცივი ომის» პერიოდში ამერიკის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში სამი ფაქტორი განსაზღვრავდა: ისრაელი, ნავთობი და კომუნიზმის შეჩერება [21; 302]. ის სურვილი მოგვიანებით ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმაც აღიარა, რომ ახლო აღმოსავლეთში გადამწყვეტი ფიგურა ამერიკის შეერთებული შტატები იყო და მხოლოდ მას შეეძლო ისრაელზე ზემოქმედება [105; 31].

დიდი ბრიტანეთის მთავრობას არ სურდა ახლო აღმოსავლეთში პოზიციების დათმობა, მაგრამ ისიც, თავის მხრივ, სიონისტებისა და მათი ახალი მოკავშირის აშშ-ს სულ უფრო მეტ გავლენას განიცდიდა. ინგლისელი მკვლევარი ო. ბარი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში დიდი ბრიტანეთი არ ისწრაფოდა ახლო აღმოსავლეთიდან აშშ-ის გაძევებისაკენ. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კარგად ესმოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ ლონდონს, როგორც უფროს პარტნიორს სურდა, არაბულ სამყაროში პირველობა დაემყარებინა. ამ მიზნების მისაღწევად საუკეთესო

გზა აშშ-ის გამოწვევაზე პასუხის გაცემა იყო. ბრიტანეთის ლიდერებმა მალე დაინახეს, რომ მათ ომისშემდგომ პერიოდში თავიანთი ინტერესების დასაცავად, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში აშშ-ის მხარდაჭერა დასჭირდებოდათ [86; 85].

1948 წლის ბოლოს არაბულმა ლეგიონმა პალესტინის ცენტრალური მხარე დაიკავა, მათ შორის ქალაქები იერუსალიმი, რამალაჰი, იერიქონი. არაბულმა ლეგიონმა ნაბულუსის, ჯენინის და ტულკარმის ოკუპაცია მოახდინეს. ცენტრალური პალესტინის დაპყრობით აბდალაჰი თავის ძირითად მიზანს მიღწეულად თვლიდა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პირველი შეთანხმების შემდეგ, პალესტინაში «მშვიდობის» მისაღწევად მან იმოგზაურა არაბული ქვეყნების დედაქალაქებში.

აბდალაჰის მოქმედებამ განაპირობა პალესტინაში გაეროს წარმომადგენლის გრაფ ბერნადოტის საქმიანობა. მისი გეგმა ტერიტორიების ახალ გადანაწილებას და ამ დროისათვის ეგვიპტის არმიის მიერ ოკუპირებული ნეგევის დასავლეთ გალილეის ტერიტორიაზე გაცვლას ითვალისწინებდა, რომელიც გაერომ 1947 წლის 29 ნოემბერს არაბულ სახელმწიფოს გამოუყო (ომის შედეგად კი ისრაელმა მიიკუთვნა) [86; 85]. ზოგიერთი არაბი ისტორიკოსის აზრით, სიონისტების ტაქტიკა ძალის გამოყენებაში, თავდასხმაში და არაბებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე პალესტინის დიდი ცენტრებისა და ქალაქების ოკუპაციაში მდგომარეობდა, რათა ყოველი საშუალებით ხელი შეეშალათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პალესტინის სახელმწიფოს შექმნისათვის. მარტო 1947 წლის დეკემბრიდან 1948 წლის თებერვლამდე «ხაგანის», «ირგუნისა» და «შტერნის» შეიარაღებულმა ნაწილებმა ორი ათასზე მეტი თავდასხმა განახორციელეს მშვიდობიან არაბულ მოსახლეობაზე, რათა განადგურების შიშით, მათ მშობლიური ადგილები დაეტოვებინათ. არსებითად უკვე მაშინ სიონისტებმა ომი გააჩაღეს პალესტინელების საკუთარი მიწებიდან განდევნისათვის. ყოველივე ამის კულმინაცია იყო არაბული მოსახლეობის ყველაზე საშინელი განადგურება, რომელიც 1948 წლის 9 და 10 აპრილს სოფელ დერ-იასინში მოაწყვეს «ირგუნისა» და «შტერნის» რაზმებმა. ამ ოპერაციის დროს მოსპეს სოფლის ყველა მცხოვრები _ 250 ქალი, მოხუცი, ბავშვი და შემდეგ ჭაში ჩაყარეს. «დერ-იასინში გამარჯვების გარეშე არ

იქნებოდა ისრაელის სახელმწიფო» _ ამბობდა შემდეგში ისრაელის პრემიერ-მინისტრი და «ირგუნის» მაშინდელი ხელმძღვანელი მენახემ ბეგინი [55; 21]. დერ-იასინის ტრაგედიამ შეძრა მთელი არაბული სამყარო და უფრო გააღვივა პალესტინელებზე ზრუნვის გრძნობა. არაბულ ქვეყნებში დაიწყო მიტინგები და დემონსტრაციები, ხალხი მთავრობებისაგან რადიკალურ ღონისძიებებს ითხოვდა [82; 223].

1948 წლის 22 მაისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხანგრძლივი დებატების შემდეგ [149] რეზოლუცია მიიღო, რომელიც ისრაელს და არაბულ ქვეყნებს მოუწოდებდა თავი შეეკავებინათ საომარი მოქმედებებისაგან და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაეცათ ბრძანება. ეს ბრძანება მიღების დღიდან უნდა შესულიყო ძალაში. ისრაელმა უარყო ეს მოთხოვნა. 1948 წლის 29 მაისს მიღებული, [150] რეზოლუცია აშკარად ნეგატიური იყო: რეზოლუცია მეომარ მხარეებს 4 კვირიანი შეთანხმებისაკენ მოუწოდებდა. ამ დროის მანძილზე არაბულ ქვეყნებს პალესტინაში არმიის შეყვანა ეკრძალებოდათ. უფრო მეტიც, რეზოლუციამ სხვა ქვეყნებს მოსთხოვა, მათთვის დახმარება არ გაეწიათ. ეს რეზოლუცია ოფიციალურად არც არაბულმა მხარემ მიიღო [91; 76].

გაეროს დაჟინებული მოთხოვნით, 1948 წლის 11 ივნისს მეომარ ძალებს შორის ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე დროებით შეთანხმებას მიაღწიეს [15; 223]. დროებითი ზავის შემდგომი ოთხი თვე კი თვით გაეროში და, საერთოდ, საერთაშორისო ასპარეზზე დასავლეთის სახელმწიფოებისა და, პირველ რიგში, აშშ-ის კულისების აქტიური დიპლომატიით აღინიშნა, რომლის მიზანი იყო, თავიდან აეცილებინა ისრაელის დამარცხება და კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგება. აღსანიშნავია, რომ დროებითი ზავის დადების შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენ-გურიონმა ქნესეთში (ისრაელის პარლამენტი) გამოსვლისას აღნიშნა, რომ არაბებთან კონფლიქტი სამხედრო ძალით გადაიჭრება და პალესტინელი ლტოლვილები თავიანთ მიწებზე არ დაბრუნდებიანო [41; 62]. ცეცხლის დროებით შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ებრაელებმა კარგად გამოიყენეს არმიის რეორგანიზაციისათვის. «ჰაგანა» ისრაელის თავდაცვის ძალებად გადაკეთდა.

1948 წლის 28 ივნისს გაეროს შუამავალმა გრაფმა ბერნადოტმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც არაბული სახელმწიფო იორდანიის ბაზაზე უნდა შექმნილიყო, ხოლო პალესტინის მთელ ტერიტორიაზე ისრაელის სახელმწიფოს იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო. პალესტინაში მცხოვრებ არაბებს ისრაელის შემადგენლობაში მხოლოდ ავტონომიური მმართველობის უფლება ენიჭებოდათ. ამან, რა თქმა უნდა, არაბების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და პალესტინის კონფლიქტს უფრო მეტი სიმწვავე შესძინა [41;63]. 1948 წლის 15 ივლისს, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ¹54 რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ისრაელი თანახმა იყო ზავის გაგრძელებაზე, ხოლო არაბულმა ქვეყნებმა კი უარი განაცხადეს. ამასთან ერთად, უშიშროების საბჭომ მეომარი ქვეყნების მთავრობებს კვლავ საომარი მოქმედებების შეწყვეტისაკენ მოუწოდა. რეზოლუციამ მიუთითა, რომ ომის შეწყვეტის თაობაზე ისრაელისა და არაბული ქვეყნების მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში უშიშროების საბჭო სხვა ზომებს მიიღებდა. საბჭომ მკაცრად მოითხოვა რეზოლუციის მიღებიდან 24 საათში შეეწყვიტათ ცეცხლი. ¹54 რეზოლუცია გაეროს ავალდებულებდა ზარალის გარეშე გაეძლიერებინა იერუსალიმის დემილიტარიზაცია, მისი მომავალი პოლიტიკური სტატუსისათვის. ¹54 რეზოლუციის მე-8 პუნქტში მითითებული იყო, რომ შეთანხმება იმ დრომდე უნდა დარჩენილიყო ძალაში, სანამ მშვიდობა არ იქნებოდა მიღწეული [76; 15].

გაეროსა და გრაფ ბერნადოტის ერთობლივი ძალისხმევის მიუხედავად საომარი მოქმედებები კვლავ გაგრძელდა. 18 ივლისს ცეცხლის მეორედ შეწყვეტამდე ისრაელის არმიამ თითქმის მაშინვე მთელი ჩრდილოეთ პალესტინა დაიკავა [15; 225]. მის ხელში აღმოჩნდა არაბული სახელმწიფოსთვის განკუთვნილი მიწები, დასავლეთ გალილეა, სამხრეთ-დასავლეთ ნეგევი და იერუსალიმის ზონა.

საბოლოო ჯამში ორივე მხრიდან ომში 86.500 კაცი მონაწილეობდა. ისრაელის 65.000-იანი არმიის წინააღმდეგ არაბულმა ქვეყნებმა მხოლოდ 21.500 კაცის გამოყვანა შეძლეს, აქედან ეგვიპტემ _ 10.000, იორდანიამ _ 4.500, სირიამ _ 3.000, ერაყმა _ 3.000, ლიბანმა _ 1.000.

ეს მონაცემები ებრაული წყაროების მიხედვით ასე გამოიყურება:

ისრაელის საზღვართან თავმოყრილი ძალა

ქვეყანა	მეომართა რაოდენობა
ეგვიპტე	10.000
იორდანია (არაბული ლეგიონი)	6.500
სირია	3.000
ერაყი	4.500
ლიბანი	3.000

ისრაელისა და არაბული ძალების შესაბამისობა

ერეც-ისრაელის რაიონი	ებრაული ძალა (პირველი ხაზი)	არაბული ძალა (პირველი ხაზი-ფრონტი)
ერეც-ესრაელის რაიონი		
ქვეყნის სამხრეთი	6500	9000 (ეგვიპტე)
იერუსალიმის რაიონი	4500	6500 (არბული ლეგიონი)
თელ-ავივი, ნათანია, გალილეა	5000	9000 (ერაყი, სირია, ლიბანი, «ხსნის არმია»)

(ცხრილი 1-2. История еврейского национальная движения. 1914-1949. Иерусалим, 1993. გვ. 231-232)

იქვე აღნიშნულია, რომ «ცხრილში, არ არის ზუსტი მონაცემები[80; 231]. ამ ომთან დაკავშირებით ისრაელის პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი წერდა: «ჩვენ სრულებით არ ვიყავით ომისათვის მზად. სასწრაფოდ გვჭირდებოდა იარაღი, თუკი სადმე შევძლებდით მის შეძენას. მაგრამ, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ფულის შოვნა, და არც ისე ცოტა რაოდენობით. გვჭირდებოდა მილიონობით დოლარი და ასეთი თანხის გაღება მხოლოდ ამერიკელ ებრაელებს შეეძლოთ» [1; 30]. გოლდა მეირი ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალური მისიით გაემგზავრა 1948 წლის 21 იანვარს და ჩიკაგოში ებრაელთა ფედერაციისა და ქველმოქმედი ფონდის საბჭოს საერთო კრების წინაშე სიტყვით გამოვიდა. მან თქვა: «ებრაული მოსახლეობა პალესტინაში იბრძოლებს ბოლომდე. თუ ჩვენ არ გვექნება იარაღი, ვიბრძოლებთ ქვებით... ებრაელმა ხალხმა უკანასკნელ წლებში დაკარგა ექვსი მილიონი ებრაელი...

მაგრამ თუ იცოცხლებს შვიდასი ათასი ებრაელი, იცოცხლებს ებრაელი ხალხი». გოლდა მეირი პალესტინაში 5 მილიონი დოლარით დაბრუნდა, რომლითაც ჰაგანისათვის შეიძინეს იარაღი. ამ ფაქტის შესახებ ბენ-გურიონმა თქვა: «როცა ისტორია დაიწერება, იქ ჩაიწერება ამბავი ებრაელი ქალისა, რომელმაც სახელმწიფოს შესაქმნელად ფული იშოვა» [1; 31-32].

ისრაელის არმია დაკომპლექტებული იყო კარგად გაწვრთნილი კადრებით და აღჭურვილი თანამედროვე იარაღით, არტილერიით, ტანკებითა და თვითმფრინავებით. დასავლეთის სახელმწიფოების კოლონიური სისტემის ქვეშ დიდხანს მყოფი არაბული არმია კი მხოლოდ და მსუბუქი იარაღით იყო აღჭურვილი. მათ არ ჰყავდათ გამოცდილი კადრები და, საერთოდ, მზად არ იყვნენ ომისათვის, ისრაელის არმია მაშინვე ჩაება ომში. ომისათვის სათანადოდ აღჭურვილი ისრაელის არმია კი მუდმივად ივსებოდა დასავლეთის ქვეყნებიდან სამხედრო ემიგრანტებით, რომლებიც გამოცდილი სპეციალისტები იყვნენ, აგრეთვე, უახლესი იარაღითა და მთელი მსოფლიო ებრაული თემის ფინანსური დახმარებით. ისრაელი სარგებლობდა აგრეთვე მსოფლიო საზოგადოების მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერით. ყველა ამ ფაქტორმა განაპირობა ისრაელის გამარჯვება [82; 52].

ჯერ კიდევ ომამდე (1948 წლის აპრილში) საბჭოთა კავშირის სატელიტ ჩეხოსლოვაკიაში შეძენილი «მესერშმიტის» ტიპის თვითმფრინავებით ისრაელმა, იმავე წლის მაისის ბოლოს ეგვიპტის არმიის საჰაერო უპირატესობას ხაზი გადაუსვა. უნდა ითქვას, რომ სტალინის ნებართვით, ჩეხოსლოვაკიამ საკმაოდ ბევრი და კარგი ხარისხის საჭურველი მიჰყიდა ისრაელს, რამაც საბოლოოდ მოაგებინა ომი [21; 331]. მოსკოვი ყველაფერს აკეთებდა მიზნის მისაღწევად, რადგანაც ახლო აღმოსავლეთში მოსკოვი ვაშინგტონს უპირისპირდებოდა. მას აღმოსავლეთ ბლოკის საიდუმლო სამსახურის იარაღით მომარაგების და ახლო აღმოსავლეთელი მეომრების გაწვრთნის დიდი გამოცდილება ჰქონდა. სტალინმა არა მარტო იარაღით მოამარაგა ებრაული არმია, არამედ მისი ოფიცრებიც გაწვრთნა. 1948 წლის დასაწყისში სამხედრო ატაშემ ბეირუთში სტივენ მიდმა ვაშინგტონში თავის ხელმძღვანელობას იმ საიდუმლო თვითმფრინავების შესახებ აცნობა, რომლებიც ბიკაას ველზე, ღამღამობით აეროდრომზე სხდებოდნენ. ატაშემ შიფროტელეგრამაში ამერიკელებს აუხსნა, რომ ამ

გზით შეჰქოდათ იარაღი ჩამოყალიბების მდგომარეობაში მყოფი ისრაელის არმიისათვის. ვაშინგტონმა დაზვერვას დაავალა, გაეგოთ საიდან მოდიოდა იარაღი. პასუხად პრაღაში მყოფმა სამხედრო ატაშემ გაარკვია, რომ იარაღით სავსე ყუთები საიდუმლო თვითმფრინავის ბორტზე იტვირთებოდა ჩეხოსლოვაკიაში და ებრაული არმიისათვის მოხალისეებს წვრთნიდნენ ჩეხოსლოვაკიის არმიაში. ატაშემ არ იცოდა, რომ მოხალისეებად არჩევდნენ აგრეთვე მეორე მსოფლიო ომს გამოვლილ ებრაელ-ოფიცრებსაც. საბჭოთა არმიის წევრებს აუხსნეს, რომ ეს პარტიული დავალებაა _ იბრძოლონ ისრაელის მხარეზე ბრიტანეთის იმპერიისა და არაბი რეაქციონერების წინააღმდეგ. ისრაელისათვის იარაღის მიწოდების თაობაზე ინფორმაციებს ამერიკის სამხედრო დაზვერვა რეგულარულად აწვდიდა ვაშინგტონს. საომარი ტვირთი საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული იყო, როგორც «ქირურგიული ინსტრუმენტები და სხვა სამედიცინო აღჭურვილობა» [106; 15]. თვითმფრინავები ჯდებოდნენ თვით ისრაელის ტერიტორიაზე, რომელსაც იმ დროს ჯერ კიდევ არავინ უწოდებდა ისრაელს. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი ადმირალი ჰილენპეტერი უკმაყოფილო იყო ისრაელში იარაღის გადასროლით. ვაშინგტონში მზად იყვნენ ოფიციალური პროტესტი გამოეცხადებინათ პრაღისათვის. ჩეხოსლოვაკიის ელჩმა ამერიკელებს აუხსნა, რომ მისი მთავრობა ისე საჭიროებს ვალუტას, რომ პროტესტის მიუხედავად კვლავ გააგრძელებს იარაღით ვაჭრობას. ბრნოსთან შორიახლოს, კუნოვიცაში, ინგლისურ «სპიტფარ»-ს და გერმანულ «მესერშმიტ-109»-ს ამერიკული ნიშნებით ღებავდნენ, რათა მფრინავებს ოკუპირებული გერმანიის ამერიკული ზონის გადაფრენა გაადვილებოდათ. შემოდგომაზე ამერიკის სამხედრო ატაშემ ვაშინგტონს აცნობა, რომ ჩეხოსლოვაკიაში ისრაელის სამხედრო მოსამსახურეების ინტენსიური მზადება მიდიოდა [106; 36-38].

ისრაელის სამხედრო ნაწილები თავდადებით იბრძოდნენ არაბების წინააღმდეგ ომში. მათ ძლიერი მოტივაცია ჰქონდათ: წყდებოდა ებრაული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. არაბული ქვეყნების არმიების საბრძოლო მოქმედება კი ერთმანეთთან ცუდად კოორდინირებული და ნაკლებ ეფექტიანი გამოდგა, თუმცა, თავიდან მებრძოლი მხარეების სამხედრო ძალები რაოდენობით დიდად არ განსხვავდებოდნენ. 1949 წლის დაზავების შემდეგ ისრაელმა უპირატესი

მნიშვნელობა მიანიჭა ქვეყანაში საკუთარი ინდუსტრიის განვითარებას და დიდ წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით [21; 332]. თავდაცვითი რესურსების მართვის სისტემის გონივრულად გამოყენება საგრძნობლად ეხმარება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მიზნების განსაზღვრასა და მიღწევაში [39; 37].

მეფე აბდალაჰის ღონისძიებებმა, მომავალი პალესტინის ირგვლივ არსებულმა მაქინაციებმა და ბერნადოტის გეგმამ პოლიტიკური აქტიურობა გააძლიერეს არა მარტო არაბულ სამყაროში, არამედ აშშ-სა და ინგლისის მმართველ წრეებში. აბდალაჰის წინადადება _ თავის თავზე აეღო არაბული არმიების რეალური ხელმძღვანელობა, სხვა არაბულმა ქვეყნებმა არ მიიღეს. ისინი ამაში იორდანიის მმართველი წრეებისა და მათი ინგლისელი მფარველების მიერ შეიარაღებული არაბული ძალების გამოყენების მართებულ საშიშროებას ხედავდნენ [86; 85].

პირველი მოლაპარაკებების დროს უთანხმოება უკვე კონკრეტულად მთლიანად პალესტინის პრობლემასთან დაკავშირებით წამოიჭრა. ბერნადოტის საპასუხოდ 1948 წლის 9 ივლისს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის კომიტეტმა უმაღლესი არაბული კომიტეტის ბაზაზე პალესტინის ადმინისტრაციული საბჭოს შექმნის გადაწყვეტილება მიიღო, იორდანიასა და სხვა არაბულ ქვეყნებს შორის გამწვავებულმა ურთიერთობებმა ერაყის პრემიერ-მინისტრ ალ-ფაჩაჩის გეგმა ერთიანი არაბული მთავარსარდლობის შექმნის შესახებ ჩაშალა. იორდანიისა და პალესტინის უნიფიკაციისაკენ აბდალაჰის პირველ მცდელობებს, სასაზღვრო ხაზის გაუქმებას და იორდანიაში მყოფ პალესტინელ ლტოლვილებზე იორდანიის კანონებისა და იურისდიქციის გავრცელებას მხოლოდ ურთიერთუნდობლობა მოყვა [86; 86].

1948 წლის 18 სექტემბერს ბერნადოტის რეკომენდაციების გამოქვეყნებამ გარდაუვალი კრახი მხოლოდ დააჩქარა. სექტემბრის შუა რიცხვებში პალესტინის დამოუკიდებელი მთავრობის შექმნის საკითხი ფართოდ განიხილებოდა არაბული ქვეყნების პრესასა და პოლიტიკურ წრეებში. არავინ ფარავდა, რომ ეს პალესტინის გადაკეთების პროექტსა და აბდალაჰის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. აბდალაჰი კერძო საუბარში წუხდა, რომ: «მუფთისა და ქუათლის (სირიის მთავრობა) პალესტინაში დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნა სურდათ, რომლის სათავეშიც

მუფთი იქნება. თუ ეს მოხდება, მე ყველა მხრიდან მტრებით ვიქნები გარშემორტყმული. ეს მაიძულებს ზომები მივიღო მათი გეგმის ჩასაშლელად. ინგლისელების მიერ დატოვებულ ყველა რაიონს ჩემი ჯარისკაცები დაიკავებენ. მე თავს არ დავესხმები ებრაელებს, თუ ისინი არ დამესხმებიან. მე არ დავუშვებ პალესტინის დაჭრას» [80; 234]. 22 სექტემბერს, ბერნადოტის რეკომენდაციების გამოქვეყნებიდან ზუსტად ოთხი დღის შემდეგ, არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ ფორმალურად გამოაცხადა საერთო პალესტინური მთავრობის შექმნა არაბი მეწარმის ჰილმი ფაშას მეთაურობით [86; 87].

30 სექტემბერს ქ. ღაზაში გამართულმა პალესტინელ არაბთა ასამბლეამ მუფთი ამინ ალ-ჰუსაინი ასამბლეის პრეზიდენტად (ფაქტობრივად, პალესტინის მეთაურად) აირჩია. იერუსალიმის არაბული ნაწილის ახალმა პატრონმა - მეფე აბდალაჰმა ამინ ალ-ჰუსაინი დიდი მუფთის თანამდებობიდან და ისლამური საბჭოს პრეზიდენტობიდან გაათავისუფლა [26; 34]. ოქტომბრის თვეში, «ღაზას მთავრობის» სახელით ცნობილი ჰილმი ფაშას კაბინეტი იორდანიის გარდა არაბულ სახელმწიფოთა ყველა წევრმა ცნო, ღაზას მთავრობის აღიარებას კი აბდალაჰის მიერ სასწრაფო კონტრზომები მოჰყვა. მან განაცხადა, რომ აღმოსავლეთ პალესტინაში ღაზას მთავრობის საქმიანობის წინააღმდეგია. ამანის მთავრობის 1948 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით იორდანიის ზონაში ალ-ჰუსაინის მეთაურობით სამხედრო ორგანიზაცია «ალ-ჯიჰად ალ-მუკადდ»-ის რაზმები შევიდნენ. არაბული ლეგიონისა და ერაყის არმიის მიერ ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიაზე ჰილმი-ფაშას წინააღმდეგ იორდანიის ხელისუფლების მიერ ინსპირირებული კამპანია დაიწყო, რაშიც უარყოფითი პოზიცია დაიკავეს ინგლისელებმა და ამერიკელებმა. აშშ-ს მმართველი წრეები ებრაული წარმოშობის გავლენიანი ამერიკელი მონოპოლისტების ინტერესებს გამოხატავდნენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აშშ-ში მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რომელზედაც პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა კვლავ თავისი კანდიდატურა წამოაყენა [134; 105]. რუზველტის სიკვდილის შემდეგ ტრუმენი თავს მსოფლიოს ბატონ-პატრონად თვლიდა და გაეროში «ვეტოს» უფლების მიღების ჩასაშლელად დირექტივებს იძლეოდა.

არაბებს ჯერ კიდევ ახსოვდათ 1945 წლის ბოლოს ტრუმენისა და არაბი ლიდერების პალესტინის საკითხთან დაკავშირებული შეხვედრა. «ვწუხვარ, ჯენტლმენებო, მაგრამ მე ვალდებული ვარ ასეულ ათასობით ადამიანის წინაშე, სიონიზმის წარმატებით ვიყო დაინტერესებული, ჩემს ამომრჩეველთა შორის არ არის ასეული ათასი არაბი» [134; 106]. 1948 წლის არჩევნების წინ კი ტრუმენმა განაცხადა, რომ ისრაელის მთავრობას არ აიძულებდა თავისი სურვილის გარეშე დაეთმო დაკავებული ტერიტორიების რაიმე ნაწილი. ამერიკელი ავტორი ლ. გრიზუოლდი წიგნში «დაძაბულობა, ტერორი და სისხლი წმინდა მიწაზე» წერს, რომ ამ დროისათვის აშშ «ისრაელის ტერიტორიის შემცირების ყველა ცდას აფერხებდა». აშშ თვლიდა, რომ ღაზას მთავრობის შექმნა დარტყმას მიაყენებდა ისრაელის გეგმებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ამერიკის დასაყრდენი ბაზა უნდა გამხდარიყო. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალი თავიდან ბერნადოტის გეგმას ემხრობოდა, მაგრამ იგი გაეროში აშშ-ს წარმომადგენლების მიერ იქნა დეზავიურებული. ნეგევში ისრაელის არმიის წარმატებით შესვლის შემდეგ კი აშშ საბოლოოდ გაემიჯნა ამ პროექტს [111; 58].

პალესტინის ფრონტზე კი მდგომარეობა იცვლებოდა. 9-18 ივლისის ომის პერიოდი «ომის ათი დღის» სახელით გახდა ცნობილი. მან ისრაელის თავდაცვის არმიას მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა [154; 34]. ამიტომაც არაბები სასწრაფოდ დათანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე, რომელიც 17 ივლისს იერუსალიმში, 18 ივლისს კი მთელ ქვეყნაში უნდა დაწყებულიყო [110; 2]. ათდღიანი ომის დროს ისრაელის არმიამ ქვეყნის შიგნით ჩაატარა ოპერაცია «დანი», რომლის შემდეგაც მის ხელში გადავიდა ლიდი, რამლა და მიმდებარე სოფლები. თელ-ავივს დაპყრობის საფრთხე აღარ ემუქრებოდა... ჩრდილოეთის ფრონტზე კი 16 ივლისს ებრაელებმა აიღეს ნაზარეთი და გაწმინდეს მთელი გალილეა... ლიდისა და რამლას შეშინებულმა არაბმა მოსახლეობამ გაქცევა დაიწყო [80; 241]. ფიზიკური მოსპობის საშიშროების წინაშე ბევრი პალესტინელი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური ადგილები და ხსნა მეზობელ არაბულ ქვეყნებში, უმთავრესად კი იორდანიაში ეძებნა [55; 22]. ასე დაიბადა «პალესტინელი ლტოლვილების» პრობლემა. ამ მოვლენებმა დააჩქარეს ცეცხლის მეორედ შეწყვეტა. 1948 წლის 18 ივლისს ძალაში შევიდა დავით

ბენ-გურიონის ინიციატივით მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე [80; 245]. ისრაელმა ეს დრო კვლავ მობილიზაციისა და მატერიალური რესურსების შესავსებად გამოიყენა... არმიაში მობილიზებულ იქნა 100.000 კაცი. იარაღი საზღვარგარეთიდან შემოვიდა.

იმავდროულად ბერნადოტი მოგზაურობდა ქვეყანაში, რათა თავისი მშვიდობიანი ინიციატივის მომხრეები ეპოვა. ის კვლავ ცდილობდა საკუთარი გეგმის განხორციელებას, რომლის მიხედვითაც ეგვიპტეს მოწყვეტილი ნეგევი (გაეროს შეთანხმებების წინააღმდეგ) _ არაბებს უნდა გადაცემოდათ [80; 242]. მაგრამ 17 სექტემბერს ებრაული ორგანიზაცია «ლეუმის» წევრებმა გრაფი ფ. ბერნადოტი მოკლეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ამ ფაქტთან დაკავშირებით 194 (III) რეზოლუცია მიიღო და პალესტინაში ახალი შუამავალი რ. ბანჩი გაგზავნა. ფ. ბერნადოტის მკვლელობამ იერუსალიმის მთავრობასა და მოხალისეთა რაზმებს შორის ურთიერთობა გაამწვავა [111; 4].

საომარი მოქმედებები კვლავ განახლდა 1948 წლის ოქტომბერში. 14 ოქტომბერს ისრაელმა შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა ქალაქ ბერ-შებაზე, რომელიც პალესტინის ტერიტორიაზე მდებარეობდა და არაბული ქვეყნებისათვის იყო განკუთვნილი. ამასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭომ რეზოლუცია მიიღო, რომლის მოთხოვნითაც «მხარეებს ის პოზიციები უნდა შეენარჩუნებინათ, რომელიც ომის დასაწყისში დაიკავეს» [76; 77]. ბენ-გურიონი იერუსალიმისაკენ მიმავალი გზის გათავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ მის სამხედრო ძალებს არ გააჩნდათ საამისო საშუალება. ბენ-გურიონს უნდოდა იერუსალიმის გზაზე მდებარე ციხე არ-რითაჯს დასხმოდა თავს, რომელიც აბდალაჰის სამხედრო ძალების მიერ იყო ოკუპირებული. ბუნ-გურიონს სურდა ყველა მიმართულებით წინ წაწეულიყო და რამალაჰისა და იერუსალიმის შემოგარენი დაეკავებინა. შესაძლოა უფრო წინ წაეწია სამხრეთი რაიონისაკენ, რომელშიც ბეთლემი და ალ-ხალილი (ჰებრონი) შედიოდა [155; 81]. ისრაელის მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღო, რათა არ დაეშვა ნეგევის ისრაელის სახელმწიფოსათვის მოწყვეტა. 15 ოქტომბერს ისრაელის არმიამ ნეგევში ეგვიპტის არმიას შეუტია, საომარ ოპერაციებში ისრაელმა «იოვა» და «ხორევი» გადაიყვანა [80; 242]. სინაისაკენ გზა თავისუფალი იყო. ეგვიპტის მთელ არმიას განადგურება ელოდა.

ისრაელმა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის გავლენითა და გაეროს გადაწყვეტილებებით გამოიყვანა არმია სინაიდან და საერთაშორისო საზღვარს დაუბრუნდა. ალყაში მოქცეული ეგვიპტელები ევაკუირებულ იქნენ [86; 88]. სინაის ნახევარკუნძული ძალზე მნიშვნელოვანი იყო ეგვიპტისათვის. მოგვიანებით ეგვიპტის პრეზიდენტი გ.ა. ნასერი ამბობდა: «...გაიგეთ, რომ საქმე მარტო სინაის გათავისუფლებაში იყოს, ეს ადვილი იქნებოდა. მაგრამ საქმე ეხება ჩვენს ბედს. სინაის გასათვისუფლებლად უნდა მივიღოთ ისრაელ-ამერიკის მოთხოვნები, მივცეთ ისრელს იერუსალიმი, იორდანეს დასავლეთ სანაპირო და სხვა არაბული მიწები... პრობლემა სინაიში არ არის, ის უფრო ფართო და ღრმაა. ის მდგომარეობს შემდეგში: დგას ყოფნა-არყოფნის საკითხი» [134; 102].

საომარ ვითარებაში მომხდარმა ცვლილებებმა სერიოზული გავლენა იქონიეს როგორც შემდგომ მოვლენებზე, ისე იორდანიის პოლიტიკაზე. 23 ოქტომბერს ამანში მოიწვიეს არაბული ქვეყნების მთავრობების საიდუმლო კრება. არაბულ ქვეყნების ლიგა მზად იყო დაეთმო აბდალაჰისათვის, რომ პალესტინის ბედი ომის შემდეგ გადაწყვეტილიყო და გამორიცხული არ იქნებოდა სხვა არაბულ სახელმწიფოსთან მისი გაერთიანება [120; 11]. ამის მიუხედავად არაბულმა ლეგიონმა დახმარება არ გაუწია ნეგევში განლაგებულ ეგვიპტის ნაწილებს. იორდანიის მთავრობამ ლეგიონის დასუსტებისა და საბრძოლო მასალების უკმარისობის საბაბით უარი თქვა ამ ფრონტზე თავისი არმიის გადასროლაზე. იოდანიის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ინგლისმა ფაქტობრივად უარი თქვა მის რეალურ მხარდაჭერაზე. თუმცა, მანამდე ინგლისის მთავრობამ არაერთხელ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა ისრაელის არმიის თავდასხმისაგან იორდანიის ტერიტორიის დაცვას [86; 88].

აღსანიშნავია ამ ომში არაბული ლეგიონის მეთაურის გლაბის პირადი პოზიცია, რაც ებრაელების ინტერესებს პასუხობდა. მისი ძალისხმევის შედეგად ებრაელებმა პალესტინის ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინეს. ზავის დადების შემდეგაც გლაბი ყველაფერს აკეთებდა სიონისტებისათვის «სტატუს კვოს» შესანარჩუნებლად [135; 59].

4 ნოემბერს უშიშროების საბჭომ [1]61 როზულუციით, მეომარ მხარეებს და, ძირითადად, ისრაელს მოსთხოვა, «გამოეყვანათ არმიები, 1948 წლის 14 ოქტომბრის პოზიციების შემდეგ დაპყრობილი ტერიტორიებიდან». ეს რეზოლუცია მეომარ

მხარეებს ავალდებულებდა არ დაერღვიათ შეთანხმება და მეომარ ქვეყნებს საომარი და მატერიალური სიმდიდრის მიღებას უკრძალავდა [76; 77]. გაერომ მიიღო აგრეთვე 162 რეზოლუციაც. 161 და 162 რეზოლუციები კატეგორიულად მოითხოვდნენ ისრაელის არმიის საომარი მოქმედებების შეჩერებას. ეს გახდა ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის დროებითი ზავის ძირითადი ნორმატიული საფუძველი და ამ ნორმებში კონკრეტულად იყო წარმოდგენილი მომავალი შეთანხმების დეტალები [76; 78].

ეგვიპტის არმიის დამარცხებას შეიძლება იმანაც შეუწყო ხელი, რომ ომის დაწყებამდე ეგვიპტე თავის მხრივ საერთო საქმისათვის არაფრის გაკეთებას არ აპირებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ინგლისური იარაღით იყო აღჭურვილი. ეგვიპტის თავდაცვის მინისტრი ჯერ კიდევ აპრილში ამბობდა: «ჩვენ არ ვფიქრობდით ომში ოფიციალურად ჩაბმაზე, ჩვენ არ ჩავერევით. ჩვენ ნება მივეცით ჩვენს ჯარისკაცებს და ოფიცრებს პალესტინის განთავისუფლებისათვის ომში იბრძოლონ როგორც მოხალისეებმა» [136; 22]. ეგვიპტის მთავარსარდალი სინაიში, გენერალ-მაიორი აჰმად ალ-მუავი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ერეც-ისრაელში შესვლას და ამბობდა, რომ არმია მზად არ იყო ომისათვის, მაგრამ მოვალე იყო დამორჩილებოდა მთავრობის ბრძანებას. როგორც შემდეგში ომის მოვლენებზე საუბრისას მეფე აბდალაჰი აღნიშნავდა: «ეგვიპტისა და სხვა არაბული სახელმწიფოების ჩარევა ამ ომში გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ მათი სამხედრო და ტერიტორიული ამბიციებით. ამასვე ადასტურებს ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება, არასაკმარისი და არასათანადოდ მომზადებული არმიების პალესტინაში გაგზავნა; ომის მსვლელობისას ერთიანი ხელმძღვანელობის უქონლობა და ლიდერთა შორის არაერთსულოვნება» [80; 234]. ეგვიპტის არმიის დამარცხებამ გზა გაუხსნა ისრაელის არმიას და ჩრდილოეთის ფრონტზე საომარი მოქმედებების შედეგად ისრაელის ჯარები ლიბანში შევიდნენ [80; 235]. შიმონ პერესი ამბობდა: «ჩვენ გვჭირდება იარაღი ომისათვის და წყალი მშვიდობისათვის» [105; 32]. ეგვიპტის არმიის დამარცხება და ისრაელის არმიის ეგვიპტის ტერიოტორიაზე შეჭრა არაბებმა შეურაცხყოფად მიიღეს. ამ ფაქტის შესახებ მეორე მსოფლიო ომის შედგომი ყველაზე ნაყოფიერი ამერიკელი დიპლომატი ჰენრი

კისინჯერი, ვინც წლების განმავლობაში მუშაობდა ეგვიპტისა და ისრაელის დაახლოებისათვის და მუდმივად იერუსალიმსა და არაბულ დედაქალაქებს შორის მოგზაურობდა, თავის ცნობილ წიგნში «დიპლომატია» აღნიშნავს, რომ ეგვიპტის არმიის დამარცხებამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ეგვიპტეზე და შემდეგში პრეზიდენტ აბდ ალ-ნასერის პოლიტიკაზე, რომელიც არ დათანხმდა შემდგომში ისრაელთან ნამდვილი მშვიდობის მიღწევას, რადგანაც ამ შემთხვევაში ის არაბულ სამყაროში ლიდერის როლს დაკარგავდა [84; 105]. ეგვიპტის დამარცხებამ და პალესტინის ომში მომხდარმა ცვლილებებმა იმოქმედა აბდალაჰის გეგმებზეც და დღის წესრიგიდან მოიხსნა ისიც, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში პალესტინის ეროვნულ კონგრესზე ღაზას მთავრობის შექმნა განიხილებოდა აბდალაჰის მეურვეობით [80; 101]. ჰილმი ფაშას კაბინეტთან დაპირისპირებული მთავრობის შექმნა იორდანიის მმართველმა წრეებმაც ზედმეტად ჩათვალეს, მის სანაცვლოდ იორდანიისა და არაბული ლეგიონის მიერ პალესტინის ოკუპირებული ნაწილის გაერთიანების პროექტი წამოაყენეს, და ბოლოს იორდანიასა და პალესტინაში ორი ქვეყნის გაერთიანების გადაწყვეტილების მიღებას მიაღწიეს. იერუსალიმის კოპტმა ეპისკოპოსმა 1948 წლის 15 ოქტომბერს აბდალაჰი პალესტინის მეფედ გამოაცხადა.

1948 წლის 1 დეკემბერს პალესტინის ქალაქ იერუსალიმში მოიწვიეს პალესტინის ეროვნული კონგრესი, რომელსაც აბდალაჰის მომხრე 2 ათასი დელეგატი ესწრებოდა. [94; 101] კონგრესის პოზიციამ და რეზოლუციამ დაამტკიცა აბდალაჰისა და იორდანიის მთავრობის გადაწყვეტილება _ არაბულ ლიგასთან შეთანხმების გარეშე მოეხდინა აღმოსავლეთ პალესტინის პირდაპირი ანექსია. მემორანდუმში პირდაპირ იყო ნათქვამი პალესტინისა და იორდანიის უმოკლეს ვადაში გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. კონფერენციის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდა და აბდალაჰსა და არაბული ქვეყნების ლიგის წარმომადგენლებს გადაეცათ. კონფერენციამ იორდანიისა და პალესტინის აბდალაჰის გვირგვინის ქვეშ გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო, რამაც დაბნეულობა გამოიწვია არაბულ ქვეყნებს შორის. იერიქონის კონგრესის გადაწყვეტილებები მთელი არაბული სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა. ეგვიპტის მეფემ ფარუკმა სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნა აბდალაჰის

წინააღმდეგ. უმაღლესმა მუსლიმურმა უნივერსიტეტმა «ალ-აზჰარმა» კი ფათვა (საღვთისმეტყველო-სამართლებრივი დასკვნა) გამოსცა, სადაც კონგრესის გადაწყვეტილება შარიათის საფუძვლების დარღვევად მიიჩნია. ეგვიპტისა და სირიის მთავრობებმა არაბული ლიგიდან იორდანიის გარიცხვა მოითხოვეს. 7 დეკემბრის იერიქონის კონგრესის გადაწყვეტილება იორდანიის მთავრობამ დადებითად შეაფასა, 13 დეკემბერს კი ის პარლამენტმაც მიიღო. არაბული არმიის წარუმატებლობამ და აშშ-გან ზეწოლამ ინგლისი აიძულა ისრაელის დაპყრობებს შეგუებოდა, რათა ამ დროისათვის არაბული ლეგიონის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე თავისი გავლენა შეენარჩუნებინა [86; 91].

1948 წლის 1 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ [1]194 (III) რეზოლუცია მიიღო. ეს იყო გაეროს ერთ-ერთი საბაზისო გადაწყვეტილება მთლიანად ახლო აღმოსავლური კონფლიქტის შესახებ, რომელიც პალესტინის საკითხის სამართლიან გადაწყვეტას ითხოვდა. ამ აქტის შინაარსი შემდეგი იყო: 1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სამი ქვეყნის წარმომადგენლებისაგან მომრიგებელი კომისია უნდა შექმნილიყო, რომელიც შუამავლის ფუნქციებს იკისრებდა კონფლიქტის მოსაგვარებლად. 2) პალესტინელი ლტოლვილების ბედის სამართლიანი გამოკვლევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გენერალური ასამბლეის ეს გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1947 წლის 29 ნოემბრის ცნობილი [1]181 (II) რეზოლუციის მსგავსად პალესტინელი არაბების თვითგამოკვევის უფლებას ითვალისწინებდა [93; 7]. [1]194 (III) რეზოლუციაც იერუსალიმის წმინდა ადგილებში თავისუფალი მიმოსვლის უფლების მოთხოვნას შეიცავდა და იმ დროისათვის ისრაელის მიერ ოკუპირებულ ქალაქ ნაზარეთსა და იერუსალიმში საერთაშორისო რეჟიმს ამტკიცებდა. რეზოლუცია თხოვნით მიმართავდა უშიშროების საბჭოს, ზომები მიეღო ამ ქალაქის დემილიტარიზაციისათვის, რაც შესაბამისად ამ ზონიდან და იერუსალიმიდან ისრაელის არმიის გაყვანას ითვალისწინებდა. არმიას უნდა გაეთავისუფლებინა იერუსალიმის მისასვლელი გზები, სარკინიგზო და საჰაერო გზებიც [155;103]. რეზოლუციის მე-11 პუნქტი პალესტინელი ლტოლვილების მდგომარეობასაც აფიქსირებდა. მშობლიურ კერასა

და მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში დაბრუნების მსურველ ლტოლვილებს მოკლე ვადაში უნდა მიეღოთ იქ დასაბრუნებელი კომპენსაცია.

ჯერ კიდევ 1947 წელს დავიდ ბენ-გურიონმა განაცხადა, ისრაელის სახელმწიფოს საზღვარი ომის შედეგებით განისაზღვრებაო [80; 69]. ბენ-გურიონი მიიჩნევდა, რომ სამხრეთით მდებარე ნეგევის უდაბნოს ნაკლებნაყოფიერ მიწაზეც უნდა შექმნილიყო ახალშენები, რათა ებრაელებს დასაბუთებული პრეტენზია ჰქონოდათ ნეგევზე. მართლაც, 1943 წელს ნეგევის უდაბნოში დაარსებულმა სამმა კიბუცმა (რევიუმი, გვულოთი, ბეთ-ეშელი) გადაწყვიტა მომავალი ებრაული სახელმწიფოსათვის ნეგევის უდაბნოს (ქვეყნის მთლიანი ფართობის ნახევარი) მიკუთვნება, რაც უზრუნველყოფდა ისრაელის წითელ ზღვაზე გასვლას. როდესაც 1947 წელს პალესტინის გაყოფასთან დაკავშირებით ჩასულ სპეციალურ საერთაშორისო კომისიას უჩვენეს უდაბნოში მდებარე კარგად მოვლილი კიბუცი რევიუმი, ამ ვიზიტმა განაპირობა ტერიტორიული გადანაწილების შესახებ კომისიის რეკომენდაცია [21; 349].

1949 წლის 7 იანვარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაჟინებული მოთხოვნით ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის საომარი მოქმედებები შეწყდა [37; 478]. ეს ომი ისრაელის გასანადგურებლად დაიწყო და ისრაელის გამარჯვებით დამთავრდა. ისრაელმა შეძლო არა მარტო პალესტინისათვის გამოყოფილი ტერიტორიის ხელში ჩაგდება, არამედ სერიოზული საფრთხე შეუქმნა მეზობელ არაბულ ქვეყნებსაც. მამაცურად მებრძოლი არაბების საომარი მარცხი მიზნის ერთიანობის არქონამ და ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა. იორდანიის მეფე აბდალაჰი ისრაელთან ომის დაწყების ერთ-ერთი მოთავე იყო, თუმცა როგორც კი მისმა არმიამ პალესტინის ნაწილი დაიკავა, ის კულისებს მიღმა ისრაელთან გარიგებაზე წავიდა და მალე ომიდანაც გავიდა. როგორც გაირკვა, ისრაელსა და აბდალაჰს შორის გარიგებები პალესტინის გაყოფის შესახებ ომის დაწყებამდეც მიმდინარეობდა [79; 478].

არაბების სამხედრო მარცხში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ეგვიპტის სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე ფარუკი, რომელიც ფაქტობრივად არც ისწრაფოდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნისაკენ. მეფე ფარუკი ეგვიპტელი ხალხის მიმართ

თავის სიძულვილს არ მალავდა და მიაჩნდა, რომ მისი ტახტის ყველაზე მყარი ზურგი იყო ეგვიპტის ტერიტორიაზე ინგლისის არმიის ყოფნა. მესამე არაბულ ქვეყანაში სირიაში კი დემოკრატიული და პატრიოტული ძალები არ იყო იმდენად ძლიერი, რომ საერთო მდგომარეობაზე გავლენა მოეხდინათ. არაბულ ბლოკში მძაფრმა დაპირისპირებებმა მოქმედების ერთიანი კოორდინაციისა და ეფექტური ხელმძღვანელობის შესაძლებლობა არ შექმნა. ამას დაემატა არაბული ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობაც. ისრაელი ვერც იოცნებებდა, რომ არაბული ქვეყნები დიდი ხნის მანძილზე დარჩებოდნენ ამ მდგომარეობაში [79; 23].

საყურადღებოა, რომ ინგლისისა და აშშ-ს პოლიტიკა არაბეთ-ისრაელის პირველი ომის პერიოდში უშუალოდ იყო დაკავშირებული სამხედრო ოპერაციების შედეგებთან. მაშინ, როცა დროებითი ზავის პერიოდს ისრაელის ჯარები თავის სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის იყენებდნენ, აშშ დათანხმდა, გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ფ. ბერნადოტის გეგმის განხილვას, პალესტინაში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე. 1948 წლის სექტემბერში კი, როდესაც სიონისტმა ტერორისტებმა ბერნადოტი მოკლეს და ისრაელის არმია შეტევაზე გადავიდა, შეერთებულმა შტატებმა გადაჭრით გაილაშქრა ამ გეგმის წინააღმდეგ [41; 63]. 1949 წელს ცეცხლის შეწყვეტაზე დათანხმებისათვის პალესტინელები არაბულ ქვეყნებს ღალატში სდებდნენ ბრალს, მაგრამ ბრძოლის გაგრძელებას ისრაელისთვის უფრო მეტი ტერიტორიების შენაძენის მოტანა შეეძლო[80; 242]. ომისათვის საჭირო ხარჯებისათვის, 1949 წლის 16 იანვარს, ელიაჰუ სასონი ისრაელის ფინანსთა სამინისტროს გენერალურ დირექტორს ჰოროვიცს დაუკავშირდა, რომლის შვილიც იორდანიაში ტყვედ იმყოფებოდა და უთხრა, თუ შენი შვილი გინდა, სკივრი გახსენი და დოლარები გაიღეო[155; 36]. ძვირადღირებული უცხოური სამხედრო ტექნიკის შეძენა ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ არმია ძლიერდება. ისრაელის სახელმწიფოს ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ ტექნიკას ესაჭიროება მოვლა და, რაც მთავარია, სწორი ექსპლოატაცია კარგად გაწვრთნილი და თავდადებული სპეციალისტების მიერ. ე.ი. უცხოელ სპეციალისტებს მთლიანად ვერ ანდობ შენს სამხედრო ტექნიკას (როგორც ეს იორდანიამ გლაბის მაგალითზე გააკეთა). სამხედრო ტექნიკა სწრაფად ცვდება და ძველდება, განსაკუთრებით მორალურად. ყოველწლიურად ჩნდება

უკეთესი ტექნიკა, რომელიც ძველ იარაღს უსუსურად აქცევს. ახალი ტექნიკის საზღვარგარეთ შესაძენად საჭიროა ბევრი ფული, ანდა დიდი კაპიტალდაბანდება სამამულო სამხედრო მრეწველობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში. ამ უკანასკნელი და ერთადერთი სწორი გზით წავიდა ისრაელი, რომელმაც თავიდანვე მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიაზე გააკეთა აქცენტი და სახსრებსა და ენერგიას არ ზოგავდა შესაბამისი სამეცნიერო და სამრეწველო ბაზის შესაქმნელად. შედეგიც სათანადო იყო: ყველა ომში, რომელიც ისრაელმა აწარმოა თავის მეზობლებთან, მისი ტექნიკური უპირატესობა აშკარა იყო [21; 331].

ომში ისრაელმა 4.000 სამხედრო მოსამსახურე და 2 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაკარგა (მთელი მოსახლეობის 1%). საომარი მოქმედებები ქვეყანას 500 მილიონი დოლარი დაუჯდა, მაგრამ ისრაელის სახელმწიფო შრომით, გმირობითა და ხალხის თავგანწირვით შეიქმნა. ებრაელ ხალხს ისრაელის სახელმწიფო «ვერცხლის სინით» არ მიუღია. ისრაელი აშკარად აღიარებდა, რომ არა მარტო «არ დაუშვებს პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნას, არამედ უარს არ იტყვის იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და ღაზაში შესვლაზე [114; 4].

აშკარა გახდა, რომ ინგლისმა და ამერიკამ პალესტინის გავლენის სფეროებად დაყოფის საკითხში შეთანხმებას მიაღწიეს. ინგლის-ამერიკის კომპრომისმა როგორც ისრაელი, ისე პალესტინა აიძულა, თავიანთი მფარველებისათვის მიებაძათ. ეს აბდალაჰს ისრაელთან დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ჩართვას აიძულებდა, სხვა არაბული ქვეყნების მხარდაჭერის მოსაპოვებლად კი უარი უნდა ეთქვა პალესტინაში თავისი დაპყრობითი გეგმის განხორციელებაზე[174; 114]. ლონდონში მოსე (მამა) სასონი იორდანიის ელჩს აბდულ მაჯიდ ჰაიდას შევხდა, რომელმაც მაფე აბდალაჰის წერილი გადასცა, სადაც ნათქვამი იყო, რომ მეფე იმედოვნებდა ცეცხლის შეწყვეტისათვის ღონისძიებების მომზადებასა და მოწესრიგებას, თუმცა არ ეწინააღმდეგებოდა ისრაელის ჯარის იერუსალიმისაკენ წაწევას. მეფეს ომის დამთავრება სურდა და ისრაელს ერაყის ფრონტზე დაძაბულობის განმუხტვას სთავაზობდა. ის არ ეწინააღმდეგებოდა ისრაელ-ეგვიპტის მოლაპარაკებებს, თუმცა უარყოფდა ეგვიპტისათვის ღაზას მიერთებას, რადგანაც მას უნდოდა ზღვაზე

გასასვლელი. მეორე დღეს სასონს აბდალაჰის პირადი მდივანი აბდულ ღაზი აქრამი ეწვია, რომელმაც სასონს მოლაპარაკებებისათვის მეფის სურვილი დაუდასტურა, რომ ერაყსა და იორდანიას ომის სწრაფი შეწყვეტა სურდათ. ბენ-გურიონსაც ერჩია მოლაპარაკებები აბდალაჰთან ეწარმოებინა და შეთანხმება ისრაელსა და იორდანიას შორის, და არა ისრაელ-ეგვიპტეს შორის დადებულიყო, რადგნაც ეგვიპტეს ღაზის სექტორი უნდოდა, რომელიც ზღვაზე გასასვლელი იყო[155; 94]. მშვიდობა ამ რეგიონში მხოლოდ მოლაპარაკებების საშუალებით შეიძლებოდა უზრუნველყოფილიყო [148; 72].

არაბეთ-ისრაელის პირველ ომში ისრაელის სამხედრო ნაწილები თავდადებით იბრძოდნენ. მათ ძლიერი მოტივაცია ჰქონდათ: წყდებოდა არა მარტო ებრაული სახელმწიფოს, არამედ, საერთოდ, პალესტინის ებრაული თემის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამ ომში ისრაელმა ბოლო ოპერაცია «უვდა» ჩაატარა. მისმა ბრიგადებმა დაიკავეს ნეგევი და გოლანის მაღლობი და არაბეთის ყურის პორტი ალ-მურაშრაში (ან უმ-რაშრაში), რომელიც გენერალმა გლაბმა ნებაყოფლობით გადასცა ებრაელებს [135; 59] და დღეს იქ აღორძინებული პორტი ეილათია. ისრაელმა მიიღო წითელ ზღვაზე გასავლელი. ომი ფაქტობრივად დამთავრდა. დამარცხებული არმიები დათანხმდნენ ხელი მოეწერათ ზავზე [80; 121].

1949 წლის 29 იანვარს ინგლისის მთავრობამ ცნო ისრაელის სახელმწიფო და ორი დღის შემდეგ კი ამერიკის მთავრობამ თავის მხრივ იორდანია ცნო.

არაბეთ-ისრაელის პირველი ომი, რომელმაც პალესტინის ომის სახელწოდება მიიღო, 1949 წლის 23 მარტამდე გაგრძელდა. არაბებს შორის სხვებზე მეტი წარმატებით იორდანიის ნაწილებმა იბრძოლეს და მათ დაიკავეს აღმოსავლეთ იერუსალიმი (ძველი ქალაქითურთ), ისტორიული სამარია და «დასავლეთი ნაპირი». ამ ომის შედეგად ისრაელმა 6,7 ათასი კვ. კმ-ით გაიფართოვა თავისი «სასიცოცხლო არეალი». აქედან 350 ათასი ჰექტარი უხვმოსავლიანი (ნაყოფიერი) მიწები იყო. მაშინდელი მონაცემებით პალესტინელმა არაბებმა 2,5 მილიარდი დოლარი იზარალეს.

პალესტინის ის ნაწილი, რომელიც ისრაელმა ვერ დაიპყრო, არაბულ სახელმწიფოთა კონტროლს დაექვემდებარა. მდინარე იორდანეს დასავლეთ

სანაპირო იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილით _ 6 ათასი კმ²-ით იორდანიის მფლობელობაში, ხოლო ღაზას სექტორი _ ეგვიპტის მფლობელობაში გადავიდა [69; 10]. ისრაელმა დაიკავა არაბული სახელწიფოსათვის გათვალისწინებული ტერიტორიის თითქმის ნახევარი (სამხრეთ სანაპირო ზოლი თითქმის ღაზამდე, ჩრდილოეთით _ ლიბანის საზღვრებამდე, აგრეთვე ზემო გალილეა). 1948-49 წლების შედეგად ისრაელის საზღვრები საგრძნობლად გაიზარდა [149; 69]. ქ. იერუსალიმის დასავლეთ ნაწილი ისრაელის ხელში გადავიდა. მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეს იყო გაყოფილი ქალაქი ეკლიანი მავთულხლართებით ქუჩებსა და პარკებში. ამრიგად, 1948-49 წლების ომის შემდეგ, ისრაელის სახელმწიფოს ფაქტობრივად «პალესტინის სამანდატო» ტერიტორიის 78 პროცენტი დარჩა [80; 249]. ამგვარად, პალესტინის არაბული სახელმწიფო, კი 1948-49 წლების არაბებისა და ისრაელის პირველ ომს ემსხვერპლა [62; 264]. არაბული სახელმწიფო არ შექმნილა. გაერო, რომელმაც არავითარი მექანიზმი არ აამოქმედა პალესტინის გაყოფის შესახებ საკუთარი რეზოლუციის შესასრულებლად, რამდენიმე ფორმალური დადგენილებით დაკმაყოფილდა.

ეს ომი ისევე, როგორც შემდგომი ომები, ისრაელის გასანადგურებლად დაიწყო და არაბთა არმიების დამარცხებით დამთავრდა [149; 69]. თუმცა, საბოლოო გამარჯვებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. როგორც ჩანს, საქმე მარტო შეიარაღებულ გამარჯვებაში არ არის, არის კიდევ _ პოლიტიკური, საომარი, ეკონომიკური, მორალური და სხვა ფაქტორები, რომლებიც აუცილებელია ერთი მხარის მეორეზე გამარჯვებისათვის [70; 270]. ჯერ კიდევ, ოსმალეთის იმპერიის შიგნით ძალას იკრებდა არაბული ნაციონალიზმი. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია დაიშლა და II მსოფლიო ომის შემდეგ ბევრმა არაბულმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ნაციონალიზმის ნიადაგზე წარმოქმნილმა ერთობის იდეამ კრახი განიცადა. ამის მკაფიო დასტური იყო არაბეთ-ისრაელის ომი, როდესაც მასში მონაწილე არაბული ქვეყნები უპირველესად საკუთარი მიზნების მიღწევას ცდილობენ, რის შედეგადაც იკარგებოდა კოორდინირებული მოქმედებისა და შესაბამისად, წარმატების მიღწევის საშუალება [43; 206].

როგორც ცნობილია, დამოუკიდებელი ისრაელის შექმნა საბჭოთა კავშირმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო. როდესაც 1948 წლის პოლიტბიუროს სხდომაზე ერთხმად მოიწონეს ებრაული სახელმწიფოს შექმნა, ი. სტალინი დიდხანს ბოლთას სცემდა კაბინეტში და ჩუმად იყო, შემდეგ კი თქვა: «მშვიდობა იქ არასოდეს აღარ იქნებაო» [36; 497].

მართლაც, ისრაელი ომის ქარცეცხლში დაიბადა და დღემდე საომარ მდგომარეობაშია თავის ზოგიერთ მეზობელთან. არაბული ქვეყნებით გარშემორტყმული ისრაელი იძულებულია თავისი სამხედრო ძლიერებით მუდამ მზად იყოს.

თ ა ვ ი IV

იერუსალიმის საკითხი და იორდანიის მონაწილეობა სამშვიდობო პროცესში (საზავო ხელშეკრულებები)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევით 1949 წლის თებერვალში, საბერძნეთის კუნძულ როდოსზე ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო [21; 314]. ეს გაეროს გენერალური ასამბლეის 1948 წლის 14 მაისის 186 (S-2) რეზოლუციის თანახმად პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი შუამავლის, შვედი დიპლომატის ფ. ბერნადოტის დამსახურებაც იყო. გრაფი ბერნადოტი გამუდმებით იმეორებდა იერუსალიმის ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობას ამასთან, «იერუსალიმი გაეროს კონტროლის ქვეშ უნდა გადასულიყო და არაბებსა და ებრაელებს უნდა ჰქონოდათ ლოკალური ავტონომია, სადაც მთლიანად, კარგად იქნებოდა დაცული წმინდა ადგილები. თავისუფალი იქნებოდა გასასვლელები და ყველას ექნებოდა რწმენის თავისუფლება...» [150;9] მაგრამ 1948 წლის სექტემბერში გრაფი ბერნადოტის სიკვდილის შემდეგGგაეროს შუამავლის მოვალეობის შემსრულებლად ამერიკელი რალფ ბანჩი დაინიშნა, რომლის მონაწილეობითაც ხელი მოეწერა ე.წ. საერთო შეთანხმებას ისრაელსა და გაერთიანებულ მეზობელ არაბულ სახელმწიფოებს შორის.Aაშშ-ს, თურქეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით შეიქმნა მომრიგებელი კომისია. ამიტომ მისი საქმიანობა მნიშნელოვნად

ექვემდებარებოდა დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკას, რომელიც პალესტინის გაყოფის შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას აბრკოლებდა. Gგენერალურმა ასამბლეამ არაერთხელ აღნიშნა ამ კომისიის უუნარობა პროგრესისა და გაეროს გენერალური ასამბლეის 194 (III) რეზოლუციის შესრულების მიღწევაში [194; 30]. ესმრეზოლუცია გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის დეკემბერს მიიღო და ის იერუსალიმის ინტერნაციონალიზაციის პრინციპულობას ადასტურებდა. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ წმინდა ადგილები _ ნაზარეთის ჩათვლით _ რელიგიური შენობები და ადგილები იქნებოდნენ დაცული და იქ შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი მიმოსვლა [150; 10]. ეს რეზოლუცია ითვალისწინებდა ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის გრძელვადიან მოლაპარაკებებს, მაგრამ ისრაელი არ ცნობდა ამ რეზოლუციას და უარს ამბობდა მის მიღებაზე. თუ არაბული ქვეყნები ახდენდნენ ისრაელის იგნორირებას, ისრაელი ცდილობდა გაეროს რეზოლუციის იგნორირებას, რათა თავის იურისდიქციაში მოექცია პალესტინის ის ნაწილი, რომელიც ოკუპირებული იყო. ჯერ კიდევ 1948 წლის სექტემბერში ,,ახალ იერუსალიმში» ისრაელის უმაღლესი სასამართლო შეიქმნა, 1949 წლის თებერვალში კი ქნესეთის სხდომაზე პრეზიდენტმა ფიცი დადო [150; 11].

კუნძულ როდოსზე პრინციპული საკითხები გადაწყდა არა ოფიციალურ შეხვედრებზე, არამედ ჯერ კიდევ 1948 წლის ბოლოს იორდანიის მეფე აბდალაჰსა და ისრაელის წარმომადგენლებს შორის ქალაქ აშ-შუნში დაწყებული პირისპირი მოლაპარაკებების დროს, სადაც ხელშეკრულების დადებამდე, ომის დროს ერაყის მიერ დაკავებული ტერიტორიის ბედზე შეთანხმდნენ [94; 102]. ჯერ კიდევ, 1946 წლის აგვისტოში მედე აბდალაჰს ებრაული სააგენტოს არაბულ საქმეთა სპეციალისტი ახალგაზრდა სიონისტი ელიაჰუ სასონი ეწვია. სასონმა პოლიტიკური მოღვაწეობა დამასკოში დაიწყო, როგორც არაბმა ნაციონალისტმა და არაბებს ფრანგების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ეხმარებოდა. მას არაბულ სამყაროში ფართო კავშირები ჰქონდა და ცდილობდა ებრაული და არაბული ნაციონალიზმის როგორღაც ერთმანეთთან შერწყმას. მეფე აბდალაჰმა სასონს პალესტინის გაყოფის ორი ვარიანტი შესთავაზა: ან უნდა შექმნილიყო ებრაულ-არაბული სახელმწიფო მეფის მმართველობით, ან პალესტინელი არაბები აბდალაჰის

ჰაშიმიანთა სამეფოში შესულიყვნენ. მეფემ სასონს განუცხადა: «მხარი დაუჭირეთ ამ წინადადებას, თორემ გამოჩნდება დიდი არაბული სახელმწიფო, რომლის სათავეშიც თქვენი უბოროტესი მტრები იქნებიანო» [1; 21]. მეფე აბდალაჰი საკმაოდ წარმატებულად თამაშობდა ორმაგ თამაშს, არაბული ქვეყნების ლიდერების შეხვედრაზე ის არაბთა ერთიანობაზე, ებრაელებთან კი პალესტინის გაყოფაზე საუბრობდა. მისი არაბული ლეგიონი ყველა არაბულ ფორმირებაზე ძლიერი იყო და აბდალაჰი ლეგიონისთვის მდინარე იორდანეს გადალახვას და პალესტინის ნაწილის თავის სამეფოსთვის მიერთების ბრძანებას აპირებდა. მეფე ხალისით იწვევდა ებრაელ ბიზნესმენებს, რომლებმაც აუშენეს ჰიდროელექტროსადგური, და მის სასახლეში ელექტროენერგია და წყალი შეიყვანეს. ერთმა ებრაელმა მეგობარმა მეფეს ისრაელის მომავალ საგარეო საქმეთა მინისტრ შარეტთან შეხვედრა მოუწყო, მაგრამ ბოლო წუთს, შარეტი გაეროში გაემგზავრა და მეფეს გოლდა მეირთან შეხვედრა მოუხდა. აშშ-დან ახალდაბრუნებული გოლდა მეირი, სხვა ებრაელებივით ახალბედა იყო პალესტინაში და აბდალაჰის განწყობას მისი ოფიციალური განცხადებებით აფასებდა, არადა არაბულ პოლიტიკაში მაშინ ნამდვილ გეგმებს ხმამაღლა არ აცხადებდნენ. გოლდა მეირმა მაშინ გადაწყვიტა, რომ მეფე სხვა არაბი მონარქებივით ებრაელი ხალხის დაუძინებელი მტერი იყო. აბდალაჰი და გოლდა მეირი შეთანხმებასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ მეირი ამას ვერ მიხვდა. აბდალაჰმა მეირს უბრალო შეთანხმება შესთავაზა: ის დაიპყრობდა და მიიერთებდა პალესტინის არაბულ ნაწილს, მაგრამ არ შეეხებოდა ებრაულ სახელმწიფოს. შეთანხმება წერილობით არ გაფორმებულა, ხოლო შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა შეუძლებელი გახადა მისი ასრულება [104; 53-54]. იორდანიის მოქმედებამ გააძლიერა ეჭვი იმის თაობაზე, რომ ისრაელსა და მეფე აბდალაჰს შორის პალესტინის გაყოფის შესახებ მოლაპარაკება ომის დაწყებამდე მიმდინარეობდა, როცა იორდანიის ჯარების პალესტინაში გადასვლას ისრაელი არ შეეწინააღმდეგა.

ისრაელის მთავრობის მომავალი მეთაური 1968-1974 წლებში გოლდა მეირი ორჯერ შეხვდა მეფე აბდალაჰს ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე ექვსი თვით ადრე. ის იგონებდა: «პირველად მეფე აბდალაჰს 1947 წელს შევხვდი. საუბარში მალე გამომჟღავნდა, რომ ის არ მიემხრობოდა ჩვენს მოწინააღმდეგე არაბებს, მან ხაზი

გაუსვა, რომ დარჩება ჩვენს მეგობრად; მას ისევე, როგორც ჩვენ, სურდა მხოლოდ მშვიდობა» [1; 22]. მეფე აბდალაჰმა მეირს სთხოვა: «რატომ არ შეიძლება დაიცადოთ რამდენიმე წელი. მე მთელი ქვეყნის სათავეში დავდგები და ჩემს პარლამენტში წარგადგენთ. მე თქვენ კარგად მოგექცევით და ომიც აღარ იქნება» [1; 23]. გოლდა მეირის მტკიცებით, აბდალაჰთან საუბარში გამოიკვეთა მათი საერთო მტერი მუფთი ამინ ალ-ჰუსაინი. «თუმცა ჩვენი მოლაპარაკებების შინაარსი საიდუმლოდ ინახებოდა მაშინაც კი, როცა აბდალაჰი მოკლეს, არავინ იცის, მოლაპარაკების ირგვლივ დარხეულმა ხმებმა გამოიწვია თუ არა მკვლელობა. ვფიქრობ, რომ ის მუფთის მომხრეებმა მოკლეს» [1; 23]. მეფე განწირული იყო. არაბები მასში გამცემს ხედავდნენ და დიდ მუფთის არ გასჭირვებია ფანატიკოსების პოვნა მასთან გასასწორებლად [34; 135].

მეფე აბდალაჰს არასოდეს სტანჯავდა ებრაელების ისეთი სიძულვილი, როგორსაც ამინ ალ-ჰუსაინი ატარებდა. მეფე პირველი იყო, ვინც ისრაელთან შეთანხმებას ესწრაფოდა: «ჩვენ არ გვჭირდება ამერიკა და ევროპა. ჩვენ აღმოსავლეთის შვილები ვართ და მსოფლიოს სასწაული უნდა ვაჩვენოთ _ დავსხდეთ მოსალაპარაკებლად და ყველაფერზე შევთანხმდეთ».

ახალგაზრდა ებრაელმა ელიაჰუ სასონმა მეფე აბდალაჰს ჰკითხა, რატომ იღწვოდა ისრაელთან მშვიდობისათვის. «ეს ჩემი ხალხის ინტერესებში შედის, _ უპასუხა მეფემ; თუ ჩვენ არ დავამყარებთ მშვიდობას, იქნება კიდევ ერთი ომი, შემდეგ კიდევ ერთი ომი, შემდეგ კიდევ ერთი ომი _ და ჩვენ წავაგებთ». ამაში კი აბდალაჰი მართალი იყო. აღსანიშნავია, რომ ისრაელის არმიას თითქმის არ გაუწევია წინააღმდეგობა იორდანიის არმიისათვის, როდესაც მან იორდანია-პალესტინის საზღვარი გადალახა. იმ თვეებში ისრაელის მთავრობის წარმომადგენლები დათანხმდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივას პალესტინის ნაწილის იორდანიისათვის გადაცემის შესახებ. ისრაელის მმართველი წრეები ეთანხმებოდნენ იმას, რომ პალესტინის ნაწილის იორდანიისათვის გადაცემა «ისრაელის ინტერესებს ემთხვეოდა» ისევე, როგორც «აბდალაჰთან მოლაპარაკება არ იყო ძნელი», მაგრამ გაურკვეველი იყო, როგორი უნდა ყოფილიყო პალესტინაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს ბედი [79; 22].

ოფიციალურ შეხვედრებზე დაიდო დროებითი ხელშეკრულებები, რომლებსაც ,,დაზავების შესახებ საერთო შეთანხმება» უწოდეს [76;79]. ეს ხელშეკრულებები პალესტინაში ,,საბოლოო პოლიტიკური შეთანხმების» მიღწევამდე მშვიდობის შენარჩუნებას ითვალისწინებდნენ. სამშვიდობო მოლაპარაკებები 1948 წლის თებერვლიდან ივლისამდე მიმდინარეობდა. პირველი არაბული ქვეყანა, რომელმაც ზავის შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი, იყო ეგვიპტე. ისრაელმა ზავი შემდეგი თანმიმდევრობით დადო: 24 თებერვალს _ ეგვიპტესთან, 23 მარტს _ ლიბანთან, 3 აპრილს _ იორდანიასთან და 20 ივლისს სირიასთან [76; 80]. ერაყმა უარი თქვა ისრაელთან ერთად მოლაპარაკებების მაგიდას მიჯდომოდა, მაგრამ მის ნაცვლად მოლაპარაკებას იორდანია აწარმოებდა, და ერაყმა ისრაელის ტერიტორიიდან თავისი არმია გაიყვანა [80; 242].

3 აპრილს იორდანიასა და ისრაელს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების დროს, აბდალაჰსა და მოშე დაიანის მიერ რუკაზე შემოხაზული საზღვრები სადემარკაციო ხაზად იქცა, რომელსაც არაერთი შეხლა-შემოხლის მოყვა [132; 31]. ამ შეთანხმების შედეგად ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის დემილიტარიზებული ზონა შეიქმნა. გაეროს კომისიას ამ შეთანხმების მიღწევასა და მათ შედგომ შესრულებაზე მეთვალყურეობა ევალებოდა [79; 23]. ყველა ხელშეკრულების პირველ პუნქტში იყო მითითებული:

1. პალესტინის საკითხის უშიშროების საბჭოს შეიარაღებული ძალების მეშვეობით გადაწყვეტა.
2. ამა თუ იმ ქვეყნების შეიარაღებული ძალები არ უნდა მომზადებულიყვნენ და არ უნდა ეწარმოებინათ აგრესიული მოქმედებები, საფრთხე არ უნდა შეექმნათ სხვა ქვეყნის მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალებისათვის.
3. მოწინააღმდეგე ქვეყნის თავდასხმის მოლოდინში ამა თუ იმ ქვეყანას უფლება ჰქონდა თავდაცვისათვის მომზადებულიყო.
4. პალესტინაში შეთანხმების მიღწევა ორივე მხარის შეიარაღებული ძალებისათვის უნდა ყოფილიყო აუცილებელი.

ისრაელ-ეგვიპტის ხელშეკრულების მე-4 პუნქტში, ისრაელ-იორდანიის მე-5 პუნქტში და ისრაელ-სირიის ხელშეკრულების მე-4 პუნქტში მითითებული იყო, რომ

მოცემულ აქტებს პალესტინაში მუდმივი მშვიდობის მიღწევის საკითხი უნდა გადაეწყვიტა.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ისრაელ-ეგვიპტის ხელშეკრულების მე-5 პუნქტი: ,,სადემარკაციო ხაზი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა განხილულიყო როგორც პოლიტიკურ, ისე ტერიტორიულ საზღვრად პალესტინის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე [76; 80].

ტერმინი «ღაზას სექტორი» ხელოვნურია, იხმარება 1947-1948 წლებიდან. სექტორს, რომელსაც უჭირავს დაახლ. 378 კვ კმ. სახელწოდება მისცა მთავარმა ქალაქმა – ღაზამ. სამხრეთით მას ესაზღვრება ეგვიპტე და ჩრდილოეთით _ ისრაელი. მისი საზღვარი სანაპიროს სიგრძეა 40 კმ, საზღვარი ეგვიპტესთან (რომელსაც კვეთს საზღვრის პარალელური ისრაელის კორიდორი), 11კმ-ია. ღაზას სექტორი მეტწილად დაბლობი და ქვიშიანია, რომელიც 1948 წლამდე იყო პალესტნის სამანდატო პროვინცია და 1949 წლის ზავით, გადაეცა ეგვიპტეს [45; 96]. ამავე ხელშეკრულების მე-10 პუნქტი ორივე მხარეს შესათანხმებლად შერეული კომისიის შექმნას ავალებდა, ამ კომისიას უნდა ჰყოლოდა თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს გაეროს სამეთვალყურეო შტაბის ხელმძღვანელიც იქნებოდა. ამ კომისიის ძირითადი მოვალეობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი იქნებოდა [76; 80].

ისრაელ-იორდანიის მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით ებრაელებმა ერაყის არმიის ფრონტის მიმდებარე ზოლის დაპყრობის გარანტია მიიღეს, ამ ტერიტორიის საერთო ფართი 250 კვ.კმ იყო. ამის სანაცვლოდ, ისრაელი იორდანიის არმიას ერაყის საომარი ზონის დაკავებაზე დათანხმდა. ეს ფაქტობრივად, ისრაელის მთავრობის თანხმობა იყო იორდანიის მეფის აბდალაჰის ცენტრალურ ტერიტორიაზე გასაბატონებლად. იორდანიის დელეგაციამ ისრაელის მიერ წამოყენებული პირობები და მათ შორის ერაყის ფრონტის საკითხიც, მხოლოდ აშშ-ს სერიოზული ზეწოლის შემდეგ მიიღო. მისი დაჟინებული მოთხოვნით ინგლისმა ორდანიისათვის ახალი დახმარების გაწევაზე, კერძოდ კი მკვდარი ზღვის ჩრდილოეთ რაიონის პატრულირებაზე თქვა უარი. ისრაელ-იორდანიის ხელშეკრულების მე-7 პუნქტში განხილული იყო ორივე მხარის

წარმომადგენლებისაგან შექმნილი სპეციალური კომისიის შექმნის საკითხი, რათა ერთად შეემუშავებინათ ეს გეგმა და ზომები არსებული ხელშეკრულების გაფართოებისა და მისი შესრულების მეთოდების გზების გასაუმჯობესებლად. ამ კომისიის ფუნქცია ისრაელ-იორდანიის ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის გაწევა იყო.

ყველა ხელშეკრულებაში იყო მითითებული მისი მოქმედების ვადა. ისრაელ-ეგვიპტის ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ ეს აქტი ძალაში რჩებოდა საკითხის საბოლოო მშვიდობიან გადაწყვეტამდე, თუმცა მხარეებს მისი გადასინჯვა შეეძლოთ. ერთი წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ მხარეს შეეძლო გაეროს გენერალური მდივნისთვის ამ საკითხზე მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის მოთხოვნით მიემართა. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დავა გაეროს უშიშროების საბჭოში უნდა განხილულიყო [86; 91].

ისრაელს თავისი განზრახვა ჰქონდა იერუსალიმის მიმართ, რომელიც გაეროს მსჯელობის მთავარი თემა იყო. ისრაელის წარგზავნილებმა საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები წარმოადგინეს: ისრაელის მთავრობა მხარს უჭერს გაეროს მიერ იერუსალიმში საერთაშორისო რეჟიმის დამყარებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ «წმინდა ადგილების დაცვასა და თვალყურის დევნებას შეეხება. უნდა დაწესდეს სპეციალური თანამშრომლობის რეჟიმი». თავიანთ მოხსენებებში პალესტინის საკითხზე შექმნილი კომისიის დელეგატებმა მწვავე საკითხი წამოჭრეს იერუსალიმის შესახებ, რაზეც ისრაელის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: ,,ისტორიული, პოლიტიკური და რელიგიური მიზეზების გამო, ისრაელის რესპუბლიკა ვერ მიიღებს იმ წინადადებას, რომელიც იერუსალიმში საერთაშორისო რეჟიმის დაწესებას ეხება» [140; 3]. ისრაელის წარმომადგენლებმა დაუმატეს, რომ დადგენილება ამოღებულ იქნა კონტექსტიდან და ამიტომ ისრაელი ვალდებულია: ,,გენერალურ ასამბლეას იერუსალიმის მომავალი იურიდიული სტატუსის დადგენა შესთავაზოს, რომელიც შემდგომში წმინდა ადგილებისადმი საერთაშორისო ძალების პატივისცემასა და ისრაელის მთავრობის მისწრაფებებს შორის სხვაობას დაგვანახვებს იმ მიზეზით, რომ იერუსალიმი იქნება სუვერენული ავტორიტეტის მქონე ქალაქი, ხოლო ისრაელი 181 (II) და 194 (III) რეზოლუციების სისრულეში მოყვანის გარანტი. ეს პოზიციები

სპეციალურად იყო მოხსენიებული გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში, რომელიც გაეროს უფლებას აძლევდა, ისრაელის პოზიცია დაეჭირა. მართებულია აღვნიშნოთ, რომ ისრაელმა ეს გარანტიები კიდევ ორ მოხსენებაში ახსენა. მათ შორის იყო იერუსალიმის ინტერნაციონალიზაციის პრინციპულობის დაცვა და «არსებული კანონებისა და ისტორიული პრაქტიკისათვის მხარდაჭერა" [150; 61].

როგორც ისრაელ-ეგვიპტის ხელშეკრულების მე-12 პუნქტში იყო ნათქვამი, ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ახალი ხელშეკრულება 1949 წლის 24 იანვრის ისრაელ-ეგვიპტის ხელშეკრულებას შეცვლიდა. ანალოგიური მე-12 პუნქტი იყო ისრაელ-იორდანიის ხელშეკრულებაშიც. ფაქტობრივად იორდანია, ეგვიპტე და ლიბანი, ისრაელთან დროებით მიღწეული შეთანხმების წყალობით, დე ფაქტოდ აღიარებდნენ ისრაელის სახელმწიფოს იმ საზღვრებში არსებობას, რომელიც გაეროს 1947 წლის 29 ნოემბრის 181 (II) რეზოლუციით იქნა დადგენილი. რაც შეეხება სირიას, მან ისრაელის სახელმწიფო დე ფაქტოდ ცნო 1948 წლის 12 მაისის ლოზანის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე. ამ შეთანხმების ერთ-ერთი მხარე ისრაელი იყო. 1949 წლის 20 ივლისს ისრაელთან მიღწეული შეთანხმებით სირიამ ფაქტობრივად ცნო ისრაელის არსებობა მაშინ, როცა ეგვიპტემ, იორდანიამ და ლიბანმა აღიარეს ისრაელის სახელმწიფოს არსებობა ლოზანის პროტოკოლის ხელმოწერით. ცხადია, რომ ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით, მოსალოდნელი იყო პალესტინელი ლტოლვილების პრობლემის განხილვაც (1948 წლის 11 დეკემბრის რეზოლუცია) და მათთვის მიწების დაბრუნება. 1949 წლის ოქტომბერში ისრაელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ «ისრაელის სახელმწიფოში შემავალი ტერიტორიის არანაირ დათმობაზე არ იქნებოდა საუბარი.»

ამ ხელშეკრულებების მიღებამ შეიარაღებული კონფლიქტი ვერ შეაჩერა. ისრაელმა შეთანხმება დაარღვია და იმავე წლის 10 მარტს ეგვიპტის კუთვნილი ბირკატარის რაიონის ოკუპაციით, არაბული ქვეყნებისათვის 1948 წელს მიკუთვნებული ტერიტორიების ანექსია მოახდინა [76; 80]. Aარაბულ ტერიტორიაზე ამ თავდასხმის შემდეგ კონფლიქტმა «მუდმივი აგრესიის» სახე მიიღო [76; 81].

ებრაელი ავტორები ისრაელ-იორდანიის 3 აპრილის შეთანხმების შედეგებს ასე გადმოგვცემენ: ,,ისრაელის მმართველობაში გადმოვიდა აღმოსავლეთ იერუშალაიმი ძველი ქალაქის ჩათვლით (ჰარ-ცოფის, გმირთა მთა), სადაც განლაგებული იყო ებრაული უნივერსიტეტი და საავადმყოფო ჰადასა, რომელიც უნდა გადასცემოდა საერთაშორისო კონტროლს იორდანიის ტერიტორიის ფარგლებში. ებრაელებს უფლება რჩებოდათ ჰარ-ჰაცოფის მთაზე მოთავსებულ დაწესებულებებში და ძველი ქალაქის წმინდა ადგილებში მისვლისა. მაგრამ იორდანიამ უხეშად დაარღვია ეს შეთანხმება _ 19 წლის განმავლობაში ებრაელებს არ უშვებდნენ გოდების კედელთან, ებრაულ უნივერსიტეტში, საავადმყოფო ჰადასაში და სხვა [19; 65]. მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირი (ისტორიული იუდეა და სამარია) მოიცავს 5860 კვ. კმ-ს. ზოგჯერ მის შემადგენლობაში შეაქვთ აღმოსავლეთ იერუსალიმიც. ტერმინი «დასავლეთი ნაპირი» შედარებით ახალია, იხმარება 1948 წლიდან, როცა ისრაელთან ომში იორდანიამ დაიკავა ეს ტერიტორია. 1949 წლის დროებითი ზავით, დასავლეთ ნაპირი შევიდა იორდანიის სამეფოს შემადგენლობაში [62; 102]. 1948-49 წლების ომის შედეგად ჰაშიმიანთა ხელში აღმოჩნდა მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მდებარე პალესტინის ტერიტორია აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით. ამანმა ეს ტერიტორიაც შეიერთა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვა სხვა არაბულ ქვეყნებში: არც ერთმა მათგანმა არ ცნო ეს ფაქტი. მიწის, თუნდაც ამ პატარა ნაწილზე (სულ 5612 კვ.კმ). პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, ალბათ, ძირფესვიანად შეცვლიდა არაბულ-ებრაული კონფლიქტის პოლიტიკურ არსს.

გაეროს მომრიგებელმა კომისიამ სადავო საკითხების მოსაგვარებლად ლოზანის კონფერენცია მოიწვია, ისრაელისა და არაბული ქვეყნების მონაწილეობით. ისრაელი 1949 წლის მაისში მზად იყო ხელი მოეწერა ლოზანის პროტოკოლისათვის, რათა პალესტინის შესახებ გაეროს რეზოლუციისათვის გადაეხედათ. ეს იმით იყო განპირობებული, რომ იმ დროს გაეროში ისრაელის მიღების საკითხი წყდებოდა. პალესტინის საკითხში პროგრესის მიღწევა მომრიგებელმა კომისიამ ვეღარ შეძლო, უპირველესად ისრაელის პოზიციის გამო, რადგანაც ისრაელი უარს ამბობდა ოკუპირებული მიწების დაბრუნებაზე და ლტოლვილების რეპატრიაციაზე. ასე რომ,

როდოსის ხელშეკრულება ვერ განმტკიცდა მშვიდობისაკენ გადადგმული შემდეგი ნაბიჯებით [15; 224].

თ ა ვ ი V

იორდანია პალესტინის პირველი ომის შემდეგ

$.1 იორდანიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა პალესტინის ომის შემდეგ

ისრაელში მიაჩნდათ, რომ მეფე აბდალაჰს სურდა, პალესტინის არაბული ნაწილის მიერთება და მზად იყო ეს გაეკეთებინა ებრაელებთან თანამშრომლობითაც კი, თუნდაც მათ სრული დამოუკიდებლობა მიეღოთ პალესტინის დანარჩენ ნაწილში. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, 1946-1947 წლებში მან მიაღწია არაფორმალურ და დაუწერელ შეთანხმებას სიონისტ ლიდერებთან, რომელშიც არ იყო მითითებული არც დეტალური საზღვრები და არც იერუსალიმის სტატუსი. ამ შეთანხმებას ის საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ მასზე ალაპარაკდნენ, რადგანაც სხვა არაბ ლიდერებს ის განუმარტავდა, რომ იტოვებდა «მოქმედების თავისუფლებას პალესტინაში, როდესაც იქ მანდატი დამთავრდებოდა». ფაქტია, რომ 1948-49 წლების ომის დროს იორდანის არაბულმა ლეგიონმა არ გადალახა ის საზღვარი, რომელიც გაეროს რეკომენდაციით ებრაული სახელმწიფოსათვის იყო განკუთვნილი [21; 289]. ამ ფაქტთან დაკავშირებით, 1956 წლის 28 თებერვალს ეგვიპტის ჟურნალმა ,,ათ-თაჰრირ»-მა პალესტინელი ომის მონაწილე აბდალაჰ ატ-ტალალის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც პალესტინის ომის დროს გლაბის მიერ ჩადენილ დანაშაულზე საუბრობდა: «მე კარგად მახსოვს 1948 წლის 14 მაისი, როცა პალესტინაში მყოფი ინგლისის არმიის მეთაური ამანიდან გლაბს ტელეფონით დაუკავშირდა. ინგლისელმა მეთაურმა მაშინ გლაბს უბრძანა: ,,მაღლობზე დარჩით». ეს პირველი საიდუმლო სიგნალი იყო. გლაბი ინგლისის ბრძანებას ასრულებდა. არაბულ ლეგიონს მან ეფექტური ბრძოლის უფლება არ მისცა. ინგლისის ბრძანების თანახმად თავისი სამხედრო რაზმები მან მაღლობზე გაამაგრა. ხოლო, როცა ჩემი ინიციატივით,

ჩემივე პატარა რაზმით იერუსალიმში შევედი ეს გლაბის გაუფრთხილებლად მოხდა. გლაბს ერთი მიზანი ჰქონდა _ ნებისმიერ წუთში კაპიტულაციისათვის მზად მყოფი 100 ათასი ებრაელის გადარჩენა. გლაბმა სამხედრო ხელმძღვანელობა ორად გაუყო ინგლისელ და არაბ მეთაურობას ისე, რომ ხელმძღვანელობა არაბების ხელში არ ყოფილიყო [135; 57]. ხოლო ლიდისა (ალ-ლიადი) და არ-რამლას 1948 წლის ივლისის ისტორია ყველასათვის ცნობილია. ამ რაიონის მფლობელს 14 კილომეტრში მყოფი თელ-ავივის აღება შეეძლო, და მაშინ გლაბმა არაბულ ლეგიონს გასროლის გარეშე უკან დახევა და ამ პუნქტების სიონისტებისათვის გადაცემა უბრძანა. ამის შედეგი კიდევ 150 ათასი ლტოლვილი იყო. ასე დაიკარგა ამ მხარის სიმდიდრე, რომელიც შეუფასებელია. ათ-თალალი იქვე დასძენს: «გლაბი ყოველთვის მახვილივით იქნება არაბების ზურგში. როგორც არ უნდა ეცადნენ მისგან განთავისუფლებას, არაბების წინაშე ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის ის სიკვდილს იმსახურებს» [135; 58]. ისრაელთან შეთანხმების მიღწევამ და არაბული ქვეყნების ომიდან გასვლამ, პალესტინელი მიწათმფლობელების მნიშნელოვანი ნაწილის და პალესტინის დიდი მუფთის ამინ ალ-ჰუსაინის მომხრეების აბდალაჰის მხარეზე გადასვლამ _ ყველაფერმა ერთად იმ პოლიტიკის გააქტიურებას შეუწყო ხელი, რომელიც არაბული ლეგიონის მიერ დაკავებული პალესტინის რაიონების დაპყრობას ითვალისწინებდა. ომის ბოლო თვეებში აღმოსავლეთ პალესტინაში იორდანიის მიერ ჩამოყალიბებული ადმინისტრაცია იორდანიის აპარატზე გახდა დამოკიდებული [135; 59]. 1949 წლის თებერვლის შუა რიცხვებში გამოცემული მეფის დეკრეტის თანახმად ნებისმიერ პალესტინელს შეეძლო მისი ქვეშევრდომი გამხდარიყო. იორდანიისა და პალესტინის გაერთიანებისაკენ გადადგმული მნიშნელოვანი ნაბიჯი იყო _ 17 მარტს გამოცემული დადგენილება, რომელიც პალესტინის რაიონებში სამოქალაქო მმართველობის შემოღებას ითვალისწინებდა. ისრაელთან დაზავებიდან 12 დღის შემდეგ, 15 აპრილს, ამერიკიდან გამოგზავნილი იაფას ყოფილი მერი _ იუსუფ ჰეიქალი, აბდალაჰმა დემონსტრაციულად დანიშნა მნიშნელოვან თანამდებობაზე [94; 102]. იუსუფ ჰეიქალი პირველი პალესტინელი იყო, რომელმაც იორდანიის ქვეშევრდომობა მიიღო და აშშ-ში იორდანიის წამომადგენლად დაინიშნა [86; 91]. საბოლოოდ, 1949 წლის 30 მაისს ჩატარდა მთავრობის რეორგანიზაცია და მის შემადგენლობაშიც სამი

პალესტინელი მინისტრი შეიყვანეს. სამანდატო პერიოდში ორ მათგანს, რუჰ აბდ ალ-ჰადისა და მუსა ნასირს მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავათ და პალესტინაში ინგლისის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერნი იყვნენ. ფაქტობრივად, ეს ნაბიჯი ერთიანი მმართველობის შექმნას ნიშნავდა. 1949 წლის ზაფხულში პალესტინაში ერთდროულად ამოქმედდა იორდანიის რამდენიმე კანონი, თუმცა პალესტინის რაიონებში რამდენიმე ხანს კიდევ იყო ადგილობრივი მმართველობა და ავტონომიური ბიუჯეტი დგებოდა. გადამწყვეტი სიტყვა ყველგან იორდანიის მთავრობის წარმომადგენლებს ეკუთნოდათ.

აბდალაჰის მიერ გატარებული ღონისძიებები არაბული ქვეყნების მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა. უთანხმოება განსაკუთრებით გამწვავდა იერუსალიმის ირგვლივ, რომელიც ისრაელისა და იოდანიის მიერ იყო დაპყრობილი. ამ ქალაქის ბედი საკვანძო პრობლემად იქცა, რომელზედაც მთელი არაბული ნაწილის ბედი იყო დამოკიდებული. იორდანიის გარდა ყველა არაბული ქვეყანა უჭერდა მხარს გაეროს უშიშროების საბჭოს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას _ იერუსალიმში საერთაშორისო მმართველობის შემოღების შესახებ, რომელიც იქ იორდანიისა და ისრაელის ადმინისტრაციების დამყარებას გმობდა. იერუსალიმის მთავრობის პოზიციას, «იერუსალიმის ინტერნაციონალიზაციის» გადადების შესახებ ინგლისი უჭერდა მხარს. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს 1949 წლის 14 აპრილს თემთა პალატაში ამ გეგმის განხორციელების შესახებ ეჭვი გაუჩნდა [86; 95]. აბდალაჰის სურვილმა, ისრაელთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მიეერთებინა აღმოსავლეთ პალესტინა და ფაქტობრივად ხელი შეეწყო მისი დაშლისთვის, არაბული ქვეყნების ლიგის წევრთა უმრავლესობის უკმაყოფილება გააძლიერა. იორდანიის პარლამენტის გადაწყვეტილების შემდეგ, 1950 წლის აპრილში, იორდანიის ჰაშიმიანთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მის შემადგენლობაში აღმოსავლეთ პალესტინაც უნდა შესულიყო. ეგვიპტის თხოვნით ამ საკითხის განსახილველად შეიკრიბა არაბული ქვეყნების ლიგის საბჭო, რომელმაც მხარეებს შორის მისაღები კომპრომისის მიღწევა სცადა და მიიღო რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც იორდანიის მიერ პალესტინის ნაწილის დაკავება წარმოდგენილი იყო, როგორც ,,პრაქტიკული მოსაზრებებით ნაკარნახევი

იძულებითი ზომა». აღინიშნა, რომ იორდანია განახორციელებდა Kკონტროლს ამ რაიონზე პალესტინის საკითხის საბოლოო მოწესრიგებამდე. ამ კომპრომისმა ვერ შეძლო არაბულ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობების გადაჭრა. არაბთა ლიგის თითოეული წევრი ცდილობდა, შექმნილი სიტუაცია საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. სწორედ ამ წინააღმდეგობებმა, რომლებიც ომის მსვლელობის პერიოდში აღინიშნებოდა, ისრაელს არაბული ნაწილის დაპყრობა გაუადვილეს.

ჯერ კიდევ, 1949 წლის შემოდგომაზე არაბული ქვეყნების ლიგის ექვსმა სახელმწიფომ, მათ შორის ერაყის ჰაშიმიანთა სამეფომ, იორდანიას პალესტინაში თავისი პოლიტიკის შეცვლა ერთობლივად სთხოვეს. სირიასთან დამოკიდებულება ისე დაიძაბა, რომ 1949 წელს რამდენჯერმე ჩაიკეტა სირია-იორდანიის საზღვარი. ერაყის სამეფომაც კი არ დაუჭირა მხარი აბდალაჰის პალესტინასთან დაკავშირებულ გეგმას, მიუხედვად იმისა, რომ ომის დროს ერაყი დაჰყრობილ ტერიტორიაზე იორდანიის ადმინისტრაციის დამყარებას დათანმხდა. ბაღდადის მთავრობას მაინც თავშეკავებული პოზიცია ეკავა აბდალაჰის დაპყრობითი გეგმების მიმართ. პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესახებ თავის სურვილს მან არაერთხელ გაუსვა ხაზი, რის გამოც იგი აბდალაჰს იერიქონის კონგრესის რეზოლუციის შესრულებისაგან თავის შეკავებას ურჩევდა. ერაყ-იორდანიის ურთიერთობები შესამჩნევად გაუარესდა ჰამდი ალ-ფაჩაჩისა და ჯავდეთ ალ-აიუბის კაბინეტის მმართველობის პერიოდში. 1950 წლის 25 იანვარს კაიროში ხელი მოეწერა ერაყ-ეგვიპტის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ორივე მხარე ვალდებული იყო ხუთი წლის მანძილზე არ ჩარეულიყო სირიის საქმეებში. ერაყის მთავრობის ეს ნაბიჯი ნიშნავდა მის უარს დიდი სირიისა და ,,ნახევარმთვარის» პროექტზე (ერაყ-სირიის კავშირი), რომელიც აქამდე იორდანიისა და აღმოსავლეთ არაბეთის საშინაო პოლიტიკაში რჩებოდა. ერაყისა და იორდანიის ჰაშიმიანთა ერთიანობა, რომელმაც სერიოზული დარტყმა მიიღეს პალესტინის ომში, საშიშროების წინაშე აღმოჩდა. პრაქტიკულად იორდანია კვლავ პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა [86; 92].

ასეთ ვითარებაში ისრაელმა, მისმა სტრატეგიულმა მოკავშირე აშშ-მ და სხვა მონოპოლიურმა წრეებმა ერთად მოჰკიდეს ხელი ახლო აღმოსავლეთში არაბული

სახელმწიფოების განცალკევების გეგმის განხორციელებას და მათ დასასუსტებლად ყველაზე ეფექტურ ხერხს _ შინაბრძოლების გაჩაღებას მიმართეს [82; 83]. ამის გამო იორდანიის მმართველი წრეები გამართლებულად მიიჩნევდნენ ისრაელის მმართველებთან დაახლოებას. იერუსალიმის საკითხის ირგვლივ შეხედულებების დამთხვევამ მნიშნელოვნად გააიოლა ისრაელისა და იორდანიის მთავრობების შეთანხმება. 1949 წლის შემოდგომაზე აბდალაჰისა და ისრაელის მთავრობის პირად საკითხებზე დროებით დაახლოება საერთო პოლიტიკური ხაზის შემუშავებასა და საერთო ინტერესების მქონე საკითხების განხილვაში გადაიზარდა. გაჩნდა არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების ბლოკის ორგანიზების პერსპექტივა. ისრაელის მთავრობასა და აბდალაჰის პირად წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები ძალზე ფარულად მიმდინარეობდა [5; 135]. უნდა აღნიშნოს, რომ ეს ურთიერთობები ძირფესვიანად განსხვავდებოდა ყველა დანარჩენი მოლაპარაკებებისაგან, რომელთაც ისრაელი სხვა არაბულ სახელმწიფოებთან აწარმოებდა; მსჯელობის საგანი არ ყოფილა ისეთი საკითხები, როგორიცაა საზღვრები ან უსაფრთხოება (განიარაღება) ტრადიციული მნიშვნელობით... ორი ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების ორმხრივ ნდობას ეფუძნებოდა [30; 440]. მოშე დაიანი წერდა: ,,ისრაელის სახელმწიფოებრიობის გამოცხადებიდან მოკიდებული მისი მომავალი საზღვრები ჩემი მთავარი საზრუნავი იყო. როგორი იქნებოდა ჩვენი დროის ისრაელი? რა მოცულობის იქნება მისი ტერიტორია? ისტორიული ისრაელის რომელი მხარეები შევა მის შემადგენლობაში და რომელი არა? მე დიდი პატივი მხვდა წილად, აქტიური მონაწილეობა მიმეღო ამ კითხვებზე პასუხის მოსაძებნად. დამოუკიდებლობისათვის ომის შემდეგ ვმონაწილეობდი იორდანიის მეფესთან წარმოებულ მოლაპარაკებებში. მის სამეფოსთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული ხელშეკრულების რუკაზე ისრაელის სახელით მოვაწერე ხელი» [3; 135]. სამხედრო თვალსაზრისით ისრაელ-იორდანიის შეთანხმება ისრაელისათვის ხელსაყრელი იყო: მეფე ისრაელს თავის მიერ დაპყრობილ ტერიტორიას აძლევდა. ისრაელის ყველაზე ვიწრო ზოლი 13 კილომეტრიდან 18 კილომეტრამდე გაიზარდა [104; 55].

1949 წლის მაისშივე ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი შარეტი მეფე აბდალაჰს შეხვდა, რომელიც თანხმა იყო მშვიდობაზე, თუკი ისრაელი მას ღაზის

სექტორში ხმელთაშუა ზღვაზე გასავლელს მისცემდა. ეს თვით შარეტსაც არ შეეძლო, რადგანაც ისრაელი ამით ორ ნაწილად გაიყოფოდა და ამით უსიცოცხლო გახდებოდა [104; 56]. ამ მოლაპარაკებების შესახებ ამჯერად იორდანიის მთავრობამაც კი არაფერი იცოდა. აბდალაჰი არაბულ აღმოსავლეთში დაძაბული სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენებასა და იზოლაციისგან თავის დაღწევას ცდილობდა. აბდალაჰის მოთხოვნები პალესტინის რიგი რაიონების_ლიდის, რამლას და პორტ ალ-მაგდალის იორდანიისათვის გადაცემა იყო. აბდალაჰი შორს იხედებოდა. ისრაელი მომავალში უნდოდა როგორც ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მართვის საკომანდო პუნქტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ტურიზმის განვითარება იქნებოდა. კერძოდ, ვარაუდობდნენ, რომ იერუსალიმში ჩასული ტურისტები წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით იორდანიაში გააგრძელებდნენ მოგზაურობას, სადაც მრავალი საინტერესო ადგილი იყო, მაგალითად ქალაქი პეტრა. ასეთი რამ მილიონობით უცხოელს დააინტერესებდა, ხოლო მოგებული თანხა იორდანიის ხაზინაში მდინარესავით დაიწყებდა ჩადინებას. ჩანაფიქრი განხორციელდა, მაგრამ იორდანიაში ჩასული ტურისტები ისრაელის სასტუმროებში ცხოვრობდნენ და შესაბამისი მოგებაც მთლიანად მათ რჩებოდათ. არაბები მოგვიანებით მიხვდნენ, თუ რა მოჰყვებოდა ისრაელის რეგიონალურ ექსპანსიას. ამასთანავე, შუამავლების წყალობით ბევრი არაბული კომპანია ებრაული კაპიტალის ხელში აღმოჩნდა. არაბული პოლიტიკური წრეები იმედს გამოთქვამდნენ, რომ ისრაელი ეკონომიკური განვითარების მწვერვალზე ასვლის შემთხვევაში რეგიონის ქვეყნებსაც გაიყოლებდა თან [32; 7-8]. მეფე აბდალაჰმა ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე დამყარებული საკმაოდ ინტენსიური კონტაქტითაც კი პოლიტიკური მიზეზების გამო ვერ შეძლო ისრაელთან ამ ურთიერთობების გამოყენება. აბდალაჰის აზრით, იორდანიის ინტერესებში ახალ მეზობელთან მშვიდობის დამყარება შედიოდა და იმედოვნება, რომ ისრაელისაგან შესაძლო დათმობების მიღება დაასუსტებდა საშინო და საგარეო ოპოზიციას [104; 56].

ისრაელ-იორდანიის მოლაპარაკებების დროს აღმოჩნდა, რომ ისრაელისათვის არაბულ ქვეყნებთან კონტაქტების განსაკუთრებული როლის მიუხედავად, ის

არანაირ სერიოზულ დათმობაზე არ წავიდოდა. ისრაელი მხოლოდ პორტ ჰაიფას თავისუფალ ზონად გამოცხადების შესახებ იორდანიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას დათანხმდა, სასაზღვრო ზოლის უმნიშვნელო ცვლილებებითა და ლტოლვილების ქონების გადასინჯვის პირობით. სანაცვლოდ, ისრაელი აღმოსავლეთ პალესტინის გავლით ტრანზიტის უფლებას, სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, თავდაუსხმელობის პირობას და ისრაელისათვის იმ მიტაცებული მიწების დაკანონებას ითხოვდა, რომელიც პალესტინის არაბულ სახელმწიფოს 1947 წლის 29 ნოებრის რეზოლუციით გამოეყო. ისრაელის მიერ წამოყენებული პირობების მიღებით არა მარტო ისრაელს, არამედ მის ზურგს უკან მდგომ აშშ-საც გზა გაეხსნა იორდანიაში ეკონომიკური ექსპანსიისაკენ [86; 94].

ისრაელის მთავრობას, იორდანიასა და სხვა არაბულ ქვეყნებში გამეფებული ანტისიონისტური განწყობის გამო არ სჯეროდა, რომ ზავი ხანგრძლივი დროით იმოქმედებდა, და აბდალაჰთან მოლაპარაკებებზე მხოლოდ არაბულ ქვეყნებს შორს ურთიერთობების გასამწვავებლად მიდიოდა. ეს დადასტურდა 1950 წლის თებერვლის შემდეგ, როდესაც მკაცრად გასაიდუმლოებული მოლაპარაკებების შესახებ გავრცელებული ხმები ისარელის სამთავრობო წრეებმა ოფიციალურად დაადასტურეს [86; 100].

სამი თვის განმავლობაში, 1949 წლის ნოემბრიდან 1950 წლის თებერვლამდე ებრაელები თორმეტჯერ ეწვიენ მეფე აბდალაჰს. მეფე დაჟინებით მოითხოვდა ზღვაზე გასასვლელს და ამის სანაცვლოდ ხუთი წლის ვადით თავდაუსხმელობის შესახებ პაქტის ხელმოწერას და ორ ქვეყანას შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას სთავაზობდა [104; 55]. 1950 წლის 24 თებერვალს ისრაელსა და იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს შორის შუალედური შეთანხმება დაიდო, რომელიც ითვალისწინებდა სავაჭრო და სატრანსპორტო ურთიერთობების რეგულირებას, იერუსალიმის წმინდა ადგილებში თავისუფალ შესვლას, იორდანიისათვის ჰაიფის პორტში თავისუფალი ზონის შექმნას, შეუცვლელ საზღვრებს ხუთი წლის განმავლობაში და საერთო კომიტეტის ჩამოყალიბებას ყველა მნიშნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად. აბდალაჰის ასეთმა ღონისძინებებმა უკმაყოფილება გამოიწვია მის კაბინეტში, იორდანიის პალესტინურ მოსახლეობაში

და არაბთა ლიგაში. ამის გამო, მეფემ გადაწყვიტა შეთანხმების გაფორმებისა და გამოქვეყნებისაგან თავი შეეკავებინა [30; 434]; მართალია, ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდა... მაგრამ ძალაში ვერ შევიდა. მოლაპარაკებებზე მოშე დაიანის პარტნიორი, იორდანელი პოლკოვნიკი ეგვიპტეში გაიქცა და საიდუმლო მოლაპარაკებები გაამჟღავნა. მეფე აბდალაჰმა ისრაელისადმი არაბული სამყაროს სიძულვილი ვერ შეაფასა, თავის რეალურ შესაძლობლებს გადაამეტა და მარტო დარჩა მთელი არაბული სამყაროს წინაშე, რომელმაც ის ისრაელთან ომში დამარცხების «განტევების ვაცად» აქცია, თუმცა მეფე თავის ქვეყანაშიც ვერ გრძნობდა თავს მშვიდად [104; 55].

25 მარტს ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ნაჰას-ფაშამ არაბთა ლიგიდან იორდანიის დაუყოვნებლივ გარიცხვა მოითხოვა. აბდალაჰის პოლიტიკამ მხარდაჭერა ვერც იორდანიის მმართველ წრეებში იპოვა. როგორც კი მოლაპარაკებების შესახებ აცნობეს, 1950 წლის 2 მარტს პრემიერ-მინისტრი თაუფიკ აბულ-ჰუდა გადადგა. ეს ნაბიჯი არაბული ქვეყნების პოლიტიკურმა წრეებმა ისრაელთან შეთანხმების პროტესტად შეაფასეს. მოლაპარაკებების აქტიური მონაწილე სამირ არ-რიფაის მეთაურობით მთავრობის შექმნის შესახებ აბდალაჰის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. აბულ-ჰუდა კვლავ პრემიერ-მინისტრი გახდა, რის შემდეგაც მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ მიიღო თანხმობა. 1950 წლის 25 მარტს ისრაელის პარლამენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აბდალაჰთან მიმდინარე მოლაპარაკებები იორდანიის ინიციატივით შეწყდა. ისრაელის მთავრობის სიჯიუტემ, არაბული ქვეყნების წინააღმდეგობამ და სახალხო მოძრაობის შიშმა მოლაპარაკებები ჩაშალა, და მაინც, ცხადი გახდა, რომ იორდანიისათვის პალესტინის ნაწილის მიერთებისადმი ისრაელის მთავრობა დადებითად იყო განწყობილი [86; 99].

ამასთან დაკავშირებით ისრაელის პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი წერდა ომის წინ: «იანვარსა და თებერვალში აბდალაჰთან კონტაქტში ვიყავით, მაგრამ მიუხედავად თავისი დაპირებებისა აბდალაჰმა ბედი დაუკავშირა არაბთა ლიგას» [1; 32]. შემდეგი შეხვედრებისას მეფემ ასე ახსნა პირობის დარღვევა: “როცა დაპირება მოგეცით, მეგონა ჩემი ბედი ჩემს ხელშია და შემიძლია ყველაფერი გავაკეთო, რასაც

სამართლიანად მივიჩნევ. თუმცა ადრე მე ვიყავი მარტო, ახლა მე ხუთთაგანი ვარ. ჩვენ მივხდით ვინ იყვნენ ის ოთხნი _ ეგვიპტე, სირია, ლიბანი, ერაყი» [1; 34]. ჯერ კიდევ 1948 წელს, გრაფი ბერნადოტი თავის დღიურში აღნიშნავდა, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრი მოშე შარეტი იორდანიისათვის აღმოსავლეთ პალესტინის მიერთებას ისრაელისათვის პრობლემის გადაჭრის შედარებით მისაღებ გზად მიიჩნევდა. ამგვარ აზრს ებრაული სააგენტოს ვიცე-პრეზიდენტი გოლდმანიც ეთანხმებოდა, რომელიც აღნიშნავდა, რომ გავლენიან სიონისტებსა და აბდალაჰს შორის არავითარი უთანხმოება არ იქნებოდა [86; 101]. ამ დაძაბული წლების მანძილზე აბდალაჰი ერთადერთი არაბი მეთაური იყო, რომელმაც ებრაელებთან დაამყარა კავშირი. ებრაელები თვლიდნენ, რომ არაბული ლეგიონის მეთაური მონარქი, მათ ყველაზე კარგად უგებდა [85; 72]. ისრაელთან მიღწეული შეთანხმებები აბდალაჰმა არაბთა ლიგის წინააღმდეგ პოლიტიკური შანტაჟისათვის გამოიყენა. თუ არჩევანის წინაშე დადგებოდა: არაბთა ლიგის წევრობა თუ გაერთიანებულო სამეფო, აბდალაჰი გაერთაინებულ სამეფოს არჩევდა. მალე ამ მუქარამ არაბული ქვეყნები აიძულა დაეთმო აბდალაჰისათვის. იორდანიამ უარი განაცხადა არაბული ქვეყნების ლიგის 1950 წლის 30 მარტის სხდომაზე დასწრებაზე, თუ მას ჰილმი-ფაშას წარმომადგენლები დაესწრებოდნენ. ამის გამო მიღებული რეზოლუციის თანახმად ღაზას მთავრობის მოწვევა გადაიდო. თანდათან იცვლებოდა აბდალაჰის საწინააღმდეგო პოზიციაზე მყოფი ეგვიპტის ტონი. უკვე 31 მარტს, გაზეთი «ალ-მისრი» არაბულ ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოების შეწყვეტის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. მეფე აბდალაჰმა კაიროში იორდანიის ელჩ ბაჰაად-დინ ტუკანს მხოლოდ ამის შემდეგ დართო ლიგის სხდომებზეE დასწრების ნება. 1 აპრილს ტუკანმა სხვა არაბული ქვეყნების დელეგაციებთან ერთად ხელი მოაწერა რეზოლუციას, რომლის თანახმადაც ლიგიდან ავტომატურად ირიცხებოდა და საპროტესტო სანქციები ემუქრებოდა იმ ქვეყანას, რომელიც ისრაელთან სეპარატულ ზავს დადებდა. იორდანიაც ამ რეზოლუციას შეურთდა და ამან გარკვეულწილად შეასუსტა მასსა და სხვა არაბულ ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით კი ჰაშიმიანთა ერაყთან არსებული დაძაბულობა [86; 95]. სანამ არაბული ქვეყნები ურთიერთობებს არკვევდნენ... 1950 წლის 23 იანვარს ისრაელის მთავრობა თელ-ავივიდან დასავლეთ

იერუსალიმში გადავიდა და იერუსალიმი თავის დედაქალაქად გამოაცხადა [103; 19]. ეს ფაქტი საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ ცნო, ხოლო ოცმა სახელმწიფომ დასავლეთ იერუსალიმში საელჩოც კი გახსნა [150; 95]. იერუსალიმის დედაქალაქად გამოცხადება და მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაზე უარის თქმა სამშვიდობო შეთანხმების უარყოფას ნიშნავდა {103; 19]. მენახემ ბეგინი ამბობდა: «ჩვენ ვიმყოფებით მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და რაკი ვამბობთ, რომ არავითარი პალესტინის სახელმწიფო არ იქნება, ეს საბოლოოა» [182; 23]. ამ დაძაბულ სიტუაციაში ერაყში იორდანიასთან მეგობრული ურთიერთობის მოწინააღმდეგე ალ-აიუბის მთავრობა გადადგა, ხოლო 1950 წლის 25 იანვარს შეთანხმება გაუქმდა. ხელისუფლებაში იორდანიასთან დაახლოების მომხრე თაუფიკ ას-სუვეიდის კაბინეტი მოვიდა. მარტის ბოლოს ას-სუვეიდიმ განაცხადა, რომ პალესტინის მოსახლეობის თანხმობით იორდანიის მთავრობას აღმოსავლეთ პალესტინის მიერთების უფლება აქვსო. როგორც ჩანს, ერაყ-იორდანიის საერთო გეგმა, 1949 წლის 27 დეკემბრიდან 1950 წლის 8 იანვრამდე, აბდალაჰის ერაყში ვიზიტის დროს შემუშავდა. იორდანიისა და აღმოსავლეთ პალესტინის არჩევნების წინ ამ განცხადებით გამოსვლა აბდალაჰის გეგმის აშკარა მხარდაჭერას ნიშნავდა. არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება სწორედ 1949 წლის 27 დეკემბერს მიიღეს. 1950 წელს იორდანიასა და პალესტინის იორდანულ ზონაში საარჩევნო კომისიები შექმნეს [86; 96].

1950 წელს იორდანიის პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო, თავის სამეფოსათვის მიეერთებინა დასავლეთ სანაპირო და იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილი. თუმცა, ამავე დროს არაბთა ლიგის წინააღმდეგობის გამო შეთანხმდნენ, რომ ეს «დროებითი მიერთება» იქნებოდა [69; 11]. უკვე ყველამ იცოდა, რომ აბდალაჰს სიონისტებთან ფარული გარიგება ჰქონდა. ფაქტია, რომ 1950 წელს იორდანიამ თავისი იურისდიქცია გაავრცელა მთელ დაკავებულ ტერიტორიაზე, ანუ მოახდინა პალესტინის არშექმნილი არაბული სახელმწიფოს ნაწილის, მათ შორის ძველი იერუსალიმის ანექსია [21; 32].

ისრაელთან დათმობითაAდა შერიგებით აბდალაჰმა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ერთიანობა დაამსხვრია, რაშიც გადამწყვეტი როლი ინგლისის მთავრობამ

ითამაშა. ამ დროისათვის ინგლისმა მკვეთად შეცვალა არაბთა ლიგასთან დამოკიდებულება, რადგანაც ლიგამ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია შუა აღმოსავლეთში ინგლის-ამერიკის სამხედრო-აგრესული სისტემის შექმნის ცდას. 1949 წლის 30 ოქტომბერს არაბული ლიგის კომიტეტი აშშ-სა და ინგლისის წინადადებას დაუპირისპირდა _ არაბული ქვეყნების ერთობლივი უშიშროებისათვის მათი ეგიდით სამხედრო კავშირის შექმნის გეგმით [86; 96]. გაძლიერდა არაბთა ლიგის ანტიინგლისური ფრთა. ასეთ ვითარებაში აბდალაჰის გეგმას ყველაზე აქტიურად ინგლისი უჭერდა მხარს. სწორედ ინგლისისა და ერაყის მხარდაჭერით ჩატარდა 1950 წლის 11 აპრილს იორდანიასა და პალესტინში ჩატარდა არჩევნები, რომელმაც გადაწყვიტა პალესტინის ბედი. 19 აპრილს აბდალაჰმა ახალი სენატი დანიშნა, რომელიც 13 იორდანელისა და 7 პალესტინელისაგან შედგებოდა. ამ გზით ფაქტობრივად უკვე გაერთიანებული სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოები შეიქმნა [86; 97]. 13 აპრილს შექმნილ მთავრობაში პალესტინის პროიორდანული დაჯგუფებები და იორდანიის მმართველი წრეების წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობის პორტფელებს ფლობდნენ. ამ ღონისძიებებმა საკითხის სწრაფი გადაწყვეტა დააჩქარეს. 1950 წლის 23 აპრილს მოწვეულ სენატის სესიაზე პარლამენტმა აბდალაჰის მმართველობაში იორდანიისა და აღმოსავლეთ იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოდ გაერთიანებას დაუჭირა მხარი. აღმოსავლეთ პალესტინის ახალი სტატუსი 23 აპრილს ერაყმა, 27 აპრილს კი ინგლისმა აღიარეს. ამასთან ერთად, ინგლისმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ პალესტინის გაერთიანებულ სამეფოსთან მიერთებას ინგლის-იორდანიის შეთანმხების იურიდიულ საფუძვლად თვლიდა, ხოლო, იორდანიის იერუსალიმზე მმართველობას მხოლოდ დე ფაქტოდ ცნობს. მაგრამ 1948 წლის ხელშეკრულება იერუსალიმზედაც ჩვეულებრივ ვრცელდებოდა. ინგლისის მთავრობის მემორანდუმი სხვა დიდმა სახელმწიფოებმაც აღიარეს. ეს ინგლისს, აშშ-ს და საფრანგეთს შორის დადებული სამმხრივი დეკლარაციების შედეგი იყო, რომელშიც ისინი არაბულ აღმოსავლეთში არსებული საზღვრებისა და შეთანხმებების გარანტიას იძლეოდნენ [97; 97].

არაბთა ლიგიდან იორდანიის გარიცხვის 12 ივნისამდე გადადება იორდანიამ თავის სასარგებლოდ, დიპლომატიური მანევრირებისათვის გამოიყენა. ინგლისისა

და აშშ-ს ელჩებმა 15 აპრილს, კაიროში ნაჰას ფაშა მოინახულეს და ლიგიდან იორდანიის გარიცხვაზე თავის შეკავება ურჩიეს. ინგლის-აშშ-ს დიპლომატიური დემარშებისა და ლიგის შიგნით წარმოშობილი უთანხმოების შედეგად, ლიბანმა და თვით სირიამაც ეგვიპტის წინადადება უარყვეს. ამაში წვლილი იორდანიის მთავრობის ახალმა დიპლომატიურმა სვლამ შეიტანა [86; 97]. მისმა წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ 15 მაისს სხდომის წინ განაცხადეს, რომ პალესტინის იორდანიასთან მიერთება აღმოსავლეთში პრობლემას საბოლოოდ არ გადაწყვეტდა. ამ დროისათვის კი არაბთა ლიგის წევრი ქვეყნებისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი 1950 წლის 25 მაისის დეკლარაციისადმი ერთიანი პოზიციის მიღწევა იყო. 12 ივნისს არაბთა ლიგის საბჭოს სესია გაიხსნა და იქ ეგვიპტის დელეგაცია მარტო აღმოჩნდა. ეგვიპტის წინადადება ლიგის წევრების ორგანიზაციიდან გარიცხვის წესის შეცვლის შესახებ არ მიიღეს. ერაყის ინიციატივით საბჭომ იორდანიის გარიცხვა გადადო. ერაყის დელეგაცია აშკარა შანტაჟზე წავიდა, როცა არაბთა ლიგის შესაძლო გაყოფაზე და ახალი არაბთაშორისი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის შესახებ გააკეთა განცხადება [86; 99]. ამ გზით 13 ივნისს ეგვიპტის დელეგაცია იძულებული გახდა დაეთმო და ერაყისა და ლიბანის წინადადებით ბოლოს და ბოლოს დათანხმებულიყო, რომ აღმოსავლეთ პალეტინის მომავლის საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე განიხილებოდა. ლიგის წევრებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მიუხედავად იორდანიისათვის აღმოსავლეთYპალესტინის მიერთება ოფიციალურად ცნეს [69; 11].

$ 2 იორდანიის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და პალესტინელ ლტოლვილთა საკითხი ომის შემდგომ პერიოდში

პალესტინის ომის შემდეგ იორდანიის პრობლემები მჭიდროდ დაუკავშირდა პალესტინელი ხალხის ბედს, რადგანაც პალესტინელი ლტოლვილების იორდანიაში

გადასვლამ დიდი გავლენა იქონია ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში სიძნელეები გაჩნდა. პალესტინის ნაწილის ჰაშიმიანთა იორდანიისათვის მიერთებით ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ტერიტორია გაერთიანდა. იორდანიის სამეფოს რაიონები სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის ჩამორჩენილი რაიონები იყო. მრეწველობა აქ მხოლოდ რამდენიმე წვრილი ფაბრიკითა და კუსტარული სახელოსნოებით შემოიფარგლებოდა [77; 10]. სხვა ქვეყნების მრავალწლიანი ბატონობის შედეგად მხოლოდ ხელოსნობაღა შემორჩა. მრეწველობა ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ომის დროს ბევრი საწარმო დაინგრა [86; 100]. მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე აშენებული პოტაშის (ნაცარტუტის მარილი) ქარხანა, რომელიც წელიწადში 2 მილიონი დინარის პროდუქციას აწარმოებდა, ომის დროს, არაბულმა ლეგიონმა გლაბის ბრძანებით დაანგრია და აღჭურვილობა გლაბის ჯარისკაცებმა გაიყვეს. ამით იორდანიის ეკონომიკამ სერიოზული ზარალი ნახა... გლაბს ესმოდა, რომ თუ ქარხანა იმუშავებდა, იორდანიის შემოსავალი გაიზრდებოდა და მისი ეკონომიკა გაძლიერდებოდა, რაც თავისთავად დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას შეუწყობდა ხელს [87; 4].

1950 წელს მრეწველობაზე ეროვნული შემოსვლის მხოლოდ 4,7% მოდიოდა. ქვეყანაში 153 სახელოსნო-საწარმოს ითვლიდნენ (თითოეულ მათგანში ხუთიოდე კაცი თუ იქნებოდა დასაქმებული), რომელთა საერთო კაპიტალში არანაირი პროდუქცია არ იწარმოებოდა, რომელიც აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის [86; 101]. პალესტინელები იორდანიას თავისი განვითარების დონითაც მნიშვნელოვნად უსწრებდნენ. აღმოსავლეთ პალესტინაში ფართოდ იყო განვითარებული სოფლის მეურნეობის დარგები, ძალიან მაღალ დონეზე იყო განვითარებული მწარმოებლური ხელოსნობა. შემოერთებულ ნაწილს იორდანია პოლიტიკურადაც ძალზე ჩამორჩებოდა. იმპერიალისტური ქვეყნების ხანგრძლივი გავლენის შედეგად პოლიტიკური ცხოვრება იქ ჯერ კიდევ ძალიან დაბალ დონეზე იყო. იორდანიაში მოსახლეობის ექსპლუატაციის პატრიარქალური ფორმა და ტომობრივ-ნათესაური ინსტიტუტები იყო შემონახული. თვით ფაქტი, რომ ერთმანეთისაგან ეკონომიკურად და სოციალურად ასეთი განსხვავებული რაიონები

გაერთიანდა და რომ ხელისუფლება ჩამორჩენილი ფენის ხელში გადავიდა, აუცილებლად სერიოზულ უარყოფით შედეგს გამოიწვევდა. ამას გარდა, ომის შედეგად ქვეყანაში ახალი პრობლემები გაჩნდა, რომლებმაც შემდეგი ისტორიული განვითარების მსვლელობა განსაზღვრეს [77; 10].

ახლად გაერთიანებული იორდანიის ეკონომიკამ ამ რთულ პრობლემებთან გამკლავება ვერ შეძლო. სოფლის მეურნეობას არ შეეძლო მოსახლეობის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა და დაკმაყოფილება. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მდგომარეობა აისახა შიდა ვაჭრობაზეც. იორდანიისათვის დაიხურა პალესტინის ძირითადი პორტები: იაფა და ჰაიფა, რომელთა მეშვეობითაც ომამდე იორდანია საშინაო ვაჭრობას ახორციელებდა. იორდანია იძულებული გახდა ბეირუთის პორტითა და აკაბის ყურის ცუდად აღჭურვილი გემებით ესარგებლა. უტრანსპორტობით გამოწვეულმა ზარალმა 1 მილიონ დოლარს მიაღწია. საშინაო ვაჭრობაში დეფიციტი ყოველ წელს 30 მილიონს აღწევდა [94; 103], რადგანაც იორდანიისათვის შიდა ეკონომიკურ კავშირებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამან განაპირობა ეკონომიკური პრობლემები და აისახა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპზეც. იორდანიის ეკონომიკის საშინაო სიძნელეები სწორედ ახლო აღმოსავლურმა კონფლიქტმა განსაზღვრა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახა, რისი შედეგიც იყო, ქვეყანაში შიდა ეკონომიკური კავშირების გართულებაც [108;93]. სახელმწიფო ბიუჯეტში საგრძნობლად გაიზარდა შემოსავალსა და ხარჯებს შორის განსხვავება. შემოსავლის ძირითადი ნაწილი ადმინისტრაციული აპარატის შენახვას სჭირდებოდა [94; 104]. საქონელბრუნვის გაზრდის მიზნით იორდანია სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის აწყობას ცდილობდა. ეს იმან განაპირობა, რომ იორდანიის შიდა კავშირები ტრადიციულად მეზობელ ქვეყნებზე იყო გათვლილი. ქვეყანაში არ იყო ისეთი დარგი, რომელიც თავისი პროდუქციის ექსპორტს არაბულ ქვეყნებში არ აწარმოებდა. ამიტომ იორდანია არაბულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ყველა პროექტში მონაწილეობდა [108; 94]. იმპერიალისტური ქვეყნები მისი ეკონომიკური სიძნელეებით სარგებლობდნენ და მისთვის «დახმარების» აღმოჩენის საბაბით კვლავ ქვეყნის საშინაო საქმეებში ერეოდნენ 86;

118]. ახლო აღმოსავლეთზე ამერიკის სამხედრო-პოლიტიკური «მოღვაწეობა» გაიზარდა. რეგიონში თავისი გავლენის დასამყარებლად მეტოქეობა აშშ-სა და ინგლისს შორის იორდანიის მდგომარეობაზე აისახა. 1951 წლის 27 თებერვალს «ტრუმენის პროგრამის» მე-4 პუნქტის შესაბამისად აშშ-მ ხელი მოაწერა იორდანიისათვის «დახმარების» გაწევის დოკუმენტს [69; 11]. ამ დახმარებას პოლიტიკური ხასიათი უფრო ჰქონდა. განხილულ იქნა აგრეთვე ტექნიკური პროექტებიც, რომელთა მეშვეობითაც აშშ-ს იორდანიაში ინგლისის ეკონომიკის გაკონტროლება სურდა [94; 105]. 1952 წელს იორდანიასა და აშშ-ს შორის ეკონომიკურ-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება დაიდო [69; 11].

ინგლისმა ისრაელისაგან იორდანიის დაცვის დემაგოგიური ლოზუნგით თავისი არმია იორდანიის ერთადერთ პორტ აკაბაში გაგზავნა და იქ კიდევ ერთი ბაზა შექმნა, სადაც ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილი განლაგდა და ინგლისის არმიის საწყობები და ყაზარმები აშენდა. მაანში იმავდროულად ინგლისის არმის ახალი ცენტრი შეიქმნა [86; 118]. იორდანიის თავდაცვისათვის გაზრდილმა ხარჯებმა ინგლისის სუბსიდიების მნიშვნელობა გაზარდა. ეს სუბსიდიები არაბული ლეგიონის შენახვას ხმარდებოდა, რადგანაც არაბული არმიის ბიუჯეტი მთლიანად გლაბის ხელში იყო. იარაღის შეძენისათვის ის ცოტას ხარჯავდა. მთელი ფული კი საზეიმო მიღებებსა და ქრთამებში იხარჯებოდა [47; 208]. თავისი ძალაუფლების გამოყენებით გლაბი კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა და იორდანიის მეზობელ არაბულ ქვეყნებთან დაპირისპირებას ცდილობდა [135; 36]. გლაბი ისე იქცეოდა, თითქოს იორდანია მეზობელ არაბულ ქვეყნებთან საომარ მდგომარეობაში იყო [135; 54]. ამ პოლიტიკის შედეგად კიდევ უფრო დამუხრუჭდა ეკონომიკის განვითარება, მოისპო ეროვნული დამოუკიდებლობა და იორდანიის არმია ინგლისისა და აშშ-ს ინტერესების დამცველ სარეზერვო რაზმად გადაიქცა. გლაბს იმედი ჰქონდა, რომ არაბ ჯარისკაცებს თავის იარაღად აქცევდა და ცდილობდა დაევიწყებინა მათთვის, რომ ჰქონდათ სამშობლო _ იორდანია [135; 36]. ქვეყნის საშინაო საქმეში მისმა ჩარევამ ქვეყანაში იმ ეროვნული ტალღის გაძლიერება გამოიწვია [135; 55], რომელიც პალესტინის იორდანიის სამეფოსათვის მიერთებისთანავე დაიწყო. ჩამორჩენილი იორდანიის რაიონებისათვის განვითარებული რაიონების მიერთება, რომლის

მოსახლეობაც, ლტოლვილებთან ერთად ორჯერ აღემატებოდა ომამდელი იორდანიის მოსახლეობას, თავისთავად უდიდეს გავლენას ახდენდა იორდანიის აღმოსავლეთ სანაპიროს სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე [86; 119]. ამ დროიდან პალესტინური რაიონების პოლიტიკურ ცხოვრებაში წამყვან როლს თამაშობდნენ ეროვნული მოძრაობის ანტიიმპერიალისტური დაჯგუფებები, რომლის მოღვაწეებიც ყველგან ლიდერობდნენ [86; 120]. შეიმჩნეოდა, აგრეთვე, ქვეყნის დემოკრატიული ძალების მნიშვნელოვანი ზრდა. პალესტინაში პოლიტიკურ არენაზე არაბი კომუნისტების _ ეროვნული განთავისუფლების ლიგა გააქტიურდა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომელიც ქვეყნის წინაშე დადგა, პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა იყო [103; 19]. პალესტინელი არაბი ხალხის ტრაგედია დაკავშირებულია სამშობლოს დაკარგვასთან. ამ ომის შემდეგ 1350 ათასი პალესტინელი არაბიდან 120 ათასი თავის მშობლიურ ადგილებში დარჩა, რომელიც უკვე ისრაელს ეკუთვნოდა; 450 ათასი _ იმ რაიონებში, რომელიც ისრაელისა და იორდანიის კონტროლს დაექვემდებარა. დანარჩენი 780 ათასი, ზოგი მონაცემებით კი 900 ათასზე მეტი[4] პალესტინელი არაბი იძულებული გახდა ქვეყნის საზღვრები დაეტოვებინა სიონისტური ექსტრემიზმის, ტერორის საშიშროებისა და არაბი ნაციონალისტების პროპაგანდის შედეგად. პალესტინელების 70% თავშესაფრის გარეშე დარჩა და მათმა უმრავლესობამ იორდანიას, ლიბანსა და სირიას მიაშურა. ასე წარმოიშვა რთული და მძიმე, პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა, რომელიც დღემდე ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის წყაროა [103; 1]. პალესტინის არაბული მოსახლეობის (უპირატესად მუსლიმი) მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი გაჰყვა უკანდახეულ არაბებს იმ იმედით, რომ ცოტა ხანში დაუბრუნდებოდა თავის სახლებს. მაგრამ მათ აღარ მიეცათ უკან დაბრუნების საშუალება: ისრაელის არმია ეფექტურად იცავდა ახალი სახელმწიფოს ტერიტორიას არაბი «ინფილტრატორებისაგან». ებრაელებისათვის ნათელი იყო, რომ ლტოლვილი არაბების მასობრივი დაბრუნება, მათთვის დამახასიათებელი მაღალი შობადობის გათვალისწინებით, შეცვლიდა ისრაელის დემოგრაფიულ სტრუქტურას.

ბევრი პალესტინელი არაბი გაიქცა 1949 წლის დაზავებით ეგვიპტის კონტროლქვეშ მოქცეულ ღაზას სექტორში (საკუთრივ ეგვიპტეში ლტოლვილები არ მიუღიათ), ან იორდანიის მიერ ანექსირებულ დასავლეთ ნაპირსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში. ლტოლვილი პალესტინელების საგრძნობი ნაწილი გადავიდა მდინარე იორდანეზე და საკუთრივ იორდანიაში დასახლდა [21; 355]. იორდანიას არ შეეძლო ათასობით უსახლკარო პალესტინელის ყველაზე აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფა. პირველ ეტაპზე ლტოლვილებს დახმარება გაუწიეს საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებებმა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, გაეროს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციებმა, მრავალმა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ და 1948 წლის ნოემბერში გაეროში სპეციალურად პალესტინელი ლტოლვილების დასახმარებლად შექმნილმა ორგანიზაციამ. 1950 წლიდან ლტოლვილების მეურვეობა გაეროს ახლო აღმოსავლურმა სააგენტომ აიღო, რომლის შექმნაც გაეროს გენერალური ასამბლეის 1949 წლის დეკემბრის სხდომაზე გადაწყდა. ლტოლვილები 54 სპეციალურ ბანაკში მოათავსეს (იორდანიაში _ 25 ბანაკი, ლიბანში _ 15, ღაზას სექტორში _ 8, ხოლო სირიაში _ 6). თავისი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ორგანიზაცია ვერ გაუმკლავდა ლტოლვილების სოციალური, მატერიალური უზრუნველყოფის და შორითი მოწყობის პრობლემებს [15; 225].

მუსლიმი არაბების უკან დაბრუნების მცდელობას ებრაული სახელმწიფო ყველანაირად აღკვეთდა. აღსანიშნავია, რომ ისრაელის ხელისუფლება ნაკლებ საშიშად მიიჩნევდა ქრისტიან არაბებს. გალილეის ბევრი მუსლიმური სოფლის მოსახლეობამ იმის შიშით, რომ მას უბიძგებდნენ ქვეყნიდან წასვლისაკენ, დატოვა სოფლები და ამჯობინა იმ დროს თითქმის მთლიანად ქრისტიანულ ნაზარეთს შეკედლება, რომელიც დაზავების შემდეგ ისრაელის კონტროლქვეშ აღმოჩნდა. ამ ქალაქის მოსახლეობას გამარჯვებული არმია არ ერჩოდა. მიზეზთა შორის უკანასკნელი არ იყო ევროპის ქვეყნებისა და ვატიკანის შედარებით მეტი ყურადღება ქრისტიანობის ამ ცნობილი სიმბოლოს მიმართ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1950 წლის ივნისში რეგისტრირებულ 960 ათასი

[4] ლტოლვილების რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვაა: ისრაელი თვლის, რომ ლტოლვიდან იქცა

ლტოლვილიდან 500.000 კაცი, ე.ი. ნახევარზე მეტი იორდანიაში იმყოფებოდა, ამის გარდა იყვნენ «ეკონომიკური ლტოლვილები», ანუ სასაზღვრო რაიონის მცხოვრებნი, რომელთა მიწებიც ისრაელთან მოლაპარაკების შედეგად ისრაელის საზღვრებში გადავიდა. ისრაელის ტერიტორიაზე ნეიტრალურ დემილიტარიზებულ ზონაში დარჩა მთელი დამუშავებული მიწების თითქმის მესამედი (1/3). მაგალითად, კილიკიაში დამუშავებული 5 ათასი ჰექტარიდან მხოლოდ 0,7 ათასი ჰექტარი; იორდანიის სასაზღვრო რაიონების 112 ათას მცხოვრებზე მოდის მხოლოდ 45 ათასი ჰექტარი დასამუშავებლად ვარგისი მიწა _ 0,4 ჰექტარი კაცზე. «ეკონომიკურ ლტოლვილთა» რიცხვში შედიოდნენ მუშები, რომლებმაც სამუშაო ადგილები დაკარგეს იმ ქალაქებში, რომლებიც ისრაელის შემადგენლობაში შევიდნენ, აგრეთვე საშოვარზე წასული მოჯამაგირეები, რომლებიც ადრე სანაპირო ზოლის ციტრუსების პლანტაციებში შრომობდნენ. «ეკონომიკური ლტოლვილების» საერთო რიცხვი, სხვადასხვა მონაცემით, 100-200 ათასი კაცი იყო. ე.ი. ომის შედეგად ნორმალური შრომით საქმიანობას მოწყდა ასეულ ათასობით ადამიანი [21; 356].

ლტოლვილ პალესტინელთა ბანაკში, სადაც დღესაც უმუშევრობა და სიღარიბე ძალიან დიდ მასშტაბებს აღწევს, ადვილად ვრცელდება რადიკალური, მათ შორის რევანშისტული იდეები. სწორედ ეს ბანაკები იქცა ნოყიერ ნიადაგად ისლამური ფუნდამენტალიზმის, პალესტინური რადიკალიზმის, ტერორიზმის აღმოსაცენებლად. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ღაზის სექტორის ლტოლვილები. ...ღაზას სექტორში მოსახლეობის უდიდესი სიმჭიდროვეა. ეს მასა განუწყვეტლივ კვებავს ყველაზე რადიკალურ ისლამურ ორგანიზაციებს (ჰამასი), რომელთა წევრების მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა. არც ერთმა არაბულმა ქვეყანამ, გარდა იორდანიისა, არ ისურვა პალესტინელი ლტოლვილების მასობრივი აბსორბირება და სამოქალაქო უფლებებში მათი გათანაბრება ადგილობრივ მოსახლეობასთან. 1949 წელს იერიქონში მუსა ალამიმ არაბული საზოგადოება შექმნა და იორდანიის მთავრობას მიმართა თხოვნით, პალესტინელი ლტოლვილებისათვის დასამუშავებელი მიწის ნაკვეთი გამოეყო, «ექსპერიმენტული სოფლის» ასაშენებლად.

538.

მთავრობამ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე 20 ათასი დუმანის ფართობი გამოყო. ამ მიწაზე აშენდა სოფელი 45 სახლითა და 5 სხვა ნაგებობით, სკოლით, საავადმყოფოთი და ადმინისტრაციული შენობით. გაიჭრა 15 ჭა, დამუშავდა და დაითესა 2 ათასი დუმანი, მაგრამ ყველაფერი ამით დამთავრდა, რადგანაც იორდანიის მთავრობას სხვა ფინანსური ოპერაციებისათვის ფული არ ჰქონდა [94; 109]. ხშირი იყო პალესტინელ ლტოლვილთა და მათი ორგანიზაციების კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან 21; 356]. ამიტომაც ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ისრაელს ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნებას [39; 29]. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პალესტინელ ლტოლვილებში განსაკუთრებით გააქტიურდა პოლიტიკური ცხოვრება და პოლიტიკური ორგანიზაციები [144; 18].

1948 წლის 11 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ პალესტინელ ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნების (ანდა მათი სურვილით მატერიალური კომპენსაციის მიღების) უფლების შესახებ რეზოლუცია მიიღო, მაგრამ ისრაელი ამას დღემდე არა ასრულებს. პალესტინელი ლტოლვილების საკითხი, როგორც პალესტინის პრობლემის ერთ-ერთი შემადგენლი ნაწილი, რომლის არსიც პალესტინის არაბული მოსახლეობის ეროვნული უფლებების დაცვაა [164; 650]. ...აზიისა და აფრიკის ხალხების სოლიდარობის ორგანიზაციამ დაასკვნა, რომ «ახლო აღმოსავლეთში» მშვიდობის მიღწევა შეუძლებელია, პალესტინის არაბი ხალხის ეროვნული უფლებების დაცვის გარეშე [74; 236]. მაგრამ ლტოლვილების სრული (ან თუნდაც ნაწილის) დაბრუნება ისრაელში მკვეთრად შეცვლის არსებულ დემოგრაფიულ ბალანსს და საკმაოდ მალე ეჭვქვეშ დააყენებს მსოფლიოში ერთადერთი ებრაული სახელმწიფოს ეთნიკურ ხასიათს. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ არც ერთი ისრაელელი ებრაელი არ დათანხმდება ლტოლვილების მიღებას თავის ქვეყანაში [21; 355]. არაბი ლტოლვილები არ ცნობენ ისრაელის სახელმწიფოს და ეკონომიკური მიზნებისათვის ბრძოლას აგრძელებენ.

1950 წელს ისრაელმა მიიღო კანონი, რომლის ძალითაც ყველა ებრაელს აქვს ისრაელში დაუბრკოლებლად დაბრუნების უფლება. 1952 წლის «მოქალაქეობის შესახებ» კანონით აღიარეს «ებრაელთა მოქალაქეობა», ხოლო ისრაელის მკვიდრი არაბები, «არაბ მოქალაქეებად» აღიარეს. თუმცა, ამ უკანასკნელთ გარკვეული

შეზღუდვები დაუწესდათ, მათ შორის, მიწის შეძენისა და ფლობის აგრეთვე სხვა ქონების შეძენის უფლებებზე [150; 91]. უნდა აღინიშნოს, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩენილმა პალესტინელებმა მათში არსებული ყველა თვისება, ენერგია, გამჭრიახობა გამოავლინეს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობამ... არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ყველა ღარიბი ლტოლვილია, რომლებიც მხოლოდ გაეროს მცირე შემოწირულობებით არსებობენ. ასეთები ბევრნი არიან ლიბანში, სირიაში, ღაზაში, იორდანიაში. მათი საერთო რაოდენობა 1,2-1,3 მილიონი კაცია. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულმა თვისებებმა პალესტინაში ცოდნისაკენ, სწავლისა და პროფესიის მიღებისაკენ სწრაფვა გააღვიძა. ეს გასაგებია: ბევრისათვის ეს ერთადერთი გზაა სიღარიბესთან გასამკლავებლად, ნორმალური ცხოვრების მისაღწევად. ამის შედეგად პალესტინის ინტელეგენციის მნიშვნელოვანი წრე ჩამოყალიბდა _ ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები, ბიზნესმენები. მათ მნიშვნელოვანი მდგომარეობა დაიკავეს იორდანიასა და სხვა არაბულ, განსაკუთრებით სპარსეთის ყურის ქვეყნებში, სადაც ანაზღაურება ყველაზე მაღალია. არაბულ ქვეყნებში პალესტინელებს რამდენიმე ბანკი, სამშენებლო და სხვა სავაჭრო ფირმები ეკუთვნით, ცნობილი «არაბ-ბანკის» და «სამედის» ჩათვლით, ათასობით ჟურნალი და გაზეთი, საავადმყოფო და პოლიკლინიკები, სასტუმროები და რესტორნები [73; 16].

ლტოლვილთა პრობლემას არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის პირველ მიზეზს უწოდებენ. კონფლიქტის მოუგვარებლობა დღესაც ართულებს და აღრმავებს შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებს როგორც არაბულ ქვეყნებში, ისე თვით ისრაელში. მაგრამ პალესტინის პრობლემა არ დაიყვანება პალესტინელ ლტოლვილთა პრობლემამდე. იგი უფრო ფართო შინაარსის შემცველია. პალესტინის პრობლემის ქვეშ, ჩვეულებრივ, გულისხმობენ პალესტინის კანონიერ უფლებას, მათ შორის, პალესტინის დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნის უფლების განხორციელებას. იორდანიის პოლიტიკურ სტაბილურობას რამდენიმეჯერ სერიოზული საფრთხე დაემუქრა პალესტინური რადიკალიზმის გამო. პირველი ასეთი საფრთხე პალესტინელი რადიკალის მიერ მეფე აბდალაჰის მკვლელობა იყო [30; 437].

1951 წლის გაზაფხულზე აშშ-ს ნდობით აღჭურვილმა პირმა დევინ ფრიტლიანდმა იორდანიის მთავრობასთან იორდანიაში მყოფი ამერიკის შეიარაღებული ძალებისათვის იმავე პრივილეგიების მინიჭების შესახებ დაიწყო მოლაპარაკებები, რომელიც იქ ინგლისს ჰქონდა. თანხმობის სანაცვლოდ აშშ იორდანიის მთავრობას ჰიჯაზის მიერთებაში დახმარებას დაჰპირდა [86; 106]. მაგრამ, აბდალაჰი ინგლისის ერთგული მსახური იყო... და ძალიან ეწინააღმდეგებოდა იორდანიაში ამერიკის დამკვიდრებას [77; 10]. ამიტომ აბდალაჰმა აშშ-ს გეგმა არ მიიღო და «დიდი სირიის» ინგლისური პროექტის განხორციელებაზე ოცნებობდა. ამას მოწმობდა 1951 წლის ივლისში ამანში ჩამოსული ლიბანის ყოფილ პრემიერ-მინისტრ რიად სალჰთან შემდგარი მოლაპარაკებები. «აბდალაჰი არასდროს არ ყოფილა ისე ახლოს «დიდი სირიის» პროექტის განხორციელებასთან, როგორც მაშინ. მაგრამ, ამანში ყოფნის დროს რიად სალჰი საიდუმლო ვითარებაში მოკლეს. ოთხი დღის შემდეგ კი 1951 წლის 20 ივლისს იერუსალიმში, ალ-აკსას მეჩეთში სალოცავად მიმავალი მეფე აბდალაჰი არაბი ტერორისტის ტყვიამ განგმირა. ორი პროინგლისური მოღვაწის მკვლელობის ფაქტი, როდესაც ისინი ახლო აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკის განხორციელების გეგმას იხილავდნენ, რაც აშშ-ს ინტერესებს დააზარალებდა, ნათელს ხდიდა, თუ ვინ იდგა კულისებს მიღმა [86; 103]. აბდალაჰი პროამერიკული ორგანიზაციების მიერ იქნა მოკლული [77; 10]. ეს იყო ტერორისტული ორგანიზაცია «წმინდა ომი» _ «ალ-ჯიჰად ალ-მუკადასი». ბევრი მიიჩნევდა, რომ პალესტინის დიდ მუფთის ამინ ალ-ჰუსაინს უნდოდა იორდანიის მეფის მოკვლა იმის გამო, რომ ის ისრაელთან შერიგებისაკენ ისწრაფოდა და იორდანიის პოლიციამ დააპატიმრა ათი კაცი, რომელთა შორისაც სამი ყოფილი მუფთის ნათესავი იყო, ერთ-ერთი კი _ მისი ძმისწული, რომელიც ეიხმანთან (II მსოფლიო ომის დროს) თანამშრობლობდა, იორდანელებმა ის ჩამოახრჩვეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისრაელის მთავრობის მეთაური 1968-1974 წლებში გოლდა მეირი ორჯერ შეხვდა მეფე აბდალაჰს ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე ექვსი თვით ადრე. ის იგონებდა: «პირველად მეფე აბდალაჰს 1947 წელს შევხვდი. საუბარში მალე გამომჟღავნდა, რომ ის არ მიემხრობოდა ჩვენს მოწინააღმდეგე არაბებს, მან ხაზი გაუსვა, რომ დარჩება ჩვენს მეგობრად; მას ისევე, როგორც ჩვენ,

სურდა მხოლოდ მშვიდობა». მეფე აბდალაჰმა მეირს სთხოვა: «რატომ არ შეიძლება დაიცადოთ რამდენიმე წელი. მე მთელი ქვეყნის სათავეში დავდგები და ჩემს პარლამენტში წარგადგენთ. მე თქვენ კარგად მოგექცევით და ომიც აღარ იქნება». გოლდა მეირის მტკიცებით, აბდალაჰთან საუბარში გამოიკვეთა მათი საერთო მტერი მუფთი ანიმ ალ-ჰუსეინი. «თუმცა, ჩვენი მოლაპარაკებების შინაარსი საიდუმლოდ ინახებოდა მაშინაც კი, როცა აბდალაჰი მოკლეს. არავინ იცის, მოლაპარაკების ირგვლივ დარხეულმა ხმებმა გამოიწვია თუ არა მკვლელობა. ვფიქრობ, რომ მუფთის მომხრეებმა მოკლეს». მეფე აბდალაჰს არასოდეს სტანჯავდა ებრაელების ისეთი სიძულვილი, როგორსაც ამინ ალ-ჰუსაინი დაატარებდა. მეფე პირველი იყო, ვინც ისრაელთან შეთანხმებას ესწრაფოდა: «ჩვენ არ გვჭირდება ამერიკა და ევროპა. ჩვენ აღმოსავლეთის შვილები ვართ და მსოფლიოს სასწაული უნდა ვაჩვენოთ _ დავსხდეთ მოსალაპარაკებლად და ყველაფერზე შევთანხმდეთ». ახალგაზრდა ებრაელმა მოსე სასონმა მეფე აბდალაჰს ჰკითხა, რატომ იღწვოდა ისრაელთან მშვიდობისათვის. «ეს ჩემი ხალხის ინტერესებში შედის, _ უპასუხა მეფემ; თუ ჩვენ არ დავამყარებთ მშვიდობას, იქნება კიდევ ერთი ომი, შემდეგ კიდევ ერთი ომი, შემდეგ კიდევ ერთი ომი _ და ჩვენ წავაგებთ». მეფე აბდალაჰი განწირული იყო [26; 34]. ის თავის საკუთარ ქვეყანაში ვერ გრძნობდა თავს უსაფრთხოდ. ამანელი ღატაკები და აღმოსავლეთ იერუსალიმელი ლტოლვილები მასში მოღალატეს ხედავდნენ ამიტომ დიდ მუფს არ გასჭირვებია ფანატიკოსების მოძებნა, რომლებიც «სიონისტების მსახურის» განადგურებას დათანხმდნენ.

არაბთა სამყაროში მკვლელობა განუყრელი სენივითაა, მაგრამ აბდალაჰის მკვლელობამ მაინც გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა არაბთა სამყაროზე [1; 32] და ამ ფაქტმა ახლო აღმოსავლეთში ინგლისის ინტერესებს სერიოზული დარტყმა მიაყენა. პრემიერ-მინისტრი ეტლი წუხდა, რომ ინგლისმა ერთგული მეგობარი და მოკავშირე დაკარგა. (ინგლისის ოპოზიციის ლიდერმა) უინსტონ ჩერჩილმა ინგლისის პარლამენტში განაცხადა: «მე ძალიან გაბრაზებული ვარ ამ ბრძენი და ერთგული არაბი მმართველის დაკარგვის გამო, რომელიც დიდი ბრიტანეთის ერთგული რჩებოდა.» ამ სულისკვეთებას ემსახურებოდა აშშ-სა და ისრაელის პრესაც და წერდა, რომ აბდალაჰის მკვლელობა დიდი დარტყმა იქნებოდა ახლო

აღმოსავლეთის «სტაბილურობისათვის». ბევრი თვლიდა, რომ აბდალაჰის მკვლელობა მხოლოდ პრელუდია იყო, იორდანელი ხალხის დიდი (აღმოსავლეთში გაბატონებული) იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების წინ. აბდალაჰის მკვლელობის შემდეგ იორდანია არაბული აღმოსავლეთის ყურადღების ცენტრში მოექცა. ზოგიერთი არაბი მოღვაწე და, მათ შორის, სირიელი დიქტატორი პოლკოვნიკი აშ-შიშაქლიც ეჭვქვეშ აყენებდნენ იორდანიის როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას. სირიის ზოგ ქალაქში იორდანიის ანექსიის მოთხოვნით მათ მიერ ინსპირირებული დემონსტრაციები გაიმართა. მეორე მხრივ, ერაყის ჰაშიმიანთა იერარქია, მეფე ფეისალ II-ის მმართველობაში, ერაყისა და იორდანიის ერთ სამეფოდ გაერთიანებაზეც ფიქრობდა.

იორდანიაში სიტუაცია ტახტის მემკვიდრის საკითხმაც გაამწვავა. აშშ-ს აბდალაჰის უფროსი შვილის _ ამირა ტალალის ტახტზე აყვანა სურდა, რომელიც თავისი პროამერიკული შეხედულებებით იყო ცნობილი, მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა. მან მხოლოდ 9 თვე იმეფა. ინგლისის ზეწოლით, იორდანიის მთავრობამ 1952 წლის 4 ივნისის საგანგებო სხდომაზე «ფსიქიკური ავადმყოფობის» მოტივით ის ტახტს ჩამოაშორა. 11 აგვისტოს იორდანიის პარლამენტის გადაწყვეტილებით ტახტზე მისი მცირეწლოვანი შვილი _ ჰუსეინი ავიდა. ახალმა მეფემ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ შეძლო დაევიწყებინა, რომ 1951 წლის 20 ივნისს, იერუსალიმის დიდ მეჩეთში, მის თვალწინ მოკლეს მისი ბაბუა აბდალაჰი იმისათვის, რომ მას ისრაელთან მშვიდობა სურდა [86; 150].

50-იანი წლების დასაწყისიდან იორდანიაში თანდათან გამოცოცხლდა პოლიტიკური ცხოვრება. 1952 წლის იანვრიდან ახალმა კონსტიტუციამ დააწესა მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპი პარლამენტის წინაშე.

1948 წლის ომში იორდანიის მონაწილეობას ჰუსეინი იორდანელების მიერ დასავლეთ ნაპირისა და პალესტინის არაბული ნაწილის დიდი წილის განთავისუფლების მიზნით ხსნიდა. მეფის ასეთი პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან ასეთი მიდგომით მეზობელთან, ანუ ისრაელთან, იორდანიის კონფლიქტი მხოლოდ ტერიტორიულ კონფლიქტად განისაზღვრებოდა. სწორედ ამიტომ მეფე ჰუსეინი პირველი არაბი ლიდერი იყო, რომელმაც

კონფლიქტის ფესვები პალესტინელთა უფლებების ხელყოფასთან დააკავშირა. ამ ლოგიკით იორდანიას პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა ახლო აღმოსავლეთში ებრაულ-სიონისტური პოლიტიკური ერთობის არსებობის გამო.

ამ რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდა წყლის პრობლემა. შიმონ პერესი ამბობდა: «ჩვენ გვჭირდება იარაღი ომისათვის და წყალი მშიდობისათვის». როგორც ლიბანში მიაჩნიათ, ისრაელის სახელმწიფოს შექმნიდანვე, პრეტენზია ჰქონოდა სამხრეთ ნაწილის მიმართ, განსაკუთრებით წყლის რესურსების გამო, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისრაელის სტრატეგიაში. ისრაელმა მოისურვა, რომ საზღვარი წყლის რესურსებით მდიდარი ადგილების იქით ყოფილიყო. ინგლისის მანდატის დროიდან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, ებრაელები ფრანგებს მდინარე ლიტანით (ლიბანში) სარგებლობით უფლებას თხოვდნენ. ბენ გურიონი კი აცხადებდა, რომ: «არაბები და ებრაელები წყლის ბრძოლაში არიან ჩართულები და ამ ბრძოლაზეა დამოკიდებული პალესტინის ბედი» 30; 442]. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები თვალნათლივ მიანიშნებს წყლის წილის შემცირებაზე რეგიონში მცხოვრებ თითოეულ მოსახლეზე. ნათელია ის ფაქტიც, რომ ამოწურულია რეგიონის იაფი წყლით მომარაგების შესაძლებლობები. ისრაელში, იორდანიაში, დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში დაფიქსირებულია ერთ სულ მოსახლეზე წყლის წილის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, რომელიც ყოველწლიურად მცირდება მოსახლეობის ზრდასთან ერთად. აქედან გამომდინარე, წყლის პრობლემა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში პრიორიტეტული ხდება. ამ პრობლემის გადაწყვეტა აუცილებელი ნაბიჯია პალესტინის პრობლემის გადაჭრისა და რეგიონში ყოვლისმომცველი მშვიდობის დამყარებისაკენ [23; 71].

დასკვნა

ნაშრომში განხილული იყო არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი 1947-1949 წლების კრიზისის, ანუ პალესტინის პირველი ომის პერიოდი და იორდანიის როლი ამ კონფლიქტში.

პალესტინის პირველი კრიზისის დროს იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს განსაკუთრებული პოზიცია ეკავა, რაც განაპირობა იორდანიის საკუთარმა ტერიტორიულმა ინტერესებმა. ცხადია ისიც, რომ მასზე გავლენას ახდენდა ინგლისის პოლიტიკა და ამიტომ ის დაუპირისპირდა არაბულ ქვეყნებს. ისრაელისათვის ყველაზე მეტად მისაღები აღმოჩნდა იორდანიის პოზიცია. ისრაელის სასარგებლოდ დათმობითა და შემრიგებლური პოლიტიკით მეფე აბდალაჰ I-მა დაანგრია არაბთა ერთიანობა, რითაც დაასუსტა საერთო არაბული ფრონტი და ხელი შეუწყო არაბული ქვეყნების მარცხს. ომის შედეგად პალესტინის ერთი ნაწილი დარჩა ისრაელს, ხოლო მეორე _ იორდანიას. ომმა წარმოშვა პალესტინელ ლტოლვილთა ურთულესი პრობლემა, რომელიც დღემდე გადაუჭრელია.

იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო პირველი არაბული ქვეყანა იყო, რომელმაც სცადა ისრაელთან მორიგება და კონფლიქტის შეჩერება, ხოლო მეფე აბდალაჰი _ პირველი არაბი მონარქი და ლიდერი, რომელიც ურთულეს პირობებში, თანამშრომლობდა ისრაელთან, რაც სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა დანარჩენი არაბული ქვეყნებისთვის. იორდანიის პოლიტიკა მნიშვნელოვანი შემობრუნება იყო ისრაელისა და არაბული სამყაროს თანაარსებობაში. მეფე აბდალაჰის პოლიტიკამ დაარღვია არაბეთ-ისრაელის კონფლიქტზე დადებული «ტაბუ» და არაბი ლიდერები ასე თუ ისე მიხვდნენ, რომ აუცილებელია მშვიდობა მეზობელ ქვეყანასთან, რადგანაც ისრაელის სახელმწიფოს შექმნით კაცობრიობამ ამ ერის წინაშე თავისი ისტორიული ვალი მოიხადა. იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს პოლიტიკამ სათავე დაუდო ისრაელთან მომავალ სამშვიდობო პროცესებს, თუმცა კონფლიქტის აღმოფხვრა ვერ შეძლო. იორდანიას ყველაზე გრძელი საზღვარი აქვს

ისრაელთან და დღეს ყველაზე კორექტულ და მშვიდობიან ურთიერთობას ისრაელი სწორედ იორდანიასთან ინარჩუნებს.

არაბეთ-ისრაელის კონფლიქტს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მშვიდობა ამ რეგიონში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ მოლაპარაკებების საშუალებით. როგორც ამერიკელმა დიპლომატმა კარლ საუნდერსმა აღნიშნა, სახელმწიფოები ვერ გადაწყვეტენ ამ კონფლიქტს, ვიდრე ერთ მიწაზე მცხოვრები ორი ერი თავიანთი პრეტენზიებით თვითონ არ გადაწყვეტს მას და არაბული სახელმწიფოები არ ცნობენ ისრაელს, ვიდრე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ზონები სამართლიანად არ იქნება დადგენილი [2]. არაბულ ქვეყნებში საომარი ოპერაციებით ეროვნული მოძრაობის შეჩერება ფაქტობრივად შეუძლებელია და კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოლაპარაკებებით და შეთანხმებებით არის შესაძლებელი. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ამ რეგიონში ძლიერდება ისლამისტი ტერორისტების საქმიანობა.

ისრაელი და არაბული ქვეყნები პალესტინის პრობლემების გადაწყვეტას ვერსად გაექცევიან, ის კი თავისთავად არ გადაწყდება. ისრაელმა დიალოგი უნდა გამართოს პალესტინასთან. ინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაწონასწორების საფუძველზე მშვიდობიანი რეგულირება სულაც არ შეიძლება ვინმემ, თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, მოგვახვიოს თავს. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მათ უნდა მონახონ, ვინც ჩათრეულია კონფლიქტში. პოლიტიკური რეგულირება სხვაგვარი ვერ იქნება. მისი განხორციელებისათვის აუცილებელია მოლაპარაკება, დიალოგი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამა თუ იმ დაინტერესებულ ქვეყნებს, შეუძლიათ მოაგვარონ ასეთი დიალოგი, დაარწმუნონ დაპირისპირებული მხარეები, რომ მოლაპარაკება დაიწყონ და თუ საჭირო გახდა, სტიმულიც მისცენ საამისოდ. ვითარება _ საერთოდ მსოფლიოსა და თვით ახლო აღმოსავლეთშიც _ ახლა აღარ არის ისეთი, როგორც ადრე იყო. ბოლო მოეღო ამ რეგიონში ძლიერი ქვეყნების დაპირისპირებას. მაგრამ, მაინც ახლო აღმოსავლური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება შეუძლებელია რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი მონაწილეობის გარეშე. პალესტინელი

ლიდერების გამოსვლებში მინიშნებები გაჩნდა იმის შესახებ, რომ შესაძლებელია პრინციპის «ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ» მიღება, მაგრამ ამასთან ერთად ხაზს უსვამენ, რომ სამშვიდობო პროცესის საბოლოო შედეგი პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება იქნება.

პალესტინის კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთი გზა არის კომპრომისი ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის პალესტინელი ლტოლვილების უფლებების გათვალისწინებით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. 1994.
2. აზიისა და აფრიკის ისტორიის აქტუალური პრობლემები. თბ., 1991.
3. აზიისა და აფრიკის ისტორიის საკითხები, თბ., 1993.
4. ახალი ისტორია. თბ. 1989.
5. ბარელი დ., იერუშალაიმი, სამშობლოდან სამშობლოში, თბ. 1990.
6. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი. თბ., 1974.
7. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი (სივრცე, ხალხი და პოლიტიკა). თბ., 2003.
8. გიგინეიშვილი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბ., 1963.
9. დათიაშვილი შ., კონფრონტაცია თუ თანამშრობლობა? (წყალი და მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 11. თბ., 2004 წ.
10. დაიანი მ., ცხოვრება ბიბლიით, თბ. 1996.
11. დონაძე ვ., ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო ისტორიის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები. თბ., 1987.
12. ენუქიძე დ., ახლო აღმოსავლეთი მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში. თბ., 1960.
13. ზაბახიძე ი., ვინ იყო დიდი მუფთი და რატომ არ შეიქმნა პალესტინის სახელმწიფო 1948 წელს - პერსპექტივა – XXI, V, თბ., 2003.

14. ზაბახიძე ი., იორდანიის პოზიცია პალესტინის I ომის (1948-1949) დასაწყისში, - პერსპექტივა – XXI, VII (2), თბ., 2005წ.

15. კომახიძე ნ., კოლონიალიზმის აღსასრული აღმოსავლეთში. თბ., 1963.

16. ლომოური ნ., პოლიტიკური სიონიზმის აღმოცენება და განვითარება (1896-1948). – ქართ. დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 10. 2003.

17. ლომოური ნ., მეფე ჰუსეინის პოლიტიკური პორტრეტი. ისრაელ-იორდანიის სამშვიდობო მოლაპარაკებათა ფონზე. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. თბ., ტ. 11. 2004.

18. მეირი გ., ჩემი ცხოვრება, სამშობლოდან სამშობლოში. თბ., 1990.

19. მენთეშაშვილი ზ., ომისა და მშვიდობის ზოგიერთი საკითხი ისლამში. – ისტორია-ფილოლოგია I. თბ., 1998.

20. მენთეშაშვილი ზ., ისრაელის პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი. – ახლო და შუა აღმოსავლეთი I. თსუ. 2002.

21. მენთეშაშვილი ალ., ქრისტიანობა და ისლამი. – აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები I. თბ., 1993.

22. მენთეშაშვილი ალ., მაშრიყის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სიძნელეები და პერსპექტივები. – ორიენტალისტური ძიებანი. V. თბ., 1996.

23. მენთეშაშვილი ალ., ბენჯამინ დიზრაელი (1804-1881). – მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები. ნაკვეთი I. თბ., 2003.

24. მენთეშაშვილი ალ., ანვარ სადათი (1918-1981). – XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები. თბ., 2005.

25. მენთეშაშვილი ალ., გამალ აბდ-ან ნასერი. (1918-1970). – XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები. თბ., 2005.

26. ნანიტაშვილი ნ. ლ., ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაწილი I, თბ., 1987.

27. ნებიერიძე მ., ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმირება და შეიარაღებული ძალების დაგეგმვა. ბიულეტენი [1]56. 2001. ივნისი. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი.

28. პეიჯ არნოტი. ინგლისის იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკა. თბ., 1993.

29. ჟღენტი კ., პალესტინა და პალესტინელები. თბ., 1986.

30. ჟღენტი კ., პალესტინის პრობლემების გადაჭრის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1991.

31. საერთაშორისო ცხოვრება. /საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრი/ ¹73. თბ., 1987.

32. საკდესი. ვაშინგტონის სცენარის მიხედვით. ახალგაზრდა კომუნისტი., თბ., ¹88. 1982 წ., 24 ივლისი.

33. სანიკიძე გ., კიღურაძე ნ., თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. თბ., 2001.

34. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ბიულეტენი. ¹2 (35). თბ., 2001.

35. სვანაძე ლ., უინსტონ ჩერჩილი და კონსერვატორები. თბ., 1989.

36. ტყაბლაძე ზ., ეგვიპტის როლი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში. პერსპექტივა XXI-V. თბ., 2003.

37. ტიკაძე მ., ცივილიზაციათა დაპირისპირების შესახებ ახლო აღმოსავლეთში. – ხიდი. 2003 წ. თებერვალ-მარტი.

38. უოლცი კენეთ ნ., ადამიანი სახელმწიფო და ომი. თეორიული ანალიზი. New York and London. თბ., 2003.

39. ქარუმიძე ვ., საერთაშორისო ორგანიზაციები. თბ., 1993.

40. ქაჯაია ო., ეგვიპტე, წარსული და აწმყო. თბ., 1988.

41. ქაჯაია ო., ისლამი და პოლიტიკური ბრძოლა, თბ., 1985.

42. შევარდნაძე ე., ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად. თბ., 1992.

43. შვანგირაძე ზ., ზომიერება სასურველი მომავლის მოლოდინში. The Georgian Times. თბ., 5 მარტი, 1994.

44. შოშიტაიშვილი ზ., ჭიპაშვილი ჰ., საერთაშორისო დღიური, თბ., 1989.

45. ჩხაიძე ზ., საერთაშორისო ტერორიზმი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი ¹56. 2001. ივნისი.

46. ცინცაძე ი., ინგლისის კოლონიური მმართველობის პრინციპები. თბ., 1978.

47. ცინცაძე ს., ბირთვული ერის რეალობანი. თბ., 1987.
48. ციციაშვილი ა., ახლო აღმოსავლეთი, ორი მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი. (გამომცემ. «განათლება».) თბ. 1986.
49. ციციაშვილი ა., გაბიძაშვილი ო., იუდაიზმი და სიონიზმი. თბ., 1982.
50. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
51. ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებ. ტ. 9. თბ., 1984.
52. ჭედია ნ., ვაშინგტონი გაერთიანებული ერების ორგანიზაციების წინააღმდეგ. დრო, მოვლენები, პრობლემები. თბ., 1988.
53. ხონელიძე ნ., ბალფურის დეკლარაცია (დოკუმენტის 80 წლისთავის გამო). – ქართ. დიპლომატია. ტ. 5. 1998.
54. ჯაპავა ლ., სიონისტური მოძრაობა პალესტინაში და ებრაული სახელმწიფოს შექმნის წინაპირობა. – აღმოსავლეთი. 2002 წ.
55. ჯაფარიძე თ., მაჰმუდ აბასი და ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის ახალი პერსპექტივები. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 12. თბ., 2005.
56. ჯაფარიძე თ., სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში. (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წლებში). – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. თბ., ტ.7,2000.
57. ჯაფარიძე გ., ისლამი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, შესავალი. თბ.., 1993.
58. Абузиям М., Восстание в Палестине. М. 1930.
59. Амин Саид. Восстания арабов в XX веке., М. 1930.
60. Виноградов В., Британский лев на Босфоре. М. 1991.
61. Витте С., Воспоминания Я. Т. З. М. 1960.
62. Внешняя политика Советского Союза за 1947 год. часть вторая. М, 1952.
63. Внешняя политика Советского Союза за 1948 год. часть вторая. М., 1951.
64. Внешняя политика Советского Союза за 1951 год. часть вторая. М., 1972.
65. Волкова Л. В., Ближневосточный конфликт: проблема урегулирования. М. 1980.
66. Гаврилин В. Г., Корешков В. В. У политической карты мира. Иордания: пути развития, М. 1985.
67. Горин А. З., Египет нашего времени. М. 1998.
68. Демченко П., Палестинская проблема. М. 1968.
69. Демченко П., Там, за рекой Палестина. М. 1989.

70. Демченко П., Палестина между молотом и наковальней. Азия и Африка сегодния. 7/91. М. 1991.

71. Дзасохов А. С., Движение афро-азиатской солидарности в борьбе за национальную независимость и прочный мир. Общественность и проблемы война и мира. М. 1976 г.

72. Дипломатический словарь. Т. 1. М. 1984.

73. Дипломатический словарь. Т. 3. М. 1984.

74. Дмитриев Е., Палестинский узель. М. 1978.

75. Дмитриев Е., Палестинская трагедия. М. 1986.

76. Драчинский Н. Н., Королевство на вулкане. М. 1958.

77. Елисеев В., Арабское единство и его противники. М. 1987.

78. Иванов К. П., Шейнис З. С. Государство Израиль, его положение и политика. М. 1958.

79. История еврейского национальная движения. 1914-1949. Jerusalem. 1993.

80. История дипломатии. Т. 3. М. 1956.

81. Киселев В. И., Палестинская проблема. М. 1988.

82. Киселев В. И., Палестинская проблема в международных отношениях: Региональный аспект. «Наука». М. 1988.

83. Киселев В. И., Палестинская проблема и ближневосточный кризис. изд. полит. лит. украины. Киев. 1983.

84. Кисинджер Г., Дипломатия. М. 1997.

85. Ключников Ю., Сабанин А., Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. ч. 11. М. 1926.

86. Коллинз Л., Лапьер Д., О., Иерусалим! Israel. 1979.

87. Котлов Л. Н., Иордания в новейшее время. М. 1962.

88. Коршунов Е. А., Горячий треугольник. М. 1984.

89. Кочекьян С. Ф, Мандаты лиги наций в странах Арабского Востока. Баку. 1930.

90. Краткий политический словарь. М. 1988.

91. Крис Огде, Маргарет Тетчер. Женщина у власти. М.1992.

92. Кудрявцев А. В., Исламский мир и палестинская проблема. «Наука». М. 1990.

93. Кузнецев А. В., В вторжение. (медународно-прававой анализ механизма агрессии Израиля). Киев. 1983.

94. Лебедев Е. А., Демографические проблемы Иордании. Наука. М. 1972.

95. Лебедев А. П., СССР в борьбе за справедливое ближневосточное урегулирование, М. 1985.

96. Лебедев А. П., Современное Иордания. М. 1964.
97. Ллоид Джордж. Военные мемуары. М. 1934.
98. Ллоид Джордж. Правда о мирных договорах. т. 1. М. 1957.
99. Луцкий В., Новая история арабских стран. М. 1966.
100. Луцкий В., Лига Арабских государств. М. 1946.
101. Маклейн Д. Внешняя политика Англии после Суэца, М. 1972.
102. Машинин В., Яковлев А., Персидский залив в планах политики запада. М. 1985.
103. Международная жизнь. М. 1987.
104. Международный ежегодник, политика и экономика. М. 1990.
105. Меркуров К., Ислам в мировой политике и международных отношениях. М. 1982.
106. Мир на рубеже XIX веков, тенденции развития, противоречия, революции. М. 1991.
107. Михайлов Г. М., У политической карты мира. Западный берег реки Иордан и сектор газа под гнетом израильских колонизаторов. М. 1985.
108. Млечин Л., Короля убили на Храмовой горе. Новое время. №40. М. 1992.
109. Млечин Л., Парад закончился расстрелом. 1992. №41. Новое время.
110. Млечин Л., Ученики стреляют учителей №19. 1992. Нов. время.
111. Морозов Г. Международные организации. Некоторые вопросы истории. М. 1974.
112. Мусса Мохамед, Мусса Лафи. Иордания и развивающийся мир. Внешэкономические связи. Москва-Вими. 1992.
113. Народы Азии и Африки в борьбе за мир, свободу и независимость. Прага. 1987.
114. Никитина Г., Государство Израиль. М. 1968.
115. Никитина Г., Государство Израиль. Становление и развитие. Israel. 1998.
116. Новейшая история арабских стран Азии. М. 1968.
117. Новейшая история арабских стран. М. 1968.
118. Новейшая история арабских стран Азии (1917-85). М. 1998.
119. Новейшая история арабских стран (1917-66). М. 1967.
120. Новейшая история арабских стран. М. 1998.
121. Оксанин А., К вопросу о полестинской проблемы. Проблемы экономики и истории стран Ближнего и Средного Востока. М. 1966.
122. О них говорят, Политические портреты зарубежных деятелей. М. 1989.
123. Опенгеймер Ф., Кооперативная колонизация в Палестине. М. 1987.
124. Осипова П., Из истории Английского управления над Палестиной (1919-1920). Вопросы истории. №12. М. 1948.

125.Палестинская проблема. Документы ООН, международных организации и конференций. М. 1984.
126. Палм Датт. Р. Кризис Британии и британской империи. М. 1954.
127. Политика Англии на Ближнем и Среднем Востоке. М. 1978.
128. Примаков Е. А., Анатолия ближневосточного конфликта. М. 1978.
129. Примаков Е. А., История одного сговора. М. 1985.
130. Примаков А. Е., Персидский залив: Нефть и монополии. М. 1983.
131. Примаков Е., Годы в большой политике. М. 1992.
132. Проблемы экономики и истории стран Ближнего и Среднего Востока. М. 1966.
133. Прокофъев Д., Большое агробление палестинцев: Азия и Африка сегодния. М. 1985.
134. Лебедев Е. А., Беляев Е. А., Киктев С. П., Смилянская И. М. Современная Иордания. М. 1964.
135. Суверин. В., Уитнстон Черчилль Политическая боиграфия. М. 1977.
136. Суворин. Палестина. Санкт- Петербург. 1998.
137. Толковский С., Еврей и экономическое развитие Палестины. М. 1972.
138. Трухановский В., Уинстон Черчиль, Политическая биография. М., 1997.
139. Тьюгендхет К., Гамильтон Н. Нефть, самый большлой бизнес. М. 1978.
140. Тума Эмиль. Сионизм крупным планом. М. 1985.
141. Узи Наркис. За единый Иерусалим. М. 1990.
142. Фон Соден. Палестина и её история. М. 1909.
143. Яковлев А. И., Фейсал. Король. Реформатор. М. 1999.
144. Якуб Увейс. Конец карьеры Глабба в Иордании. М. 1958.
145. Ярославцев И., В чём обвиняется сионизм. М. 1984.
146. История еврейского народа. 2001. под. ред. Ш. Эттингера. Москва. Иерусалим.
147. Bentwich N. The Jews in our Time. The devoloment of lewish in the Modern world. Bristol. 1960.
148. John Reddway. The new Yerusalem. GUARDIAN EXTRA. April 25. 1975.
149. Garadon. GUARDIAN EXTRA. April 25. 1975.
150. Gohn J., England and Palestine. Berlin. 1931.
151. Derry T. Blovnt C. Jarmen T. Great Britain from earliest times to the presently. London. 1962.
152. Encyclopedia Britanica. v. 3. Chicago. 1963.
153. Encyclopedia Britanica. v. 17. Chicago. 1968.
154. Encyclopedia America. v. 20. New York. 1945.

155. Encyclopedia America. v. 21. New York. 1945.

156. Yerusalem ... 2000 ...

157. JEWISH EDUCATION. Санкт-Петербург. 2002. (ред. А. Каменский).

158. John Reddway, The New Yerusalem. CURDAIN EXTRA. April 25, 1975.

159. George Joffe. Jordan in Transition. London, 2002.

160. Kipshidze M. Short story of England. Tbilisi. 1990.

161. Macdonald R. W. The league of arab status. A study in the dynamics of regional organization. Princeton. New Jersey. 1965.

162. Mark R. Amstuts. International Conflict and Cooperation. An Introduction to World Politics. New York. 1999.

163. .Michael W. Doyle. Ways of War and Peace. New York/London. 1997.

164. New York Times. v. 3. V. 1994.

165. Pete Calvocoressi. World Politics Since 1945. Longman. London. New York. 1995.

166. Primakov E. The problem of Palestine in 20th century: origins, evolution, prospects. M., 1984.

167. Spiegel F. W., World Politics sins in a New Era. New York, 1993.

168 .The Middle internation. 15. 12. 1989.

169. The Palestine problem: aggression, resistance, ways of settlement. M. 1984.

170. Watikiotis P. Politics and the Military in Jordan (1921-57). London. 1967.

171. Hirsch. Facts about Israel. Jerusalem. 1996.

<u>არაბულ ენაზე</u>

172. შარლ ნადარლრინ, ასრარ ალ-მუფავაÇათ ალ-ისრა’ილია ალ- ‘არაბია 1917 – 1997 (სალამ ავ ®ურუბ), ალ-ჯუზ’ ალ-ავვალ, მინ 1917 ®ათთა ®არბ ათ-თიშრინ ალ-ავვალ, დიმაშკ, 1998.

173. მუ®ამმად ‘ალი, ფილასტინ ვა აÇ-Çამირ ალ-ინსანი, ალ-კაჰირა, (დუნა თა’რიხ).

174. კავლ არ-რა’ის, მაჯმუ‘ა ხიტაბ ვა ა®ადისუ არ-რა’ის ჯამალ ‘აბდ ან-ნასირ, ალ-კაჰირა (დუნა თა’რიხ).

175. ალ-კადია ალ-ფილასტინია, ბაირუთ, 1964.

176. ამინ ¹აიÇ, ალ-აშურ ალ-‘არაბი, ალ-კაჰირა, 1933.

177.ჯარიდა „ალ-აჰრამ”, 3.6.1971.

178.ჯარიდა „ალ-ახბარ”, 4.3.1962.